



ISSN 0132-1302

საბჭოთა სელოვნება

1980 2



საბჭოთა სურათები

საპარტიველოს სსრ კულტურის სამინისტროს
უწყველთვიური შურალი

შინაარსი

საბჭო ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ 2

სულხან ცინცაძე —
თბილისის კომუნისტური ინტელექტუალური 10

გრიგოლ ჩხიკვაძე —
პარტიული მუსიკალური განათლების ისტორიიდან 14

ნოდარ გურაბანიძე —
ეკოსის სურათები 21

გურამ გვერდწითელი —
მცირე ინტერვიუების დიდი მასშტაბები 28

ვიორჯი დოლიძე —
ძვენი სიკამითა... 35

ირინე კუჭუხიძე —
კავშირი ეკრანის გირთან 39

ნანა ყიფიანი —
მარანი თანამედროვე პარტიულ კერამიკაში 47

ლონდა სამსონიძე —
საშემსრულებლო ინტონაციის ცვლილების განსაზღვრისათვის 52

არნოლდ გემბეკორი —
აღაღიანი და ბარბაქო 56

მერაბ კალანდაძე —
ფრიდრიხ შილიერი და შანა ღარბის ისტორია 61

მ. კაგანი, ა. ეტკინი —
ბელოგონება და აღმოსავლური ურთიერთობა 66

გაიანე ალიბეგაშვილი —
გონივრება, პრინციპული აღმოსავლური და მინიბატონული ფორმების მხატვრული ტრადიციების ჩამოყალიბება საპარტიველოსა და სომხეთში 73

პოლ ვაღერი —
ლიონარდო და ვინჩის მეთოდის შესავალი 77

ელდარ ნადირაძე —
წარმონათმავლებელი იმერეთში 91


ამირან აბშილავა —
აღაღიანი დაბრუნება (პიესა) 95

სურამ კალანდაძე —
ორიგინალური კამბულები 112

მრონია 113

**თიბათრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
მორეორგრაფია**

მთავარი რედაქტორი
თამაზ ბილაძე
სარედაქციო კომიტეტი:
პაპი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოდარ ბაბუნია,
ჯუმაბარ თითიაშვილი
(ასაშინებებელი მდივანი),
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
სურამ ნიშანაძე,
ვივი ორჯონიძიძი,
ნათელა ურუშაძი,
რევაზ ჩხიძე,
ანატოლ ვულკანი,
ნიკო მანუჩაძე,
ნოდარ ჯანბერიძე.



ს ს ს ს

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ

ახლოვდება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი. მეცნიერული აზროვნების ბუმბერაზმა და ჭეშმარიტად სახალხო ბელადმა, მგზნებარე რევოლუციონერმა, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა, ლენინმა მთელი თავისი შესანიშნავი, გამორჩეული სიცოცხლე უძღვნა დიდსა და კეთილშობილურ საქმეს, — პროლეტარიატისა და მთელი ჩაგრული მასების სოციალური განთავისუფლებისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

გამოვიდა რა კლასობრივი ბრძოლის მსოფლიო ასპარეზზე, როგორც მარქსისა და ენგელსის ერთგული და მტკიცე მიმდევარი, ლენინმა ყოველმხრივ განავითარა მათი რევოლუციური მოძღვრება. მეცნიერული განჭვრეტის უბადლო ნიჭის, მიმდინარე მოვლენებისა და ამბების დედაარსში უღრმესი წვდომის, ახალი ისტორიული პირობების ანალიზისადმი დია-

ლექტიურ-მატერიალისტური მეთოდის შემოქმედებითი მისადაგების მეოხებით მან პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი დებულებებით გაამდიდრა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი, დასახა მისი განვითარების ახალი ეტაპი.

ყველა ქვეყნის რევოლუციონერთა სწორუპოვარი დეურ-თეორიული და მეთოდოლოგიური იარაღი გახდა ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის, პარტიის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის კლასობრივი მოკავშირეების, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების განუყრელი კავშირის, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის იდეებს სოციალისტური საშობლოს დაცვის შესახებ. ლენინის თეო-

გაშმაჩოს საბჭოთა საქართველოს 59-ე წლისთავს!



ო. ჭიშკარიანი, თ. მირზაშვილი

„საქართველო“

რიული შემოქმედების გვირგვინი გახდა მეცნიერება, რომელიც მან შექმნა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზების თაობაზე.

გენიალური თეორეტიკოსი, მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი სტრატეგი და ტაქტიკოსი, ლენინი ზედმინვენიტ იყო დაუფლებელი რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის ხელოვნებას.

ლენინს, ბოლშევიკების პარტიას წილად ხედათ დიდი მისია — მოემზადებინათ და სათავეში ჩასდგომოდნენ ისტორიაში პირველ ძლევამოსილ სოციალისტურ რევოლუციას, შეერწყათ მეცნიერული სოციალიზმის თეორია ხალხის მასების უფართოეს პრაქტიკასთან.

მილიონობით ჩაგრულსა და ექსპლოატირებულსათვის, ყველა მშრომელსათვის, ლენინიზმი გახდა სამყაროს სოციალური განახლების სიმბოლო, ჩვე-

ნი ეპოქის რევოლუციური დროშა. ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან არის დაკავშირებული XX საუკუნის ყველა უთვისაჩინოესი რევოლუციური მოვლენა. არ არის და ვერ იქნება მარქსიზმი იმ სიახლის გარეშე, რომელიც მის განვითარებას შემატა ლენინმა. ლენინიზმი — ეს არის თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი, საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანი, მთლიანი, განუწყვეტლივ განვითარებადი მოძღვრება.

ლენინიზმის წარუვალი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ღრმად და ზუსტად გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებს, მსოფლიო სოციალური პროგრესის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობას გვაძლევს სწორი პასუხი გავცეთ თანამედროვეობის საჭირობოტო, ცხოვრებისეულ საკითხებს, გვასწავლის მომწიფებული პრობლემების გაბედულ, შემოქმედების გააფხრას, გვაიარაღებს სა-

ზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების მეცნიერული გაგებით: ლენინის უმიდრესი იდეური მემკვიდრეობა, მისი მოძღვრების რევოლუციურ-კრიტიკული სულისკვეთება, თანამიმდევრულობა და სიმტკიცე ოპორტიუნისტული დამახინჯებებისაგან მარქსიზმის ძირეული პრინციპების დაცვაში, მთელი მისი სიცოცხლე რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების უშრეტო წყაროს თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

ლენინის უდიდესი ისტორიული ღვაწლი გახდა მის მიერ ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნა, რომელიც მეცნიერული თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის განუწყვეტელი ერთიანობის ციხელი განსახიერება, სოციალისტური რევოლუციისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის სულისჩამდგამელი და ბელადია.

ადგას რა ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, მისცა მთელ მსოფლიოს ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის ნიმუში. ჩვენი სამშობლო უმოკლეს ვადაში მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. საბჭოთა ადამიანებმა დაიკვეს ოქტომბრის მონაპოვანი შინაური კონტრრევოლუციის და ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი კაცობრიობის ბედზე უდიდესი გამარეოლუციურებელი გავლენა მოახდინა საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ ფაშიზმზე დაიხ სამამულო ომის წლებში.

ლენინური იდეების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმიანობის მსოფლიო-ისტორიული შედეგი გახდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, რომელშიც სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წყობილების აღმშენებლობითი ძალები, მისი ქვამარიტად მუშაუნარი არსი.

ყველა ჩვენი გამარჯვების მთავარი წყაროა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნისტთა უნარი დაუახლოვდნენ და გარკვეულწილად შეერწყან მშრომელთა უფართოეს მასას. აამაღლონ მათი ენერგია, გმირობა და ენთუზიაზმი, წარმართონ რევოლუციურად დაძაბული მეცადინეობა უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანების გადასაწყვეტად. ასე ლენინურად მოქმედება პარტია სოციალიზმის ასაშენებლად და დასაცავად ერთ ქვეყანაში, როცა მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში იყო. ასე მოქმედებდა იგი მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების შესჯახებლად. ასე იმოქმედებს იგი კვლავაც.

ისტორიის მიმდინარეობას, უღრმეს გარდაქმნებს,

რომლებმაც ძირეულად უცვალა სახე თანამედროვე სამყაროს, ლენინური იდეების სიმართლისა და უძველესი ძალის ახალი დამამტკიცებელი საბუთები მოაქვს.

ლენინიზმის დროშით სოციალისტურმა რევოლუციებმა გაიმარჯვეს ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში. მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე შეკავშირებული მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა სოციალური პროგრესის ავანგარდშია და წარმოადგენს ყველაზე დინამიკურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დასაყრდენს. ცხოვრებამ დაადასტურა ლენინის განცხრება სოციალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა საფუძველზე სხვადასხვა ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნების შესახებ.

სოციალისტური თანამეგობრობის ყოველი ქვეყნის აყვავება განუწყვეტლად არის დაკავშირებული მათი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებასთან, პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების მზარდ ერთიანობასთან, ყველა დარგში ნაყოფიერი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებასთან. ასეთი თანამშრომლობის მაგალითია მოძემ ქვეყნების ურთიერთმოქმედება ინტერნაციონალური სოლიდარობის ლენინური პრინციპებზე დაფუძნებულ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, რომლის სათავედთანაც ლენინი იდგა. ლენინის მიერ შემუშავებული იდეურ-თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზაციული პრინციპები დღესაც უდევს საფუძვლად მუშათა კლასის რევოლუციური პარტიების საქმიანობას, ეხმარება მათ ბრძოლაში და გამარჯვებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მალა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური დროშა, იგი იღვწის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისათვის, მთელი ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარული ძალების მოქმედების ერთიანობისათვის.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების პირობებში, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების უკლებლივ ყველა სფეროში ვლინდება, სულ უფრო მწვავედება და მძაფრდება მუშათა კლასის, მშრომელების ბრძოლა იმპერიალისტური მონოპოლების საყოველთაო ბატონობის წინააღმდეგ. წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კრძოპაპიტალისტურ ფორმას შორის არსებული შეურთველები

წინააღმდეგობა, მწვავე სოციალური კონფლიქტები, უმუშევრობისა და ინფლაციის მუდმივი ზრდა, პოლიტიკური და სულიერი კრიზისი, ეკონომიკის მილიტარიზაცია, საშვიში გამაღებელი შეიარაღება — ყოველივე ეს თვალნათლივ მოწმობს უმომავლო კაპიტალისტური საზოგადოების უკანასკნელი სტადიის — იმპერიალიზმის ლენინისტულ შეფასებათა სამართლიანობას.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების პირობებში, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების უკლებლივ ყველა სფეროში ვლინდება, სულ უფრო მწვავედება და მძაფრდება მუშათა კლასის, მშრომელების ბრძოლა იმპერიალისტური მონოპოლიების საყველთაო ბატონობის წინააღმდეგ. წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის არსებული შურიგებელი წინააღმდეგობა, მწვავე სოციალური კონფლიქტები, უმუშევრობისა და ინფლაციის მუდმივი ზრდა, პოლიტიკური და სულიერი კრიზისი, ეკონომიკის მილიტარიზაცია, საშვიში გამაღებელი შეიარაღება — ყოველივე ეს თვალნათლივ მოწმობს უმომავლო კაპიტალისტური საზოგადოების უკანასკნელი სტადიის — იმპერიალიზმის ლენინისტულ შეფასებათა სამართლიანობას.

ლენინის იდეების, დიდი ოქტომბრის უშუალო ზემოქმედებით, მსოფლიო სოციალიზმის განვითარების შთამავლებელი მაგალითის გავლენით თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ბევრი ახალგაზრდა სახელმწიფო, რომლებიც ესწრაფვიან ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, ეკონომიკური დამოკიდებულების მიღწევასა და სამართლიანი საზოგადოების აშენებას, მიმართავენ მარქსიზმ-ლენინიზმს — რეალური სოციალიზმის გამოცდილებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მოძმე პარტიები ღრმად აანალიზებენ საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებს და შემოქმედებითად ავითარებენ მარქსიზმ-ლენინიზმს. უკანასკნელ წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურს შეემატა მოძღვრება განვითარებულ სოციალიზმის შესახებ, რომელმაც არსებითად გაამდიდრა და დააზუსტა ჩვენი წარმოდგენა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების კანონზომიერებათა შესახებ, კომუნისმის აშენების გზების შესახებ.

უდიდესი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმ დასკვნებს, რომ განვითარებული სოციალიზმის შექმნის პროცესში მუშათა კლასის პარტია ამასთანავე თელი ხალხის ავანგარდი, პარტია ხდება, რომ პოლიტიკური და დიქტატორის სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიზრდება. ასევე უადრესად მნიშვნელოვანია დებულება საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა ახალი ისტორიუ-

ლი ერთობის შესახებ. რევოლუციური თეორიის უთვალსაჩინოესი შენაძენი სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებები, პარტიის საპროგრამო დოკუმენტები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიის სხვა ხელმძღვანელთა შრომები.

პარტიამ ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნილებათა შესაბამისი ეკონომიკური სტრატეგია, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუზრვბელი აღმავლობა. მან წამოაყენა დებულება მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შერწყმის საჭიროების შესახებ, დასახა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მეურნეობრიობის ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების გზები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეების შემოქმედებით განვითარების მეოხებით შეიმუშავა და თანმიმდევრულად ახორციელებს კურსს, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუწყვეტელ ზრდას სანარმოო ძალების სწრაფი განვითარებისა და სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში სანარმოო ურთიერთობის მუდმივი სრულყოფის საფუძველზე, მისი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებას.

ეკონომიკურ სტრატეგიასთან მჭიდრო კავშირით არის განსაზღვრული მიზნები და ამოცანები თანამედროვე სოციალური პოლიტიკისა, რომლის მეოხებითაც კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს საბჭოთა საზოგადოების ერთგაორგნება მუშათა კლასის წამყვანი როლის პირობებში, თანდათან მოისპოს არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, განუზრვლად დაახლოვდნენ ქვეყნის ყველა ერები და ეროვნებანი, განმტკიცდეს მალი მშური მეგობრობა და ერთიანობა.

წარმატებით ხორციელდება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის, განვითარებული სოციალიზმის მთელი პოლიტიკური სისტემის სრულყოფის პროგრამა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — მსოფლიოს პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადი კანონი — წარმოადგენს შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უთვალსაჩინოეს დოკუმენტს, სახალხო ხელისუფლების შესახებ ლენინური იდეების განვითარებას და კონკრეტულ ხორცშესხმას.

არაფერია იმაზე უფრო უაზრო, ვიდრე ჩვენი მო-
შურნეების ცდები წარმოსახონ სოციალიზმი საზოგა-
დოებად, რომელიც თითქოს ახშობს ადამიანთა ინი-
ციაცივას, უფლებებსა და თავისუფლებებს. უფართო-
ესი მასების ნიადაგ მზარდი პოლიტიკური და შრო-
მითი აქტიურობა, მათი მონაწილეობა ყველა საზოგა-
დოებრივი და სახელმწიფო საქმის განხილვასა და
გადაწყვეტაში ადასტურებს იმ ლენინურს დასკვნის
სისწორეს, რომ „ცოცხალი, შემოქმედებითი სოცია-
ლიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა“.

**პარტიისა და ხალხის მთელი საქმიანობა მიზნად
ისახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადო-
ების შემდგომ განმტკიცებას, კომუნიზმის მატერია-
ლურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საზოგადოებრივი
ურთიერთობის სრულყოფას, მოქალაქეთა აღზრდას
კომუნისტური იდეურობის სუფინეულებით.** პარ-
ტიის მრავალმხრივი ორგანიზატორული და პოლი-
ტიკური მუშაობის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლე-
ხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული
შრომის შედეგად ჩვენი სამშობლო ამ ბოლო თხუთ-
მეტი წლის მანძილზე საგრძნობლად დანიანურდა
კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. უთვალ-
ზაჩინოესი წარმატებანია მიღწეული ეკონომიკის, მე-
ცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. შექმნი-
ლია მსოფლიოში უდიდესი სათბობ-ენერგეტიკული
კომპლექსი. მიწმენელოვანა გაიზარდა მრეწველო-
ბის პროდუქციის მოცულობა, გადიდებდა სოფლის
მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განმ-
ტკიცდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. წარმატებით
სრულდება სოციალური პროგრამა, უმაჯობესდება
საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. რეალური შე-
მოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დაა-
ხლოებით ერთიორად გაიზარდა. მოსახლეობის თით-
ქმის ორი მესამედზე გადავიდა ახალ ბინებში და გაი-
უმჯობესა სახანაო პირობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ლენი-
ნის ანდერძისამებრ, კრიტიკულად აფასებს მიღწე-
ულს, წარმართავს თავის მეცადინეობას მიმნიფებუ-
ლი პრობლემების გადასაჭრელად, გაბედულად ააშ-
კარავებს ნაკლოვანებებს, რაზმავს კომუნისტებს,
მშრომელებს, რათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამო-
იყენონ განვითარებული სოციალიზმის ყველა შესა-
ძლებლობა, მზრუნველად, ნამდვილად ყვარათიანად
ეკიდებოდნენ ყოველივეს, რაც ხალხის გარჯით შექმ-
ნილა.

● სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბ-
რის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამ პლენუმზე ამ-
ხანავს გ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში
განსაზღვრულა საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი აღ-
მავლობის კარდინალური პრობლემები, წარმოების
ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის არსებითი

ამაღლების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების
კონკრეტული გზები.

პარტიის ყურადღების ცენტრში საკვანძო პრობ-
ლემები: სათბობის, ნედლეულის ბაზის, ენერგეტიკის
მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური
მრეწველობის განვითარება, ტრანსპორტის, კაპიტა-
ლური მშენებლობის საქმის მდგომარეობის არსებო-
თი და დაუყოფნებელი განუმჯობესება, სოფლის მე-
ურნეობის გადაქცევა ეკონომიკის მაღალგანვითარე-
ბულ სექტორად, სურსათის, სახალხო მოხმარების სა-
ქონლის წარმოების ზრდა. დიდი მუშაობაა გაჩაღე-
ბული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის, მთელი
სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის. პარტია
ყველა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი
ორგანიზაციისაგან, სამეურნეო ორგანოსაგან მოი-
თხოვს კიდევ უფრო განამტკიცონ დისციპლინა და
წესრიგი, აწარმოონ გულმოდგინე ყოველდღიური ორ-
განიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, ინი-
ციაციტიანად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ
საქმეს, განუხრელად ასრულებდნენ მიღებულ დაეა-
წყვეტილებებს.

მთელ თავის მუშაობაში პარტია ყვრნობა ქვეყ-
ნის მძლავრ მეცნიერულ პოტენციალს, ნიადაგ ზრუ-
ნავს ხალხის განათლების, საზოგადოების სულიერი
სიმდიდრის ზრდისათვის, მრავალეროვნული სოცია-
ლისტური კულტურის ღირებულებათა გამრავლები-
სათვის, რომელიც პარტიულობისა და ხალხურობის
ლენინური პრინციპების საფუძველზე ვითარდება.
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უპირვე-
ლეს ყურადღებას უთმობს მშრომელთა კომუნისტუ-
რი შეგნების განვითარებას. იდეოლოგიური, პოლი-
ტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას,
პროპაგანდის მეცნიერული დონისა და ეფექტიანო-
ბის ამაღლებას, მის სრულყოფას, ცხოვრებასთან
კავშირის განმტკიცებას. პარტია საზოგადოების ყვე-
ლა წევრს ზრდის მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა
პარტიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონა-
ლიზმის სულისკვეთებით, შრომისა და საზოგადოებ-
რივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებუ-
ლების, პოლიტიკური სიფიზხლის, ბურჟუაზიული
იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

განუხრლად სრულდება პარტიული ცხოვრების
ლენინური ნორმები და პარტიული ხელმძღვანელო-
ბის ლენინური პრინციპები, თანამიმდევრულად ვი-
თარდება შინაპარტიული დემოკრატია, კრიტიკა და
თვითკრიტიკა, მაღლდება მომთხვენელობა პარტიის
თითოეული წევრისადმი. რაც უფრო იზრდება აღმ-
შენებლობითი საქმიანობის მასშტაბი და რთულდე-
ბა მისი ამოცანები, რაც უფრო მეტად ებმებიან შეგ-
ნებულ ისტორიულ შემოქმედებაში ხალხის ფართო
მასები, მით უფრო ძლიერდება კომუნისტური პარ-
ტიის — საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმარ-

თველი ძალის როლი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი წმინდად ინახვენ და ამრავლებენ ლენინურ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომის ტრადიციებს.

დღი ლენინის იდეების ერთგულებით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საერთაშორისო საქმიანობა. ლენინის მიერ წამოყენებული და მეცნიერულად დასაბუთებული პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები ხორცის ისხამს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ახლაც ყველაფერს ღონობენ, რათა განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, გააერთიანონ დახმარება და მხარდაჭერა იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლ ხალხებს, განამტკიცონ მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება, მიალენონ გამაღებულ შეიარაღების შეწყვეტასა და განიარაღებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მშვიდობის პროგრამა წამოაყენა და თანამიმდევრულად იბრძვის მისი განხორციელებისათვის. სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის მიუღრიგ ხელშეკრულებათა დადებას და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას, სრულიად ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თაობაზე არის წარმატებით მოწყობას შედეგად მოჰყვა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება. მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის არსებით გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების ძალაშიყვანა და გამოცხადება. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ნამდვილი განმტკიცების რეალურ პერსპექტივებს სახავს ვარშავის ხელშეკრულების მოწინავე სახელმწიფოთა კონსტრუქციული წინადადებები, საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები.

სსრ კავშირი, სოციალისტური ქვეყნები, პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები მტკიცედ იბრძვიან, რათა დაძაბულობის შენელება კვლავაც იყოს საერთაშორისო ურთიერთობის წამყვანი ტენდენცია, რათა პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას შეემართოს სამხედრო დაძაბულობის შენელება.

მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებები იმპერიალისტური რეაქციის გაფთხურებულ წინააღმდეგობას აწყდება, მილიტარისტული და რეაქციული წრეები ააქტიურდებიან თავიანთ გამოსვლებს დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, ისწრაფიან თავიანთ სასარგებლოდ შეცვალონ ძალების თანაფარდობა, აძლიერებენ გამაღებულ შეიარაღებას, ერევიან სხვა

ქვეყნების საშინაო საქმეებში, ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა.

იმპერიალიზმის უშუალო დამკვეთი გვევლინება ჩინეთის ხელმძღვანელობა, რომელიც მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისადმი მტრულ დიდამყრობელურ, პეგემონისტურ პოლიტიკას ახორციელებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ააშკარავებს ამ პოლიტიკის რეაქციულ არსს, ცხადყოფს, რომ მაიორის იდეოლოგია და პრაქტიკა შეუთავსებელია მეცნიერულ სოციალიზმთან, და ამასთანავე, განუხრულად უჭერს მხარს სსრ კავშირის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ნორმალიზაციას, ნამდვილ კეთილშობილობასა და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

მარქსისტულ-ლენინური იდეების მიმოიდგეული ძალა, რეალური სოციალიზმის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა კლასობრივი მტრის გააფთხურებულ წინააღმდეგობას იწვევს. ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები, ნაირ-ნაირი ოპორტუნისტები და რევიუონისტები აძლიერებენ ბრძოლს კომუნისტების წინააღმდეგ, ცდილობენ გააყაღებონ მარქსიზმ-ლენინიზმი და გამაცალონ მას რევოლუციური არსი, გამოძებნონ „წინააღმდეგობანი“ მეცნიერული სოციალიზმის თეორიასა და სოციალისტურ ქვეყნებში მისი განხორციელების პრაქტიკას შორის. ისინი ისწრაფიან დააწინონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, სოციალიზმის წარმატებანი, სახელი გაუტეხონ სოციალისტური ცხოვრების წესს. იმპერიალიზმისა და მისი დამკვეთების ხრიკებს კომუნისტები უპასუხებენ თავიანთი რიგების ინტერნაციონალური შეკავშირებით, თანამიმდევრული ბრძოლი ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევიუონიზმის, დოგმატიზმის, ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის სინამდისა და შემოქმედებითი განვითარებისათვის.

საბჭოთა ადამიანები ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმაშობლის ვითარებაში ხვდებიან. მოსკოვისა და ლენინგრადის წარმოების მოწინავეთა ინიციატივით ქვეყანაში გაჩაღდა პატრიოტული მოძრაობა, რათა პირადი ხუთწლიანი დავლებანი 1980 წლის 22 აპრილისათვის შესრულდეს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროსა და მისი მეთაურის ერთგული ლენინელის, ამაზნაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარეშე მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ კურსს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, თავისი ნაცადი ავანგარდის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მტკიცედ ადგას კომუნისტების ლენინურ გზას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა აღნიშ-

შნოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული მოეწყოს ქალაქ მოსკოვში, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ ცენტრებში, მშრომელთა კოლექტივებში, ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში საზეიმო კრებებში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პოლიტორგანოებს წინადადება მიეცათ გააჩაღონ აქტიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა იუბილეს მოსამზადებლად, მთავარი ყურადღება დაუთმონ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, კომუნისტური მშენებლობის აქტუალური ამოცანების შესრულებას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ყოველმხრივ განმტკიცებას. ლენინური გამბედაობით და პრინციპულად დააყენონ და გადაწყვიტონ ჩვენი განვითარების მომსახურებელი პრობლემები, უზრუნველყონ მშრომელთა ფართო მონაწილეობა არსებულ ნაყოფანებათა დაძლევაში.

სახელოვანი წლისთავისათვის სამზადისმა და დღესასწაულობამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ განვითარებას, ღონისძიებათა მოზილიზაციას 1980 წლის გეგმის შესასრულებლად, მეთერთმეტე ხუთწლიდის წარმატებული სტარტის კარგი საფუძვლის შექმნას. პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს სახალხო მუშურნობის ყველა რგოლში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების, დაკისრებული საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებზე.

დადგენილებით დასახულია რეკომენდაცია, რომ 1980 წლის მარტ-აპრილში მოეწყოს ღია პარტიული კრებათა დღის წესრიგით — „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად“, რომლებზეც უნდა განიხილონ პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ დადგენილების, ამხანაგ ლ. ი. ბუჭენივის მიითითებების შესაბამისად.

გაჩაღდეს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირ-

სეულად შეხვედრისათვის, მათე ხუთწლიდის წარმატებით დამთავრებისათვის, დაწვდეს საპატიო ლენინური სიგელი იმ შრომითი კოლექტივებსა და წარმოების მონაწიეების დასაჯილდოებლად, რომლებიც ხუთწლიან დავალებას იუბილესათვის შესასრულებენ.

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ შეჯიბრების გამარჯვებულთათვის საჭირო რაოდენობის საგზურების გამოყოფა სსრ კავშირის სახალხო მუშურნობის მიღწევათა გამოფენისა და სამახსოვრო ლენინური ადგილების გასაცემად.

პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების, ეკონომიკური განათლების სისტემაში, სასწავლო დაწესებულებებში, მთელ იდეურ აღმზრდელობით მუშაობაში მთავარი ყურადღება დაუთმონ მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებს, სკკპ ისტორიული გამოცდილების ღრმა შესწავლის კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან განუყრელი კავშირით, ყოველმხრივ გააშუქონ ლენინური იდეების საერთაშორისო მნიშვნელობა, აქტუალობა, მძლეთამძლეობა. ფართოდ ასახონ პარტიის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობა ლენინის ანდერძის განხორციელების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებით განვითარებისათვის, ყოველი ღონისძიებით გაუწიონ პროპაგანდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მიღწევას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. დამაჯერებლად განმარტონ სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ისტორიული მონაპოვარნი, სოციალისტური ძირეული უპირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით.

უზრუნველყონ, რომ დაიხვეწოს იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა „ინფოლოგური პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშრომელთა აღზრდას ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურადს კომიტეტებმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამკვებამ გაშაღონ ლექცია-მოსხენების კითხვა, მონაწიე მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა თემაზე — „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“.

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კულტურის ორგანოებმა გამართონ შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან, ომისა და შრომის გმირებთან, მოაწყონ ლაშქრობები და ექსკურსიები ლენინურ ადგილებში, სპექტაკლების, კინოფილმებისა და ტელეფილმების, მუსიკის ფესტივალები, სამხატვრო გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები, რომლებიც ვ. ი. ლენინს, კომუნისტურ პარტიას მიეძღვნება.

განაახლონ სახელმწიფო და სახალხო მუზეუმები, ლენინის ოთახების ექსპოზიციები, მოაწყონ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნისა და ფოტოსურათების გამოფენები, ბიბლიოთეკათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა თვალსაჩინო აგიტაციის დათვალიერება-კონკურსები.

სკკბ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყონ მოსკოვში 1980

წლის აპრილში სამეცნიერო კონფერენცია — „მარქსიზმ-ლენინიზმი და თანამედროვე ეპოქა“.

ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, საცდესმა, სსრ კავშირის სახტელერადიო ფართოდ გააშუქონ ვ. ი. ლენინის იუბილესათვის სამზადისი და დღესასწაულობა.

სკკბ ცენტრალური კომიტეტი კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იუბილეს შეხვდნენ კომუნისმისათვის ბრძოლის ახალი წარმატებებით, გადააქციონ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვერელური ლენინური მუშაობის წლად.

გაუმარჯოს ლენინიზმს — რევოლუციური ბრძოლის, კომუნისტური აღმშენებლობისა და მშეიდობის დროშას!

დაე, საუკუნოდ ცოცხლობდეს დიდი ლენინის სახელი და საქმე!

გაუმარჯოს კომუნისმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას!


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

23 თებერვალი

საბჭოთა კრიზისა და

სამხედრო-საზღვაო

ულოტის დღეა!



თბილისის კონსერვატორიის დღესასწაული

სულხან ცინცაძე

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის რექტორი

ძარბაზული მუსიკალური კულტურა...
რა ბევრის მოქმელი სიტყვებია... რამდენი
დაუვიწყარი და ამაღლებელი შთაბეჭ-
დილებაა და განცდაა ყველასათვის, ვისთ-
ვისაც მუსიკა ცხოვრების არსად იქცა...

ქართული მუსიკალური კულტურა წა-
რმოუდგენელია თბილისის ვანო სარაჯიშ-
ვილის სახელობის სახელმწიფო კონსერ-
ვატორიის გარეშე. სწორედ მის კედლებ-
ში მრავალი წლის მანძილზე იქმნებოდა
და დღესაც იქმნება ქართული მუსიკის
ისტორია.

ჩვენი გულები მაღლიერების გრძნობით
არის აღსავსე ყველას მიმართ, ვისაც დიდი
ღვაწლი მიუძღვის ქართველი მუსიკოსე-
ბის იმ თაობის აღზრდაში, რომელმაც
საქვეყნოდ გაუთქვა სახელი არა მარტო
ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა მუსიკა-
ლურ კულტურას.

60-ზე მეტმა წელმა განვლო მას შემდეგ,
რაც 1917 წლის 1 მაისს სასწავლო კლასე-
ბი აავსეს კონსერვატორიის პირველმა
სტუდენტებმა, რომელთაც მუსიკალური
ხელოვნების დაუფლება ჰქონდათ გადაწყ-
ვეტილი.

კონსერვატორიის დაარსების პირველ
წლებში ახალგაზრდებს მუსიკის ხელოვნე-
ბას აზიარებდნენ გამოჩენილი ქართველი

და რუსი მუსიკოსები ზ. ფალიაშვილი, დ.
არაყიშვილი, ნ. ჩერენინი, მ. იპოლიტოვი-
ჩანოვი. პიანისტები — ა. თულაშვილი,
ა. ვირსალაძე, ი. აისბერგი, დ. ტრუსკოვს-
კი; ვოკალისტები — ე. რიადნოვი, ო. ბახუ-
ტაშვილი-შულგინა, ე. ვრონსკი; მევიოლინე
მ. ვილშუა; ჩელისტი კ. მინიარ-ბელორუ-
ჩევი და სხვები. კონსერვატორიის
მოღვაწეობა იმთავითვე ინტენსიურად
წარიმართა. თუმცა, მის ცხოვრება-
ში ყველაფერი როდი მიმდინარეობდა
უმტკივნეულოდ. სულ უფრო და უფრო
მწვავედ დგებოდა სწავლების პროცესის
სრულყოფისა და დახვეწის საკითხი. იქმ-
ნებოდა ახალი კლასების გახსნის აუცი-
ლებლობა. გარდა ამისა, კონსერვატორიის
მატერიალური ბაზა არასახარბიელო იყო.
მაგრამ მიუხედავად სხვადასხვა სახის სი-
ძნელეებისა, კონსერვატორია მიზანდასა-
ხულად მიემართებოდა მაღალი მწვერვა-
ლების დასაპყრობად.

შედეგმა სულ მალე იჩინა თავი. 20-30-
იანი წლების მანძილზე მოხდა სპეციალო-
ბათა ზუსტი პროფილირება, დაარსდა ახა-
ლი ფაკულტეტები და კათედრები, ასპირა-
ნტურა, ჩამოყალიბდა პარტიული და კომ-
კავშირული ორგანიზაციები, გაიშალა
იდუურ-აღმზრდელითი მუშაობა, რამაც



ხელი შეუწყო კონსერვატორიის ცხოვრებაში არსებული მრავალი ამოცანის გადაჭრას.


თბილისის კონსერვატორია ინტენსიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა ომის წლებშიც. ამაში დიდი ღვაწლი იმ დროს მოსკოვიდან თბილისში ევაკუირებულ მუსიკოსებს მიუძღვით. მათ შორის იყვნენ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები კ. იგუმნოვი, ა. გოლდენვეიზერი, ს. ფეინბერგი, ა. გაუკი, ე. გუზიკოვი, გ. ნეიჰაუზი. მათთან ერთად კონსერვატორიის ისტორიას ქმნიდნენ ქართველი მუსიკოსები. მათი მოღვაწეობა განსაკუთრებით საინტერესოდ და მრავალმხრივად ომის შემდგომ წლებში წარმართა. ასე, სასწავლო გეგმაში შეტანილი იქნა პროფესორ ვ. დონაძის მიერ შედგენილი ქართული მუსიკის ისტორიის კურსი. პროფესორმა შ. ასლანიშვილმა დაამუშავა ქართული ხალხური სიმღერის პარმონიის სპეციალური კურსი. პროფესორ გ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით დაარსდა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტი, რამაც ხელი შეუწყო ქართული სიმღერების შესწავლას და ინტენსიურ შეკრებას. ამ კაბინეტმა საფუძველი ჩაუყარა 1949 წელს გახსნილ

ქართული ხალხური შემოქმედების განყოფილებას. ეს უკანასკნელი კი 1971 წელს დამოუკიდებელ კათედრად გადაიქცა.


არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავისხენოთ ისინი, ვის სახელებთან დაკავშირებულია ქართული თვითმყოფადი საკომპოზიტორო, თუ საშემსრულებლო სკოლების დაარსება, მყარი პედაგოგიური ტრადიციის შექმნა — ა. ვირსალაძემ, ა. თულაშვილმა, თ. ჩარექიშვილმა, თ. ჩხარტიშვილმა, ვ. შიუკაშვილმა, ვ. დავიდოვამ, დ. ანდლულაძემ, ლ. შიუკაშვილმა, გ. ბარნაბიშვილმა, ლ. იაშვიმა, ბ. ჭიაურელმა და სხვებმა აღზარდეს შესანიშნავ ქართველ შემსრულებელთა არაერთი თაობა. გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორებმა ანდრია ბალანჩივაძემ, შ. მშველიძემ, ო. თაქთაქიშვილმა, ა. მაჭავარიანმა, დ. თორაძემ, შ. შავერზაშვილმა, რ. გაბიჩავაძემ გზა გაუკაფეს და დაუნათლეს ქართველი კომპოზიტორების ნიჭიერ მომავალ თაობას. სწორედ ამიტომ ქართულ საკომპოზიტორო სკოლას ამშვენებენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები — რ. ლალიძე, შ. მილორავა, ს. ნასიძე, ბ. კვერნაძე, გ. ყანჩელი, ვ. აზარაშვილი, ი. კუჭყაძე, გ. ჩლივი



ზაკარია ფალაშვილი



დimitრი არაკიშვილი



ვანო სარაიშვილი

ძე, მ. გავნიძე, თ. შავლობაშვილი, ი. ბარდანაშვილი, მ. ოძელი, ვ. ჭულუხაძე და სხვები.

1952 წელს მუშაობა აღადგინა საოპერო სტუდიამ. თავის დროზე მის სათავეებთან იდგნენ ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. შემთხვევითი როდია, რომ სულ მალე საოპერო სტუდია გადაიქცა ვოკალურ-სცენური ოსტატობის შესანიშნავ სკოლად, რომელმაც მრავალი ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი აღზარდა. მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე წლების მანძილზე გამოდიოდნენ ქართველი მომღერლები: დ. ანდელუაძე, გ. გამრეკელი, ზ. ანჯაფარიძე. ამჟამად კი თეატრის სცენას ამშვენებენ ზ. სოტიკილაძე, მ. ქასრაშვილი...

საჭურნალო წერილის ფარგლები არ იძლევიან საშუალებას დეტალურად გავაშუქოთ კონსერვატორიის ისტორიის თითოეული საფეხური. შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას უკანასკნელ ორ ათწლეულზე, რომლებიც ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ კონსერვატორია, შემოქმედებითად იყენებს რა წარსულის გამოცდილებას, ყოველდღიურად ახალისებს თავისი

მუშაობის ფორმებს, აფართოებს მათ მასშტაბებს. დღეისათვის კონსერვატორიაში 800-მდე სტუდენტი სწავლობს. სასწავლო პროცესში ჩაბმულია 20 კათედრა. სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა კაბინეტისა და ლაბორატორიის საქმიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრასთან არსებული მხატვრული შემოქმედების შესწავლის კომპლექსური ლაბორატორია.

სტუდენტთა საერთო თვალთახედვის გაფართოებას ხელი შეუწყო 1976 წელს ჩამოყალიბებულმა საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტმა, რომელშიც გაერთიანებულია ჟურნალისტიკის, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების განყოფილებები.

თავიანთ დამრიგებლებთან ერთად სტუდენტები-მუსიკათმცოდნეები და შემსრულებლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში, მართავენ კონცერტებს მშრომელთათვის ჩვენი რესპუბლიკის მრავალ კუთხეში, ემსახურებიან ამიერკავ-

კასიის სამხედრო ოლქის ნაწილებს. ზაფხულის არდადეგების პერიოდში ახალგაზრდული ბრიგადები გამოდიან საკავშირო დამკვერლური მშენებლობის მუშათა და სოფლის მშრომელთა წინაშე. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სტუდენტთა საშემსრულებლო კოლექტივების — მაგალითად, ქალთა გუნდის, კამერული ორკესტრის ჩამოყალიბებას.

ჩვენმა კონსერვატორიამ გააგრძელა და დღესაც აგრძელებს, იმ ინტერნაციონალურ ტრადიციებს, რომელთაც კონსერვატორიის პირველ დღეებში ჩაეყარა საფუძველი. ამჟამად თბილისის კონსერვატორიაში 17 ეროვნების წარმომადგენელი სწავლობს. და თუ დღეს ჩვენი ქვეყნის მოძმე თუ ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება ახალი წანარმოებები, მაღალ საშემსრულებლო დონეზე ტარდება კონცერტები — ეს სწორედ ჩვენი კონსერვატორიის დამსახურებაა.

ისიც სასიხარულოა, რომ კონსერვატორიაში მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები დაამყარა ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის კონსერვატორიებთან. დადებულია ხელშეკრულება მოსკოვის, ბაქოსა და ერევნის კონსერვატორიებთან ურთიერთ-თანამშრომლობის შესახებ. მეგობრული და შემოქმედებითი კავშირებია გაბმული პრადისა და ბუდაპეშტის კონსერვატორიებთან, ვაიმარის მუსიკალურ აკადემიასთან.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა თბილისის კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივის ავტორიტეტი. ქართველ მუსიკოსებს ხშირად იწვევენ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსერვატორიებში სამუშაოდ. ეს არც არის გასაკვირი, კონსერვატორიის კედლებში მოღვაწეობენ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები — სსრკ სახალხო არტისტები, სსრკ სახელმწიფო და რესპუბლიკის პრემიების ლაურეატები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები. კანონზომიერებაა, რომ ქართველი კომპოზიტორების

წანარმოებები უცხოელ შემსრულებელთა რეპერტუარშია შესული, ქართული ოპერები და ბალეტები იდგმება სხვადასხვა ქვეყანაში, ქართული სიმფონიური კამერული-ინსტრუმენტული თუ ვოკალური მუსიკა უღერს მსოფლიოს მრავალ საკონცერტო დარბაზში.

ჩვენ ვამაყობთ თბილისის კონსერვატორიის აღზრდილთა ბრწყინვალე გამარჯვებებით საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში. კონსერვატორიის ისტორიაში წითელი ასოებით არის ჩანერილი ე. ვირსალაძის, გ. ცომიკის, მ. იაშვილის, რ. კერერის, დ. ბაშკიროვის, ზ. სოტკილავას, ლ. ისაკაძის, ლ. თორაძის, მ. ქათამაძის, ჯ. მდივნის, რ. გვასალიას და სხვათა სახელები.

საერთაშორისო აღიარება მოიპოვა საქართველოს სიმებიანმა კვარტეტმა, რომლის მონაწილენი კონსერვატორიის აღზრდილი არიან. 1978 წელს სტუდენტთა კამერულმა ორკესტრმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა დასავლეთ ბერლინში გამართულ ჰერბერტ ფონ კარაიანის ფონდის საერთაშორისო კონკურსში. მან პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი დაჯილდოვდა.

თბილისის კონსერვატორიამ მეშვიდე ათწლეულში გადააბიჯა. მისი მიღწევობა არ იფარგლება წარსული ისტორიის შესანიშნავი ფურცლებით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საყვარელი კონსერვატორიის მომავალი კვლავც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენებით იქნება აღსავსე.

ქართული მუსიკალური განათლების ისტორიიდან

გრიგოლ ჩხიკვაძე

ვ. სარაქვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი

ზნონ სბარჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მე-60 წლისთავს ხალხი აღფრთოვანებული შეეგება. მაგრამ ქართული მუსიკის გზა, რომლის ფესვებიც შორეული საუკუნეების სიღრმეში იკარგება, მხოლოდ ექსპერიმენტული ათეული წლით როდ გაჩნდა.

საქართველო ხომ იმ უძველეს ქვეყნებს განეკუთვნება, სადაც შეიქმნა ადრეული კულტურის სხვადასხვა ცენტრი, წარმოიშვა დამწერლობა, დაიწყო აკადემიური მეცნიერების, ხელოვნებისა. აქვე მხედველობაში გვაქვს მუსიკალური მემკვიდრეობის პირველწყაროები, მისი ურყევი საძირკველი—ხალხური სასიმღერო შემოქმედება, ქართველ წინაპრთა ეს სიბრძნის უშრეტო წყარო, საუკუნეების მანძილზე რომ მრავალწინააღმდეგობა გადალახა, დაიხვეწა, თაობიდან თაობას გადაეცა, გამარავლდებოდა მდიდარ მემკვიდრეობად, ძვირფას საგანმრთად დარჩა შთამომავლობას. ამავე მემკვიდრეობის მატერიალური კულტურის ძეგლები, ანტიკური ხანის წერილობითი ცნობები. აკიოგრაფია, მიწოგრაფია, შესაბამისი ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალები, ქართულ-რუსულ-უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული, სამეცნიერო-სამუსიკო ექსპედიციების მიერ მოპოვებული თავანჯარა სიმღერები, რომელთაც თავისი ჩახახიხა და განვითარების არ, 60 წელე, არამედ მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ამის გამო, რეფორმები, კონსერვატორიის დღევანდელ ზეიშში ჩვენს დიდებულ წინაპრებსაც მიუძღვის დამსახურება. ამან მიკარნახა ამ წერილში უძველეს ქართულ სიმღერა-გალობასაც შევხებოდა.

სანამ სკოლა-სასწავლებელი შეიქმნებოდა, საქართველოს მუსიკალური ცხოვრება ხალხური სასიმღერო შემოქმედებით და სახლიერო საგალობლებით იფარებოდა. მის პარალელურად IV საუკუნიდან, საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შემოტანის შედეგად წარმოიშვა ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსაკუთრება—სასულიერო გალობა, რომლის განვითარებამაც დღისმსახურთ ბევრი საზრუნავი გაუჩინა—პირველ რიგში, ბერძნული საგალობლების ტექსტების თარგმნა, შემდეგ ქართული ტექსტებისა და საგალობლების შექმნა, რამაც გამოიწვია სამუსიკო განათლების დანერგვის, საუნდო ხელოვნების სწავლების აუცილებლობა. ჭერ ეკლესიებთან გახსნილ სამრევლო სკოლებში ასწავლიან გალობას, ქმნიან გუნდებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართული ეკლესია თანდათან თავს აღწევს უცხოურ გავლიანს—ჭრ ასრულებს (განხილვებულ ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის VI ს-ის დამდეგს, შემდეგ ბიზანტიურს (VII—IX სს), ქართული გალობა იკვლევს

გზას დამოუკიდებელი განვითარებისაკენ. შემდეგ ფართოდ ცნობილ ტარებსა და მონასტრებთან, როგორც საქართველოში (გელათი, ივანთო, თბილისი, გრემი), ისე საზღვარგარეთულ კულტურულ ცენტრებში (პალესტინა, კონსტანტინოპოლი, საბერძნეთი, სირია, ბულგარეთი) არსდება სემინარიები, აკადემიები, სადაც საპატრიარქო ეთმობა მუსიკის სწავლებას; აუღიბებენ საუნდო კაქელებს, აწვადებენ მათ ხელმძღვანელებს, თხვენ რიგგინაღურ ქართულ საგალობლებს. ამგვარად, თითოეული მათგანი წარმოადგენს პროფესიულ საუნდო განათლების ნაშთილ კერას. IX საუკუნისათვის საქართველოში გახლდათ ხელოვნება მალად დონეს აღწევს, რასაც ნათლად მოწმობს გამოჩენილი მიწნოგრაფის, მგალობლისა და ლიტურგის გიორგი შთაწმინდელის საგუნდო კაქელს. მიერ (80 ხაზების შემადგენლობით) საგალობლების შესრულება კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერატორის დუნაში, რომელსაც გუნდი შეუქნა და მისი ხელმძღვანელი დაუნაშუქებია.

ამავე პერიოდში ხდება საუნდო დამწერლობის სისტემატიზაცია, ჩნდება მუსიკის თეორეტიკოსები, კომპოზიტორები, ვითარდება შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობა, დგება საგალობლების კრებულები, ამთავრ ზოგა—ნეშებრებული. ამ მხრივ განსაკუთრებულ უნაღდებს იმსახურებს მიქეელ მორდცილის მიერ შედგენილი იადგარი (878-888), საგალობლების ეს უზარმაზარი ფოლანატი, და იორდანის მღისპირა კრებულს, როგორც საებათმნიშვნელობის, ქართული სასულიერო მუსიკის განვითარების რთული გზის დამავიარგებელი ნაშრომი.

XI საუკუნეში, განსაკუთრებით კი XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც განცალკევებული ფეოდალური ერთეულები—ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი გაერთიანდა ერთ მძლავრ სახელმწიფოად, როდესაც საქართველოს სამეფოს საზღვრები ჩრდილოეთით დარუბანამდე, სამხრეთით ტრაპუნტამდე, ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით შავი და კასპის ზღვებით შემოფარგლული, საქმაოდ სცილდება ამიერკავკასიის საზღვრებს, როდესაც ეკონომიურად და პოლიტიურად მომადგა ქართული ხალხი, ერთგული კულტურა დაუფლდომაღეს მწვერვალს, მრავალი არქიტექტურული ნაგებობანი—ციხე—სიმაგრეები, კოშტები, დარბაზები, ტაძრები, მონასტრები—ამუშენდნენ საქართველოს მიწას, ქართველმა ღმისმეტყველებმა; მწერლებმა განავითარეს და გამამდიდრეს ქართული ლიტერატურა, ეს ეპოქა ამაყობს ისეთი პოეტების, ფილოსოფოსებისა და ხელო-

ვანთომღერების სახელით, როგორც იყვნენ შოთა რუსთაველი, ჩაბრუნებ, სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, აოსთა ივალთიელი, იოანე პეტრიწი, ბეკა და ბუშენი იპაზარები და სხვანი. ესენი წერდნენ პოემებს, ოდებ, თარგმნიდნენ და თხზავდნენ ფილოსოფიურ შრომებს, საუბგოო ფრესკებით ამოხუნდნენ ტარტებს, სადაც სადაც ეღრდნენ ქართული საგალობლები, სემინარიებსა და აკადემიებში იეუფლებოდნენ საშუალო განათლებას.

იმავედ კიოხვა — ამ პერიოდისათვის იყო თუ არა მრავალმხიანი სიმღერა - ვალხობა. თუ იყო, რა ცნობებით არსებობს ამის შესახებ? დასმულ კიოხვაზე დადებითი პასუხისათვის არსებობს რამდენიმე წყარო — ხალხში შემონახული საშუალო ტერიმინოლოგია, სათანადო ნიმუშები ხალხური სასიმღერო შემოქმედებისა, საშუალო საკულტურების წარდგომებითი საბუთები. ამ საქართველო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XI-XII საუკუნეების დიდი შეცნობის, ქართული ფილოსოფიის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ავიოგრაფოსის, ასკრიონო-ასკრიოლოგის იოანე პეტრიწის ცნობა, მოტიანი ნემსისონ ენებულის საღვთისმეტყველის და ფილოსოფიური თხზულების „ბუნებისათვის კაცისა“ თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში, სადაც, ცხება რა ქართული მრავალმხიანი მუსიკის შემოხვის, იოანე პეტრიწი განმარტავს, რომ ქართული მუსიკის შეთქმულებისა და სარგავიერი საუკუნეველს წარმოადგენს სამი ხმა: „შხაბარ“, „იორი“ და „ბაშა“ ე. ი. მაღლა მძახენდი, ანუ მაღალი ხმა; შამდევნი ხმის სახელწოდება „იორი“ მეგრული წარმოშობისა და ნიშნავს ორს, ე. ი. მეორე ხმას. მესამე ხმა — „ბაშა“ იგივეა, რაც ბანი, ე. ი. „სამ ხმას შორის ეველაზე დაბალი, მესამე, შემანახებელი ხმა. აქ აშკარად და ლაყინით რად არის ნათქვამი პეტრიწის მომდევნოების პერიოდში ქართული სამხმინო მუსიკის არსებობის შესახებ. ამასთან ერთად, ამ იოანე ცნობაში უსრულდება იქვედ კიოხვა ორი მონიერი, რომლებიც ავასტურებულ სამხმინოების ქართულ ნივთავი წარმოშობას. ერთი, რომ საქართველოს იმ დროს კულტურულ ფრესკებთან ჰქონდა მხოლოდ აღმოსავლეთ ქვეყნებთან, რომელთა მუსიკასაც ახასიათებს მონოლოგიური, ერთხმინი მუსიკა. მეორე ის, რომ ხმათა სახელები არა ნახსენებია, არამედ ქართულია.

ამ ეთნოგრაფი სასულიერო მუსიკასთან ერთად დიდი მიღწევები აქვს, აგრეთვე, საერო მუსიკას (იგულისხმება მეფის კარის, სამხედრო, ხალხური) და ფართო ვასაქანი ეტლავა. გამოჩინული მომღერლები მრავალჯერა სასულიერო სარგების თუ სარგავთა მუშობის თანხლებით ქართველი პოეტების პოემებს, ოდებ ასრულებენ მეფის კარზე. საერთოდ, საერო მუსიკა თავისუფლად გაიხმის ყველგან და ყოველ დროს. იგი განუტყრელია ნადირობის, ბრძოლის, სპორტული შეჯიბრების, სხვადასხვა გართობა-დღესასწაულების, კორწონის თუ დღეობებისა:

„...თი დღეობის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ბენისა, მოდუნას მღერა, ბურთობა, დგრალო ცხენა დგენისა...
ან — იანდერის, შემოქიქენ შიარაული მიღერის რულნი...
ხმას სცემს ჩანგე ჩადანასა, მომღერალი იყვნენ რულნი“...
კვითხულობით „ვეფხისტყაოსანში“.

ამე ფართოდ გამოყენება სასულიერო სარგავებისა და მომღერლების მინარეობა სასულიერო შეჯიბრებზე მოწმობს ამ დროისთვის ეტლეთისის ბრძოლის მნიშვნელოვანდ შესუსტებას საერო მუსიკის წინააღმდეგ, რომელიც საბატო ადგობს იკავებს თეთი მეფის კარზე. მაგრამ საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკური, კულტურული სიმდიერე დიდხანს არ გაგრძელდებულა. შემოქრალმა ოსმალებმა, ირანელებმა, მონღოლებმა და სხვათა ურდობებმა XIII-XVII საუკუნეების საქართველოს არა მარტო მოუხსნეს მშვიდობიანი ცხოვრების, კულტურის შემდგომი მნიშვნელობის საშუალება, არამედ განადგურეს მრავალი ფასეულობა, ისტორიული ძეგლები, ეროვნული ხელოვნების ნიმუშები.

შემწილი მძიმე პირობების ხალხი ვერ ურიგდებოდა და საუკუნეების მანძილზე იცრებდა ძალებს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ეროვნულ კულტურის აღორძინებისათვის. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ XVIII საუკუნეში. ამ დროს მოდევნობას იწყებენ პოეტი-მომღერლები ბესიკი და საიანოვა, უფრო ადრე — შგნებარე პოეტი დავით გურამიშვილი, რომლის ხელოვნება „ხმა“, ხალხური სასიმღერო კოლოზე შეწყობილი, არ არის დღემდე სათანადოდ შესწავლილი. აქვე აღსანიშნავია ორი დიდი შექრალა-მოარგოდ და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი და იოანე ბაგრატიონი, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ქართულ მუსიკას. მხედველობაშია სულხან-საბა ორბელიანის ეტლავა „ქართული ლექსიკონი“ მასში უხვად ნახსენებული ძველი ქართული სამუსიკო ტერიმინების განმარტებითი, რასაც ვერც ვერ აუტყვის ქართული მუსიკის მკვლევარი. ქართული მუსიკის თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ო. ბაგრატიონის მეტად ორივე ნაშრომი, ენციკლოპედიური შინაარსის ნაშრომი „აფხაზობა“ და ხელნაწერი (ნოტის გუარანი ვალხობის), რომლებშიც ეტლავის პირველი ცეხვა ქართულ გალობაში ექსპონირების საკითხს. ამავე საუკუნეში ეტლავ ადგილი ეიოზია ქართული გალობის სწავლებას სასულიერო სემინარიებსა (თბილისი, თელავი) და სარგულთ სკოლებში. ქართული ეტლავის მთავად — კათალიკოს ანტონი ინერტი-გულუა და განაგრძობს მგალობლები ახლარსა, რომლებიც დიდად შეუწყეს ხელი ქართული გალობის აღდგენა-განვითარებას საქართველოს ეტლავისა და მონახებებში. ეს იყო ეროვნული ჩაგრვის საწინააღმდეგო ერთ-ერთი იარაღი სხვაენოვანი საკულტურო გალობისაგან ქართული გალობის თავდასაცავად.

ქართული ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებაში არსებითი ცვლილება მოხადნა რუსეთთან საქართველოს შეერთებამ (1801). პირველ რიგში საზღვარი დაიღო აღმოსავლური ქვეყნის შემოტევისა და შეიქმნა შედარებით მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობის პირობები. ამიერიდან საქართველოდ სასილოდ რუსეთისთვის იბრუნა პირი, ახალ ცხოვრების დასაწყისი, რუსეთის გზით ევროპულ კულტურის ენოარა, რასაც თავის მხრივ, ქართული მუსიკალურ კულტურაში ძირული გარდატეხა მოხადნა. ვასული საუკუნის 20-ანი წლებშიდა სასუქველი ეტრება რუსულ და ევროპულ მუსიკასთან მუდმივ კავშირს. პარალელურად მოდევნობას იწყებენ მუსიკის კერძო მასწავლებლები, იხსენება მუსიკის კერძო კლასები. მუსიკა ასწავლიან აგრეთვე რიგ სასწავლებლებში; მხედველობაში ვაქვს, უმოკრესად, ფორტეპიანოს სწავლება. ამავე წლებში არსიოკრატული საღვთისმღერო იბარებია საღვთისმღერო-სამუსიკო სავამოები. ამ სავამოებს ესწრება იმეფად თბილისში ჩამოსული ა. გრიგორელი, როგორც პოეტი და კომპოზიტორი და მისი მუდგულ ნინო ჰუკავაძე, პირველი ქართველი პიანისტი, რომელსაც თბილისში ჰქონდა მიღებული სასწავლო განათლება. ამავე პერიოდში მუსიკის მოვარაუთა წრე აყვობს საქარო კონცერტებს და აცნობს თბილისის საზოგადოებრიობას რუსული და დასავლეთ-ევროპული კომპოზიტორების სხვადასხვა ფერისა და ფორმის ნაწარმოებებს. ყოველივე ეს მუსიკალურ ცხოვრების თბილისში სულ უფრო შინაარსიანსა და მრავალფეროვანს ხდის.

1851 წელს იტალიური პიანის მონაწილეობით თბილისის ოპერის თეატრი ხსნის თბილისში დაიგე სერუნს, 1880 წლიდან ამავე თეატრის სცენაზე იდგმება რუსული მუსიკის კლასიკოსები — მ. გლინკისა, ა. დარგომიშისი, მ. მუსორგისკის, პ. ჩაიკოვსკის, ა. რიმსკი-კორსაკოვის და სხვათა ოპერები. როგორც იტალიური, ისე რუსული ოპერებს თბილისის საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდები, სტუდენტობა აღტაცებით უხვდა და შეეცაო კიდევ. მართალია, ამ დროისთვის ქართველების მუსიკალური მარჯვ მხოლოდ საკუნდინად საუკუნემდე შემონახული ხალხური სიმღერა და სასულიერო საგალობლები წარმოადგენდა, მაგრამ ეს ნიმუშები მელოდიათ, პარამონიული და პოლიფონიური სასუქველს, ფორმის, სტრუქტურის, სტილის მხრივ იმდენად დახვეწილ-ჩამოყალიბებულ იყო, რომ ამ მაღალმატრულ მასალებზე ახლრდობებს მუსიკალური სმენა და მესხიერება სათანადოდ ჰქონდა განვითარებული,

¹ ნემსისონ ეტსელი. ბუნებისათვის კაცისა. იოანე პეტრიწის ოსტ. 11 ტ., 1937.

რამაც ხელი შეუწყო მათთვის უცხოური მუსიკალური კულტურის შეთვისებას.

ცნობილია, რომ ქართველმა ინტელიგენციამ პირველი რიგში იტალიური ოპერების მღერადი, კოლორატული, ნიჟო მელიდონი სწრაფად აღიქვა. შობილური ხალხური სიმღერათვის დამახასიათებელი სამხარია ადვანობა შეესადაგა, ჭერ ხალხში, შემდეგ მასწავლებლობით დაამტკიცა და ასე გაუფანა მასზე სახალისად, მანქანებით. ეს სიმპათიური სიმღერები შემდეგ ნაფლავდ და დრო ქართულ ფოლკლორულ მუსიკას, ცნობილ ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედების ერთ-ერთ განსაკუთრებულ — ქართულ ქადაურ სიმღერებად, რომლებიც არა მარტო ქართველ, არს კომპოზიტორებსაც თავის შემოქმედების წყაროდავით გამოყენებულა. ეს, უდავოდ, ქართული პროფესიული მუსიკათვის მნიშვნელოვანი შემწავია, მაგრამ, საერთოდ, XIX საუკუნის საქართველოსთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ სამუსიკო განათლებას, რომელიც ესოდენ მიწურებულ იყო პროფესიულ მუსიკაში უყვე გათვით-ცნობიერებულ თბილისის საზოგადოებისმა, ტექნიკ სასუფელო დადიო. ჭერ 1871 წელს „კავკასიაში სამუსიკო საზოგადოება“ ხსნის სამუსიკო სკოლას, თუმცა კადრების აღზრდის ნამდვილ ეტაპად გვეჩვენება ხარლამაი სავანელოს, ალიოზ მიხაძარის და კონსტ. ალიხანოვის თაოსნილობა 1878 წელს დაარსებული სამუსიკო კლასში, 1916 წელს — სკოლა და შემდეგ სასწავლებელი. 1888 წელს თბილისის სამუსიკო სკოლის დირექტორად ნიშნავენ კომპოზ. მ. მ. იპოლიტოვიანოვს (ხ. სავანელოს მეგობარს ჭერ კიდე პეტერბურგის კონსერვატორიის ხელმძღვანელების წლებიდან, რომელიც, „რუსების სამპერატორი სამუსიკო საზოგადოება“ დაუბრუნებო პირველად 1882 წელს ჩამოვიდა თბილისში სამუსიკო სასწავლებლის მუშაობის გასაწყობად. ერთი მხრივ, შემოქმედის შედეგად სასწავლებლის მუშაობის მაღალმა მუშავებამ და, მეორე მხრივ, სასწავლებელში მისმა სპეციალური განხარობა დირექტორის თანამდებობაზე მ. იპოლიტოვიანოვის დანიშვნა. ამავე წელს რუსების იმპერიის ქალაქების სამუსიკო სკოლებს შორის თავისი კვალიფიკაციური პედაგოგიური შენედეგობისა და სწავლების მაღალი დონის შედეგად თბილისში დაარსდა „რუსების სამპერატორი სამუსიკო საზოგადოების განყოფილება“, რომლის პირველ თავმჯდომარედვე არჩეულ იქნა მარიამ ჯანაძის ასული კამბაკურ-არბიღოანი, პიანისტი და, ამასთანავე, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული. ამას მოჰყვა თბილისში მუსიკალური ცხოვრების გამოკუცლება, სიმფონიური და კამერული კონცერტების რეგულარული გამართვა, საერთოდ, ეს წელი, როგორც საქართველოში, ისე მიუღ ქვეყანაში სამუსიკო განათლების მუშეწეობელი ზრდის ფრიალი მნიშვნელოვანი თარიღია. მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის პირობებში, ეროვნულ მუსიკას ეს სულ არ შეხებია, როგორც ხალხური სიმღერა, ისე სასულიერო გალობა მივიწყების გზაზე იყო დამდგარა.

ს. ახმეტელმა ტრაგედია „თეთნულდის“ თეატრალური ფორმის სანტერქსად ილი ანტიური ტრაგედიისათვის დამახასიათებელი არქიტექტურა, რომელიც ძირითადად გმობისა და ქორის ურთიერთობის ურუნდება. ანტიური ტრაგედიაში ეს ტრაგიული ირონია იმშია გამოხატული, რომ მავურებელმა და ზოგჯერ ქორიმ, უყვე იმის გმობის ცხოვრების სადესინური დასარტლის ვარდუალობის ანევი. ტრაგიული გმობი რა თვისი წინაპრები განსაზღვრელობის გონა და ამავე წინაპრები ძალის კანახით თვავანართულად, დეინეზით მიიწერება ამ დასახსრულსაც, მიუხედავდ იმისა, რომ მას ქორც და ახლობლებიც აფრთხილებენ — ამან სუ სნადიხარო. მისწრადებს ამ პრეტენზი მევადება სწორედ ტრაგიული ირონია, რომლის დილსტატები იუნენ ბერძენ ტრაგიკოსებში და ილიისი ურთები (მაგალიად ასეა წარმოდგენილი სპრატედ ჰლკოტის დილოგებში). ცხოვროვად, სოფრლეს „ილიისის მეფეში“ ტირეზაჟად ჩვენც, ამ ტრაგედიის მსმენელმბა, კარვად ვიცით თუ რა ტრაგიული შედობის მსგებობა ილიისისა და როგორი დასარტული მოცლის მას, მაგრამ ეს არ იკის ილიისისა, რომლის სიტყვები, მო შემდეგ, რაც ტირეზაჟს საყმად ნათლად აგრძობინა. თუ სად არის საძიებელი ბიოტიკობის სათავე, რას შემდეგ, რაც ოკასტის მონაყოლმა ბეგრი რამ მიახედია, ელერის, როგორც „ტრაგიული ირონია“.

„არაფერია... ჩემი დედა თვით განგება, მამა — დრო ვაში, ნათესავი... უნდო ვარსკლავთა... მათი კალიის ევე, მე, არარა, ხეიმწოდო ვიქეც და რამა პსმუნი მწაულობს ზიდა, რამ მემინომღეს, შევიცნო ჩემი დაბადების იღუმელბა?“

შემაჩვენებელ შობებულებას ახდენს ეს მართლაც ტრაგიული შეუსაძამობა — გმობის დაწამალებს და მის წინაპრებს სისეტიკოს შირის, საწინდელ სანტერქსლს და თვალშეუღმად სიამავეს შირის ტრაგიული ირონია მეულის სიღრით მევადებდა სიტყვებში — „და როცა ისდენ მწაულობს ზეცა, რად მემინოდეს?“ — რადგან სწორედ ზეცა, ზეციური, ღვთიური ჰელა — შირისა — ბედსენწერა — არ სწავლობს ილიისისა, ეს რაც შეეხება ტრაგედიის გმობის მიმათ გამოვლენილი ირონისა, მაგრამ ანტიური ავტრტები წინარედ ქორის მეშეუობი გამოხატავენ ამ ტრაგიული შეუსაძამობას ანუ ტრაგიულ ირონისა. ამის დილსტატც იყო ესქელე, რომლის ტრაგედიულ შირის განსაზღვრული ფუნქცია ჟისია. ტრაგიული შეუსაძამობა ქორის მერს (ქორი ევლადაერს ხედავს) გამოხატულია იმავარი მეტაფორულიბით, რომლის სიღიდე და ბრწყინვალედა სრულიად უაღებია მომხდარი მოვლენის ან გმობის სპეციტელს მიმართ.

მაგ. ესქილეს ტრაგიედიოში „შეიღნი თეფს წინააღმდეგ“, ხალცი ილიისის უახლობი თეთიკოდ და პოლინიეც ერთმანეთს განგმობრევენ სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში, მაცენ საზემოედ აცხადლებს:

«Два полководца скифским, твердокованным
Железом разделили родовой надел.
Земли получат столько, сколько гроб займет...»

ამ სიტყვების შემდეგ ქორი მერტის:

«Равная доля увы
Гневным досталась братьям.
Честно Арес вершил
Суд. Но не мил друзьям
Этот судья третейский.»

(ველებერქსენდან თარქნა. ს. ატკმა).

„თეთნულდის“ რეისორი ს. ახმეტლი, არა მხოლოდ ანტიური ტრაგედიის ვარგულ სტრუქტურას ურუნებოდა, არამედ ამ „ტრაგიული ირონის“ გზით ვიციენებდა ბაპების და მისი წინაგ.

ქლოს სულიერი ბელადის არაგვის ბრძოლის პათოსის შეუსაზამოაბს არსებული სინამდვილის პათოსთან. იბრძოდებოდა მათურგელად იცოდა არაგვის სამყაროს გარდაუვალი დამპყრობის ამაგი და ამიტომაც ამ მოხუცისა და ბავშვის ეს მიელი რიტუალი, ეს შვიმი გლახასის დავლის გამო ტრაგიული ირინით იყო გასწავალული. არის მხრის კ. ამტკავული იწარმუნება იბიტიკტორ პოხიჯის — ვიწრობნება ბავშვის შებნელი სამყაროს მიელ სანაუნუნებასა და ძალს და მეორე მხრის, როგორც მხატვარი, მოქალაქე თავის სუბტიკტორ დამოკიდებულებას (რომელიც სათავეს იღებდა სამყაროს იბიტიკტორ შენაში) ამ მალადა ამ ძველი სამყაროს მიმართ და სწორედ ამ „ტრაგიული ირინისა“ შემოქმედობამოხატებად არაგვის არსებობას და ამ არსებობის ფორმების ტრაგიული შეუსაზამობას ახალ სინამდვილესთან შეერთებობა. აი, ამგვარი სიბრძნითა და რთივანლობით გაიარა რ. ამტკავალი არაგვის (ძველი სამყაროს) ტრაგიული, მწიერი, საეუროტეების სიღრმეში გამოქალაქი და გამორჩეობილი კრწინის ტყეებში. ამგვარი ეტიკური-ფილოსოფიური გავრტება მის კარნახობდა იმის აუცილებლობას, რომ არაგვისი ირვლივ ტრაგიული ზრე შეკრულყოფა და მოთალე, სექატალში ეს წრე იკარებოდა. ტრაგიული სტრუქტურისა და გმირის ბედის ეს ორგანული კავშირი მაშინ თითქმის შეუმწრველი დარჩა.

შემოხვევითი არ არის ა. ფეტრალკის მოსაზრება: *«В результате этого в спектакле не было настоящей развешания Аргиш-ди, напротив выразитель идеологии уходящего в прошлое уклада жизни представал в некоем геротическом ореоле.»*

სინამდვილეში აქ არავითარი „გმირული შინაავნელი“ არ დამინათლოდა თავი არაგვის, ისევე როგორც, ეხეტიკური ტემბით, რიტუალური ფორმების უკრტიტი და დემონისტრირები არ ყოფილა გატაცებული რეესიორი. არაგვის და მასთან ერთად მიელ ძველ სამყაროს ტრაგიული სიიადედი კი არა, ტრაგიული განწრივობა, ტრაგიული ირინის ახსიათებდა და ამ განწრივობისა და ირინის აუღუნებად ახალ სამყაროსთან, ახალ ადამიანებთან, კომუნისტებთან და მოკავშირეებთან შეიარსებას. აქ ჩანდა რ. ამტკავლის პოეზია თანამედროეობისადაი, მისი მისწრაფება ახალი თეატრალური ფორმებით ესახს სოციალისტური თეატრია, ეტეებიდან ახალი ადამიანის შეგების წამოკალიბება ძველთან დაწინაგებლ ბრძოლაში. ამ გზაზე „თეთნული“ შექველად საჯალისსამო მიიღენა იყო.



ოდდათაიენ წლებში ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ იგი, ეტრული თავისი რეჟისორული რეკრტურით შექმნილი ტრადიციისა, უფრო აქტიური იმ იბრძოდა იმისათვის, რომ ფართოდ მოცევა საბჭოური ცხოვრების მიელი პანორამა, ეტეებიდან არა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს თანამედროეობა, არამედ ის დიდი სოციალური ძებრები, რომელიც მილიანად საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი. ახლა, ქართულ სცენაზე ჩვენი მათურელები ხედვდა არა მხოლოდ ქართული კომუნისტების, არამედ რუს, უკრაინელ, სომეხ, უზახ კომუნისტებს. იბტრაციონირებულ ძმობის, რეჟისორული ერთანობის იდეა, შესანიშნავად გამოხატული „პროზაში“ თავის გარტელებას პოულობდა რ. შენაშინიანის პიესისა „სინში“, ამ პლიტიკურ ქრონიკას, საადე ნაწებში იყო ქართული, სომეხი, უკრაინარენელი ბილმიელების ბრძოლა მემშვიკეობის, დშენაქებისა და მუსავატელების წინააღმდეგ, შივი გამარტვება ამ ბრძოლაში და, როგორც ამ ბრძოლის ლეგიკური გარტელება, ამ სამი ბილმიევის ენთუზიასტური შრომა პარველი ხუროწყლის დასაწყისში — ერთ-ერთი დიდ მუნებლიანობაზე.

ქართული თეატრის თეატრული საზღვრების გავრტობის, ახალი გმირების სცენაზე ჩვეების თეატრალიზის, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შესრულება რუსულმა და უკრაინულმა საბჭოთა დრამატურგებმა. ამ მნიშვნელოვანეულუ აქტივობათა იჩენდა კ. მარჩანოვილი და მისი ახალი თეატრი. იგი გულდასმით ადევნებდა თეატრ რუსული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებას, გრტნობდა იმ სიახლებს — ფორმისა და იდეის სიახლათა თეატრალიზის — რომელიც დრამატურგის ახალი ტალღის წარმომადგენლებს მოჰქონდა. ელ. დიწერისადაი მინაწერი წერებში იგი გაკვირვებას გამოიქველდა იმის გამო, რომ მინაწერი თეატრის უარყო პირისთვის

„უბერი“, აფინოგენოვის „შიში“, პოკოდინის „ფოლაღის პოემა“. როგორც ცნობილია, სამედე ეს პიესა კ. მარჩანოვილის ხელმძღვანელობით და რეჟისორული განხორციელება.

ქართული მხახიობა ახალი თამბის მრავალმა ნიტიემმა წარმოადგენელმა შესდომ ჩვენი მომე გმირების მიწრინევე შეთია დამატრებელი პორტრეტების შექმნა.

შენანიშნავა მხახიობა შ. დამაშორძემ, რომლისათვის დამახასიათებელი იყო დიდი უმუთალობა და ბუნებრიობა, სიმართლე და გულთაობადა, ქართული მათურეზისათვის ახლობელი და საუვარელი გახდა კომუნისტი მიახლოების სახე (კრწინის „პუერა“), ხოლო მისი სრულად ახალგაზრდა რ. თავაიშელისა და ვ. კრიპიანოვის, მათთვის დამახასიათებელი ტემპერამენითი და გზგუნბარებითი შექმნის კომუნისტი, ავიატორი ქალის ასება და გამომგონებელი მუშის — ტეტაშას მხატვარი-სცენარისტი სახეები.

ისტორიის დიტგნეიდან ციტა უდრურად — ვიტუტალი მებტსაც — ვაგნარულაღედ გვეჩვენება იბტროინდელი კრიტიკის პერმანენტული თავდასხმები ქართული საბჭოთა თეატრის გამოჩენილი მოღაწეების მიმართ. პლიტიკური კონფლიტრტის აუცილები ზოგინითი კრიტიკოსი ყუველი სტუროს დასაწყისში კ. მარჩანოვილისა და რ. ამტკავლისადაი მოითხოვდა, რომ თავიანთი შემოქმედებით დემისტურიქიონ თანამედროე თეატრული დიტეტრესება, კომუნისტური იდეებისადაი ერთგულბება, რეალისტური თეატრის პრინციპების აღიარება, თიბლიანი გადმოსული მებტრე სახელმწიფო დრამის თეატრის ყუველი დრისშენისწინავე სექტაკული (პოპულარ, ჩვენ ვიცობლიობი“, „საკაღ გულში“, „როგორ“, „უკრავრე თუთაბერი“, „ურიდე აქოსტ“) თითქმის არა ყოფილაყობის, თითქმის არ შედგარიყობის მისი გამარტებობა და სრული აღიარებობა დეგარტელების, გატრტობის თიბლისა და შემდეგ მოსკოვისა და ხარკოვის, (ამ გატრტობებს ყუველა გამოჩენილი კრიტიკოსი ა. ლუნარსკის მიგაურობით, გულმურტვალედ გამოცხადურაქ) იდაი, თითქმის ყუველაფერი ეს დეიწყუტება მიეცა და კ. მარჩანოვილის ახლა უნდა დეიწყო თანამედროე ცხოვრების ამსხვეტალი სექტაკლების შექმნა. კ. მარჩანოვილი იყო ამ დრის ნაგარტობადა აღებული გუზეს და თავის თეატრში ზღუნედ ამორტილებდა რ. კულმეის პიესის „კომუნა სტეში“, ი. ოლშუს „სამ ბუნეს“, ნ. პოკოდინის „ფოლაღის პოემა“, ვ. კრიპიანის „პუერა“, ი. მიკიტენკის „განათვი ვარტკალები“, კ. კადაშინის „სახლი მებტრის პირას“, ვ. ბააივის „მუნებტი აღაპარადენე“ (დ. არაშაის რეჟისურა), ა. აფინოგენოვის „შიში“.

ამ სექტაკლებიდან ყუველზე დრისშენისწინავე მხატვრული მიგუნედ იბტროინდელი თეატრალური კრიტიკისა და დედანდელი თეატრალური ისტორიკოსების მიგირ მიწენილია ნ. პოკოდინის „ფოლაღის პოემა“. ამ სექტაკლებს (და მასთან ერთად ვ. კრიპიანის „პუერა“) განსაზღვრაო თეატრის იდიოლოგიური შემობრუნების მნიშვნელოვანი ძებრია.

მართლაც, „ფოლაღის პოემა“ მრავალმხრივ დრისშენისწინავე სექტაკული იყო. პიესის მვეთჟივი ნებრე შიხი ახალგაზრდული სულსკევობა, პლიტიკური ეტიკეტიკა, მისი თანადროული პარბლემატია შესანიშნავად იგრტმეო. მარჩანოვილმა და მხატვარმა ს. ოცხელმა, ამ იბტრტებულში მუგაყვის ფუნქციონირებობადა სოციალური და კლასობრივი ბრძოლის მართალი და მთლურად სურათები, რაც თან ახლდა ქვეყნის დიდ ეკონომურ და სამარტველო წინადას. პიესის პარბლივი ერთგვარი ამბიტრნი იყო მილი სექტაკლების ეს პარბლივი. კ. მარჩანოვილის თიბონი პოემა ვ. ფაფრინი დამჯდამა გულქისა და ხიდაეს გზტნიობა და დამატრტობითი წიკითიხა მაშინ სრულიად ახალგაზრდა სტრუო ჰაქარიამდ. ეს პარბლივი კარგად ვეგარტნიბინებდა სექტაკლში წარბოდენილი რეალური კოფის, ყუველდროული თავდადებობი შრომის პლიტიკურ საფუტყლში. სექტაკლში შთაბერი იყო არა ახალი ეტრანგავი ფოლაღის მიგუნებადა დეკავშირებული კონფლიტტები, არამედ შრომის თიბილი, ახალგაზრდული ენთუზიზმი, რომანტიკული აღქმა შრომის პროციქისა. ეს სრულად ახალი და მღერვარე მოტივი იყო ქართული საბჭოთა თეატრისათვის. შრომისადაი დამოკიდებულების ეს თემა ეტიკიდობდა და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსადაი დრმა სიყვარულის და ერთგულების მოტივზე გადადიოდა. სექტაკლის ამგვარმა გადაწყვეტამ განაპირბა მეორე, ორგანული და პლიტიკური ანადირ რეალეუტური გამოყუტა. სტესუკა და აწო არა მარტო სიახლის, ნებრების, ენთუზიზმის სტეტიის განახახებრებადა არამედ სოციალისტური სამშობლის პანსაღბლად ხელს, ეს მნიშვნელოვანი



ცხლებული პიეტრ-ფილოსოფიური ლიტერატურა სექტორულ ადასკე-ბა არა მხოლოდ პოეტური მუსიკით — შრიშის მიმართ — არამედ ვიკინენება ახალი სოციალური ურთიერთობის დინამიურ, დიალექტიკურ ბუნებას. ამ ძირითად და ვითარებ, მხოლოდ ამ სექტორულათვის დამახასიათებელ ატმოსფეროში, ინსერებოდა საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური გარდაქმნის პროცესი და მავრებლის თვალწინ ხდებოდა ამ პროცესის დასრულება. ე. მარჩანიშვილმა ეს „განახლებული სული“ — „სულის გა-ზახულობა“ — როგორც ვაჟა იტყვას — მთელი სექტორების გან-მარჯვრებლ განწყობილებად აქცია. ამან მას საშუალება მიცა ხალხისად, წარატყა ხალხობითი სტრუქტურა გაეშალა. თუ რეალუ-ლიის თეატრში ამ პიესის დამდგმელმა რეჟისორმა ა. პოპოვმა შეს-ლია — „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის“ მოქმობით — პირველად საბჭოთა სტენაზე მართულისა და ყოველდღიურის ის შერქმება, რაც შედგომო ჩვენი ცხოვრების ნიშანდებლებად და სო-ციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი პრინციპად იქცა. ე. მარჩანიშვი-ლმა კი თავის სექტორში შრიშის ყოველდღიურობისა და ამ შრი-შით გამოწვეული პოეტური სტუდენტობების სინთეზი მოახდინა.

ამაში იყო ამ სექტორის ძალა და ორიგინალობა, სექტორალმა „ფოლადის პიესა“ საშუალება მიცა თეატრს უფრო თამაზად და შემოქმედებითად აეთვისებინა სცენური ხელოვნების ახალი მეთო-დი — სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. ყოველივე ეს შესანიშნა-ვად გამოჩნდა ე. კირიშინის „პურის“ განხორციელებისას. ეს სექ-ტორი გამოჩინებოდა მძაფრთ პოლიტურთ პუბლიცისტურობით. ძლიერად და დამაჭრებლად გამოკვეთილი კომუნისტ მიხალაოვის მხატვრული სახე იტენდა კუმარიტ განზოადებისა და მავრებელ-ელ აშკარად გამოჩნდა კომუნისტური პარტიის აქტიურ, წარმართ-ველ როლს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში. გარდა წმინდა სოციალური კონფლიქტისა, სექტორული ვითარდებო-და ფსიქოლოგიური კონფლიქტი კომუნისტის ორ ტიპს შორის — მიხალაოვისა და რაევკის შორის. ა. ლუნახარკის შენიშნით, უპირ-ველებში ამოცანა დრამატურგისა იყო იმ ურთიერთსაინანდლდევო ხასიათის გამოკვეთა: „პური წმინდა რეალისტურ ამოცანას ისახავს. უპირველესად, ბოლშევიკის ორი ურთიერთსაინანდლდევო ტიპის მთელი სოჭუნებითა და სიმატლის გამოსახვით, წმინდა სოციალურ ფსიქოლოგიურ ამოცანას“ (ა. ლუნახარკის). ამ პოლიტიკური ხასია-თების გამოკვეთით თეატრი რთულ დინამიკეობას გვიჩვენებდა თვით პარტიის რაიებში, მაგრამ, ამავე დროს, მისი ტენდენცია აშკარად მიხალაოვის მხარეს იხატებოდა. სანატრეტრედი იყო ნაწევრები ამ გმირების ევოლუცია — არა მხოლოდ სულიერი, არამედ პლს-ტურული ხასიათისა. ე. გუგუშვილის გონებამახვილური დავიკრებებით ეს აქტიუმიდები უკუპროპორციულად იცვლებოდნენ: დასაწყისში ამაყი, ზვიადი, ყოყონა კომუნისტტი რაევკის სექტორალის დასასრულს უსუსური, უღალბო კაცუნად იქცეოდა, მიხალაოვი კი — დინჯი, თავის თავში ჩადრმავებულთ, მორიდებულთ თანდთან იტენდა ხელმძღ-ვანელ კომუნისტის, მასების ლიდერის თვისებებს — მას ემბატო-რდა შინაგანი რწმენა, გაბედულობა, სიმძლავრე. იგი უკვე იყო ძლიე-რი ნებისყოფის გმირი — წინამძღოლი.

ქართული საბჭოთა თეატრის სტენაზე თანდათანობით, მტკიულად მკვიდრდებოდა არა მხოლოდ თანამედროვე თემა, არამედ კომუნი-სტის მხატვრული სახე. ამ სახეთა ვალერანგში მნიშვნელოვანი ადგი-ლი ეტარა ძველი კომუნისტტი ქალის კლარა სპასოვას ძლიერა და შეურბრეტელ სახეს — შექმნის ე. დონაურის მიერ (ა. ფონიკვენი-ვის „შოში“). პროცენტურ ბორდუნთან (ეს როლი ღრმად ჰქონდა გააჩრებულთ ე. დამბაშიძეს) ქილიში იკვებებოდა დიდი ცხოვრ-ბისული სიბრძნით აღსავსე მტკიულ ეგზესტივობის, ამავე დროს გუ-ლითად, ადამიანური სითბოთი სავსე კლარას სახე. ბოროდინი — ეს პათიონანი შეყნირი, გულწრფელი ადამიანი, ფაქტობრივად გადიოდა ფსიქოლოგიური გარდაქმნის ისეთსავე რთულსა და შინაგანი მერყე-ობით სავსე გზას, როგორც ეს თავის დროზე, საბჭოთა სტენაზე გა-ნიცდა პათიონანმა რუსმა ინტელიგენტმა, კრეისერის კაპიტანმა ბერსენეშმა. ნიშანდობლივია, რომ ამ დიდებუნიშოვანი ადამიანების „შემოპარუნებაში“ გადამწვევტი როლი ითამაშეს კომუნისტტებმა — გოდუნმა („არდევკა“) და კლარა სპასოვამ („შოში“). ბ. ლავრენევის თქმით ა. ფონიკვენივის ამ პიესამდ, იგი არ იცნობდა სხვა პიესას „რომლის ქვეყოუნებდიც დიდი იდებობის კოლონია იქნებოდა“ და „რომლის პერსონაჟთა ძირითადი ურთიერთობანიც ფილოსოფიურ საფუძველს დაყრდნობოდა“. ამ სწორედ ამ მძაფრ კოლონიაზე აავო

მთელი სექტორი ე. მარჩანიშვილმა. ეს კონფლიქტი მხოლოდ ორი გმირის დაპირისპირებაში კი არ ვლენდებოდა, არამედ სექტორ-ური არქიტექტონიკაში. ეს კონფლიქტი თავის დასასრულს მხოლოდ ფინალური სცენებში მოკვებდა.

საბჭოთა ქართული სცენის ოსტატებმა დიდი შემოქმედებითი შე-მართებით, ნოვატორული სცენური ფორმებითა (რეჟისურა, მსახი-ობის ხელოვნება, სცენოგრაფია) და საბჭოთა სინამდვილის — მისი რეალისტური წარხულისა და თანამედროვეობის ღრმა წვდომისა და გააჩრების მეხობებით ღრსშესანიშნავი წვლილი შეიტანეს საბ-ჭოთა თეატრის იდეური მიზანდასრულების, მკვეთრი პოლიტიკე-ური ტენდენტობის გამოკვეთაში, ახალი თეატრული ესთეტიკის ჩამოყალიბებაში, რომელიც თავის სრულყოფილ სახეს სოციალის-ტური რეალიზმის მეთოდში პოულობს. ქართული თეატრის ისტო-რიის ყველაზე სანატრეტრედი, მმართვე ძიებებითა და ბრძოლებით, დიდი გამარჯვებითა და მიღწეობით სავსე პერიოდის (1921—1935 წ.წ.) ფაქტობრივად განსაზრვა საერთოდ ქართული თეატრული ხელო-ვნების განვითარების შემდგომი გზები უშოვარებს: — თეატრის პო-ზიციის — იდეური, მხატვრული, პოლიტიკური პოზიციის გარკვე-ულობა, ამ პერიოდის დიდი შინაგარკია.

შენიშვნები:

- 31 ალექსანდრე ამბეტელი, წერილები, გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964 წ. გვ. 108.
- 32 იქვე, გვ. 173.
- 33 იქვე, გვ. 100.
- 34 იქვე, გვ. 161.
- 35 იქვე, გვ. 161.
- 36 იქვე, გვ. 98.
- 37 იქვე, გვ. 134.
- 38 ე. კინეაძე. სანდრო ამბეტელი. გამ. „ხელოვნება“, 1977 წ. გვ. 407.
- 39 აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „თეთნულდის“ დადგმის დროს „ამბეტელი კატეგორიულად აფრთხილებდა მსახიობებს — არავითარი „ეგზობიკა“ მეტყველებდა, არავითარი „სანდრო ელ-ფეითი საუბარის“. სცენიდან უნდა ისმოდეს სუფთა, ახდევწილი ქარ-თული.
- 40 История советского драматического театра т. 3. стр. 26—28.
- 41 კოტე მარჩანიშვილი. რუსულ ენაზე. გამ. „ზ. ვ.“. 1958 წ. გვ. 173-174.
- 42 იხ. დასას. წიგნი. გვ. 248—249.
- 43 სანდრო ამბეტელი, რუსულ ენაზე. „ხელოვნება“, 1977 წ. გვ. 256-252.
- 44 იქვე, გვ. 496.
- 45 სახელმწიფო ქართული დრამა კოტე მარჩანიშვილის ხელ-მძღველობით, ვასტროლოგთა საბჭოთა კავშირში 1930 წ., აპრილ-მაისი. სახელგამო, თბილისი, 1930 წ. გვ. 50.
- 46 ა. ამბეტელი. წერილები, გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964 წ. გვ. 161.
- 47 ა. ვასაძე. მოგონებები, ფიქრები. გამ. „მ. ს.“ 1977 წ. გვ. 198-299.
- 48 სანდრო ამბეტელი. რუსულ ენაზე. გამ. „ხელოვნება“, 1977 წ. გვ. 512.
- 49 «Рабочий и театр», 1931, № 32—39.

„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები — მხატვრული ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (სცენარის ავტორები — ზ. არსენიშვილი, ე. ახვლედიანი, ლ. ლოლობერიძე, დამდგმელი რეჟისორი — ლ. ლოლობერიძე, ოპერატორი — ნ. ერქო-მაიშვილი) ჩვენი კინემატოგრაფიული ცხოვრების ერთ-ერთი საკურადღებო და მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. როგორც ცნობილია, ფილმმა მოიპოვა უმაღლესი პრემიები აშხაბადის საკავშირო და სან-რემოს (იტალია) საერთაშორისო კინოფესტივალებზე, წარმატება ზედა წილად ლოკარნოში (შვეიცარია), სადაც კონკურსგარეშე იყო ნაჩვენები, როგორც საერთაშო-

რისო ფესტივალზე უკვე პრემირებული ფილმი. ჩვენ-შიც და საზღვარგარეთაც დაიბეჭდა რეცენზიები ამ ნაწარმოების შესახებ, რომლებშიც ერთხმადა ხაზგას-მული ფილმის მაღალი იდეური და პროფესიული დო-წე.

ამ ფილმში აღქრული მწვავე სოციალური და ფსიქო-ლოგიური პრობლემები, მათი მხატვრული გადაწყვეტა-საკმაო მასაღას იძლევა მსვენლობისა და კამათისათ-ვის.

მკითხველთა მოთხოვნელების შესაბამისად, უფრ-ნაღს გადაწყვეტილი აქვს უფრო ხშირად გამოაკვეუ-ნოს სხვადასხვა თვალსაზრისი ხელოვნების ამ თუ იმ ნაწარმოებზე.

მცირა ინტერვიუების ღილი მასშტაბები

გურამ გვერდწითელი

რეჟისორ ლანა ლოლობერიძის ახალ ფილმს — „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ — უკვე ორი მაღალი, უადრესად ავტორიტეტული და საპატიო ჯილდო მიენიჭა. სან-რემოს საერთაშორისო და საკავშირო კინოფესტივალების მთავარი პრიზები თავისთავად მეტყველებს ფილმის დიდ აღიარებაზე. ეს ფილმი მართლაც მნი-

შვნელოვანი მოვლენაა თავად რეჟისორის შემოქმედებით ბიოგრაფიაშიც, საერთოდ ქართულ კინემატოგრაფშიც და, როგორც მის მიერ მოპოვებული პრემიები გვარწმუნებს, უფრო დიდი მასშტაბები-თაც, — საბჭოთა და მსოფლიო კინოხელო-ვნებაშიც.

ცხადია, ეს ყველას გვახარებს, იმათაც, ვინც მონაწილეობდა ამ ფილმის შექმნაში და ყველა სხვა დანარჩენთაც, ვისაც ქართული საბჭოთა ხელოვნების ბედი გვაღელვებს. კი მაგრამ, აქამდე სად იყავითო, შეიძლება გაიფიქროს მკითხველმა ამ ერთგვარად დაგვიანებული გამოძახილის გამო. ჩვენს პრესას ნამდვილად სასაყვედურო რაცა აქვს, ისიც ეყოფა, სხვა და დაუსასურებელი რომ აღარ მივანეროთ, თუნდაც ამგვარი — თითქოს იგი მხოლოდ მას შემდეგ აფასებდეს ჯეროვნად ქართულ ფილმებს, როცა მათ უკვე ფართო მასშტაბებით აქვთ აღიარება მოპოვებული.

საქმე ის გახლავთ, რომ უპოვო მთლიანად დამთავრებული ფილმი მაყურებლამდე, ანუ კინოთეატრების ეკრანებამდე მისვლას თითქმის ერთი წელი უნდებოდა. არადა, ფილმის აუკარგზე საუბარი, თუ წინასწარეკლამო ინფორმაციას არ მივიღებთ მხედველობაში, სწორედ მაყურებელთან შეხვედრის დროს უნდა დაინწყოს. ამ დროისათვის კი მნიშვნელოვან ფილმებს უკვე მოვლილი აქვთ სხვადასხვა კინოფესტივალები, ზოგი მათგანი დიდი თუ სივითალოური პრიზების მფლობელიცა და მათ შესახებ საკავშირო თუ უცხოური პრესის აზრიც გაცხადებულია.

ასე დავმართა არაერთ ქართულ ფილმს და ღმერთმა ქნას, იმაზე მეტი საწუხარი არა გვექონდეს რა. ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფის ფართო წარმატების აღიარებას სხვები თუ დაგვასწრებენ, ამას, ალბათ, როგორმე გავუძლებთ.

მით უმეტეს, რომ არც მთლად ასეა საქმე. ლანა ლოპატეჩიქმა ახლად წერტილდასმული ფილმი ბიჭვინთის შემოქმედებით სახლში ჩამოიტანა და კოლეგებს უჩვენა. მოზრდილი დარბაზი საესე იყო პროფესიონალი კინემატოგრაფისტებით, ცნობილი და გამორჩენილი რეჟისორებითა და მსახიობებით. თვით საბჭოთა კინემატოგრაფის პატრიარქი ს. გერასიმოვიც კი ესწრებოდა ამ ჩვენებას. ჩვენ კარგად გვახსოვს ის ერთსულოვანი მონონება, თამამად შეიძლება ითქვას — აღფრთოვანებაც, რაც ფილმმა გამოიწვია, კარგად გვახსოვს, გერასიმოვის აღტაცებული სიტყვებიც ახლად ნანახ ფილმზე. ასე რომ, ლანა ლოპატეჩიქის ახალი ფილმის აღიარება აქ, ჩვენში დაიწყო და მერე გაგრძელდა შორეულ მხარეებში. ახლა კი თითქოს წრე შეი-

კრა. „შინაურებმა“ ის უკვე მოპოვებული ორი დიდი პრიზი აღარ იკმარეს და „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს.

რამ განაპირობა ფილმის ასეთი დიდი წარმატება? ამ კითხვაზე, რომელიც ბუნებრივად ისმის, ყველას თავისი პასუხი შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ საკუთარი გვინდა გავუზიაროთ მკითხველს.

გაეიხსენოთ ერთი ეპიზოდი, უფრო სწორად, ერთი ინტერვიუ ამ ფილმიდან. ახლაგაზრდა ფეიქარი ქალი რიხიანად ლაპარაკობს საკუთარ ცხოვრებაზე, ოჯახზე, შრომაზე, თითქოს მეტყვის ეჯიბებათ, ისე სხაპა-სხუპით იცილებს კორესპონდენტს „ვერაგულ“ შეკითხვებს ცხოვრების პირობებზე, შვილების გაზრდის გასაჭირზე, თავისუფალი დროის გამოყენებაზე, ოცნებაზე. ვერა. ვერაფრით „შეაცდინა“ ფეიქარი ქალი ამ ჟურნალისტმა, ყველაფერი კარგად უპასუხა, ისე როგორც საჭირო იყო, ყოჩაღად გაუძლო ამ უცნაურ შეკითხვებს... და როცა გამარჯვებულმა თავისუფლად ამოისუნთქა, სწორედ მაშინ გატყდა, რიხიანი კილოც დაეკარგა, თავდაჯერებული გამომეტყველებაც სადღაც გაქრა და თითქოს უნებურად შინაურულად გაგვანდო სათქმელი:

„ისე, სოფლიდან რომ ჩამოვედი, ვდარდობდი ძალიან, მივედიოდი ხოლმე და ჩვენებურ მატარებელს ვხვდებოდი და ვაცილებდი. ახლა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგჯერ გავიპარები ხოლმე და ვხვდები ჩვენებურ მატარებელს. ეს მანდ კი არ ჩანაწერი, ამას ის გეუბნებით. ხოდა, ოცნებისა რომ თქვით, ხშირად ვინატირებ ხოლმე, ნეტა ეს ფაბრიკა ჩვენს სოფელში იყოს და ჩვენც იქ ვიყვეთ-მოქოქი“.

ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა, გვხიბლავს გულწრფელობით, დიდი სიმართლით. ეს უპირველესი და აუცილებელი თვისება, სამწუხაროდ, ყველა ფილმს როდი გააჩნია.

აშკარად ხელოვნურ და ყალბ ფილმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კარგი ფილმების უმეტესობასაც კი მეტ-ნაკლებად ატყვია სიფრთხილის (ზოგჯერ სიმბოლური რომ გადადის) კვალი, მოზომილი სიტყვის სიცივე, შეთხზულ-შეკონინებული კადრის უსიციოცებლობა.

ფეიქარი ქალი ტყუილს არაფერს ამბობს, როცა საკუთარ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ამ მხრივ იგი არა სცოდავს. მაგრამ იგი ღრმად გვიმალავს თავის ადამიანურ გულსნადებს. გრძობებს, ოცნებებს. და როცა უნებურად წამოსცდება ამგვარი რამ, კორესპონდენტს საგანგებოდ აფრთხილებს, ეს მინდ არ ჩანერთო, ამას თუ გუებნებით.

ფილმების დიდი ნაწილი სწორედ ასეა შექმნილი — არც ტყუილზე, მაგრამ არც ბოლომდე მართალზე, რაღაც-რაღაცეების გულადის ავლით, ჩასანებებს თუ არაჩასანერი, გადასაღები თუ არაგადასაღები მასალის ერთმანეთისაგან საქმიანი დაშორებით და დახარისხებით. ეს განსაკუთრებით ითქმის თანამედროვეობის თემაზე გადაღებულ ფილმებზე. ომის თუ მისი წინა პერიოდების ცხოვრებაზე შექმნილ სურათებს ამ მხრივ დღეს უკვე მეტი სიღალღე ეტყობათ. დღევანდლობა კი აშკარად აფრთხობს. ზღუდავს ზოგიერთებს, აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, მისაგნებია, მხარდასაჭერი ან უარსაყოფელია, მამასადამე, სარისკოცაა. ჰოდა, აუტიკვარი თავის ატიკვებას მეტ-ნაკლებად ბევრი ერიდება. არადა, არა მარტო ტყუილით, არამედ ზედაპირულობითა და ნახევარი სიმართლითაც არაფერი მიიღწევა ხელოვნებაში. ამიტომაც გულწრფელობა მისი პირველი აშკარად გამოხატული ნიშან-თვისება უნდა იყოს.

ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ არაფერს აქვს თვალის არიდებას, არაფერზეა ოქცოფული პასუხი გაცემული, არაფერია მიჩქმალული და მიფუჩქებულნი. აქ დიდი საზოგადოებრივი პრობლემებიც და ყოფითი დეტალებიც მთლიან სისრულით არის წარმოსახულიც და მხატვრულად განმარტებულიც. ფილმის ავტორები ამ მხრივ არაფერს იტოვებენ სათავისოდ, საჩუქართოდ. მათი სითამამე და გულახდილობა მარტო იმეგარ, შედარებით უმტიკინეულო, ირონიული ღიმლის მომგვრელ ეპიზოდებში კი არ მუღავნდება, სადაც ოჯახის ქალის განამანის ვუყურებთ პროდუქტების დახლებთან გაჭიმულ რიგებში (თუმცა ბევრი ამასაც არიდებს თვალს), არამედ ისეთი მტიკინეული სოციალური პრობლემის წამოჭრის დროსაც, როგორცაა ადამიანის სულიერი და ფიზიკური მარტობა და ამით მოზღვაებული მტანჯველი განცდები თუ ფსიქიკური ანომალიები. თანამედროვე პროგრესის მიერ თან მოტანილ ამ დიდ სატიკვარს ფილმში განსხვავებულ ხასიათებთან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირ-

ბით ვანყდებით და მთელი სიმწვაგით ვგრძნობთ ამ ანტიჰუმანისტური ტენდენციის საშიშროებას.

ფილმში მარტო დღევანდელი ცხოვრება როდია წარმოსახული, რეტროსპექციის ხერხებით აქ წარსულის სურათებიცაა მოხმობილი. მოხმობილია აუცილებლობის გამო, რადგან ამ ფილმის სიუჟეტური განვითარება უამისოდ ბერწილად გაუგებარი, აუხსნელი დარჩება. მძიმე ისტორიული კადრები შემოდის ფილმში, სასეც ტკივილებითაც და მწარე გამოცდილებითაც ადამიანური უსამართლობის გამო. მაგრამ ამასაც, გულწრფელობასთან ერთად, საოცარი ტაქტი, მხატვრული სიმართლის ერთგულებით გვანვდიან რეჟისორიც და მხანობებიც.

გმირის ხასიათის, ბუნების, მრწამსის გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს მის ბიოგრაფიას და ფილმშიც ვხედავთ მისი ბავშვობისა თუ ქალიშვილობის სურათებს. ამ ჩართული ეპიზოდებით მშვენიერად იდება ხიდი წარსულსა და თანამედროვეობას შორის. რეჟისორი ამ მომენტებზე ჩანართებს და მათი მეშვეობით მოსატან სათქმელს ზედმეტ ექსალუტაციას არ უნებს, მაგრამ არც არაფერს ჩქმალავს. ამ ეპიზოდებში განსაკუთრებით ნათლად გამჟღავნდა რეჟისორის მხატვრული ზომიერების გრძნობაც და დღევანდელი ხელოვნებისათვის უკვე არცთუ უცნობი სელტორიული მასალის სრულიად ორიგინალურად, ახალი კუთხით წარმოჩენის ნიჭიც. ეს გახსენებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ არის დალაგებული, ისინი თითქოს შემთხვევით ამოტიკტივდებიან გმირის მეხსიერებაში, მაგრამ სინამდვილეში მკაცრ მხატვრულ ლოგკას ექვემდებარებიან.

საოცრად ემოციურია ყველა იმ სახის გახსენება, რომელიც გმირის მძიმე, უსამართლოდ მიყენებულ ტკივილებზე მოგვითხრობს. ჩვენს მეხსიერებაში წარუშლელად რჩება სასონარკვეთილი გოგონას სახე ზამთრის შეჭარხლულ ფანჯარაში, ღრმა თოვლში გაკავალული ბილიკი, რომელსაც ძლივს მიუყვება ორი შუახნის ქალი და მეტე იმავ გოგონას სიცილა-კისით, ჩვეულბრივი კი არა, რაღაც უსახლგრო ბედნიერებით, დიდი და ხანგრძლივი ტკივილის შემდეგ ერთბაშად მონიჭებული ბედნიერებით სასეც ბილიკი. და კვლავ გულის-მოშკველი მხატვრული ნერტილი ამ ეპიზოდისა, უპატრონოთა სახლის ფანჯრებთან მოზღვავეული გარინდული ბავშვების სევედითა და შურით, უმანკო შურით სასეც



თვალეში, რომლითაც მიაცილებენ ობლო-
ბის ტყვეობიდან თავდაღწეულ მეგობარს.

აქ განზრახ არის გვერდზედებული პირდა-
პირი და თითქოს აუცილებელი სვლები, —
ბავშვის შეხვედრა მამიდებთან, გამოთ-
ვლება ბედკრულ ტოლმებთან და სხვა მი-
სთანანი, რაც უმოკლესი და, ამასთანავე,
უმარტივესი გზა იქნებოდა ეპიზოდის ემო-
ციურად დასამუხტავად. რეჟისორმა უფრო
რთული და ორიგინალური რეჟისორ ამჯობი-
ნა, თითქოს იმპრესიონისტული ჩანახატე-
ბით სცადა ამოცანის გადაჭრა და, უნდა
ითქვას, ბრწყინვალედ შეძლო ეს. ეპიზო-
დი აღარც ტრაგედიაზედ გამოვიდა, აღ-
არც დამძიმებული ნატურალისტური დე-
ტალებით, ემოციური და აზრობრივი ეფე-
ქტი კი მაქსიმალურად იქნა მოძნეული.

სწორედ ამ ორიგინალური მანერის წყა-
ლობით თითქოს (მხოლოდ თითქოს) უეც-
რად არეკლილი სევდისა და ტკივილის გა-
მოსხატვის გამო, ჩვენი აზრით, ამ ფილმში
მომხმობილი რეტროსპექციებიდან ეს ეპიზოდი
ყველაზე შთამბეჭდავი უნდა იყოს თავისი
მოულოდნელი და ელვისებური თავზარ-
დაცემით. სხვა ეპიზოდებიც შესანიშნავად
არის გადაღებულიც და გათამაშებულიც
მსახიობების მიერ. მაგრამ აქ უკვე ზოგი
რამ ნაცნობი ხერხებითა და სტილითაა გა-
დაწყვეტილი. რა ვუყოთ, ზოგჯერ ვერც
ისეთ მრავალგზის გამოორებულ, მაგრამ
გამოხატვისათვის ეტყობა ერთადერთ სა-
შუალებას ბავშვცეცით, მაგრამცაა კადრი,
სადაც ზედადეთ შიშისაგან გაყრდნულ უმწეო
ქალსა და ბავშვს, ჩარახულ კარს რომ მი-
სჩერებთან უკანასკნელი იმედით და სადაც
გვესმის კიბეებზე ჩქებების აბედიითი ბრა-
ვა-ბრუგი.

დახს, წარსულის ეპიზოდებიც და თანა-
მედროვე ცხოვრებაც ამ ფილმში არა მარ-
ტო ღრმა და ნიჭიერი, არამედ გულწრ-
ფული შემოქმედის თვალთაა დანახული
და ამან განაპირობა მისი დიდი მხატვრუ-
ლი სიმართლე.

კიდევ ერთი უმთავრესი პირობა, რამაც
გაამარჯვებინა ლანა ლოლობერიძის ფილმს
„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“

-- ეს მისი გმირი გახლავთ. ჩვენ ხშირად
გვსმენია ყველასი, განსაკუთრებით კი მსა-
ხიობების წუხილი იმის გამო, რომ არა
აქეთ სანტერესო როლი თანამედროვე
გმირის განსახიერებლად. თითქმის ერთ-
სულღვანი აზრია შექმნილი იმის თაობაზე,
რომ თანამედროვე ადამიანის სულიერი
სამყაროს, მისი ცხოვრების წესის გახსნა
და მიტანა მაყურებლამდე ყველაზე რთუ-
ლი და ამდენად, ყველაზე საპატიო საქმეა

ხელოვანისათვის. ეტყობა, ეს სადავო არ არ-
ის და ამის მიზეზი, ალბათ, ისიც გახლავთ,
რომ აქ მაყურებელს იოტისოდენა სიყალ-
ბეს კი არა, უზუსტობასაც ვერ გამოაპარებ.
გარდა ამისა, ინტერესი ამგვარი გმირები-
სადმი განსაკუთრებით ძლიერია, რადგან
მათში მაყურებელი ბევრ საკუთარ კითხ-
ვასა და დილემაზე ეძებს პასუხს.

რეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ და მსა-
ხიობმა სოფიკო ჭიაურელია შეძლეს თანა-
მედროვე ადამიანის უაღრესად მნიშვნე-
ლოვანი სახის შექმნა და ამით ფილმის წარ-
მატება ბევრწილად უკვე გარანტირებული
იყო.

ეს გამარჯვება მით უფრო საგულისხმოა,
რომ ფილმში გმირის სახე ერთგვარად იდე-
ალზირებულია. ავტორსაც და შემსრულე-
ბელსაც გმირი არა მარტო უყვართ, არა-
მედ სანიმუშოდაც ესახებათ და ეს, თუ გა-
ვრცელებულ აზრს მივუგდებთ ყურს, წამ-
გებიანი პოზიციაა, რადგან გაიდევალეული
გმირები ნაკლებ პოპულარულნი არიან.
ჩვენ ვიტყვი, რომ ეს წამგებიანი კი არა,
რთული გზაა. ძალადი მოქალაქეობრივი
მრწამსის და მორალური თვისებების მა-
ტარებელი, სანიმუშო, გაიდევალეული გმი-
რები, თუკი ისინი ცოცხლად და მართლად
გამოხატავენ ჩვენი თანამედროვე ადამი-
ანების სულიერი სამყაროს, არამეტო ნაკ-
ლებ, პირიქით, ძალიანაც პოპულარულნი
არიან და ამის რამდენიმე, მართლაც სანი-
მუშო მაგალითი გააჩნია საბჭოთა კინე-
მატოგრაფის. მხოლოდ ეს კია, რომ ამგვარი
გმირები ნაკლებად გვყავს მწერლობაშიც
და ხელოვნებაშიც. მათი გამოხატვა დიდ
სირთულეებთან არის დაკავშირებული და
ვინც ამას დასძლევს, ვინც შექმნის მონუ-
მენტურს თუ არა, ღრმად რელიეფურ სა-
ხეს მაინც ჩვენი თანამედროვისას. მთელი
მისი მომხილავი თვისებებით და მხარეე-
ბით, მის გმირს პოპულარობა განადღე-
ბული აქვს. ასე დემართა სწორედ ლანა
ლოლობერიძის ახალი ფილმის გმირს —
ჟურნალისტ ქალს, ვის როლსაც სოფიკო
ჭიაურელი ასრულებს.

სოფიკო ჭიაურელს საკავშირო კინო-
ფესტივალებზე რამდენჯერმე აქვს მიღე-
ბული საგაგებო პრემიები, როგორც ქა-
ლის როლის საუკეთესო შემსრულებელს.
ამიტომ თითქოს ძნელი უნდა იყოს ერთი
რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ მაინც ვი-
ტყვი, რომ, ჩვენი აზრით, ეს როლი,
მიუხედავად ზოგი დასანანი ლაფსუსისა,
მსახიობის ბიოგრაფიაში საუკეთესოდ მი-
გვაჩნია.

ფილმის გმირი, ჟურნალისტი ქალი სო-

ფიკო სასვეა ადამიანური ბედნიერებით: შყავს ქმარი, შვილები, უყვარს, ძალიან უყვარს თავისი პროფესია. ასეც პასუხობს იგი მოხუც ბიბლიოთეკარს ფილის დასაწყისში, როცა იგი აქეთ დასუვამს შეკითხვებს ინტერვიუს ასახლბად იქნულ სოფიკოს. „ბედნიერი ყოფილხართ“, — ეტყვის მოხუცი ბიბლიოთეკარი.

ჩვენ კარგა ხანს შევეყრებით სოფიკოს ბედნიერებას ეკრანზე. ვხედავთ ოჯახში, სამსახურში, გზაში, ვხედავთ დაღლილს, გასავათებულს, სხვისი ნუხილის მოზიარეს... და მაინც ბედნიერს. მისთვის თანაბრად გულთან ახლოა მისატანი სოფლის სკოლის პრობლემაც, ეზოს რომ აჭრიან წამკლეჯები და ხნიერი ქალის ტკივილიც, ვინც შვილების პატრონი თავს მარტოსულად გრძნობს და მოხუცთა სახლში ითხოვს გამწესებას, რადგან იქ ხმისგამცემი მაინც ყოვლება.

ზოგჯერ ქმარიც გაუნაწყენდება სხვათა საქმეებზე თავგადაკლულ ქალს დაგვიანების გამო, ხან მაიმედებიც სიყვარულით ახელუბენ მისი წერილების წაკითხვის შემდეგ. — რაო, გადანყვიტეო მარტოობის პრობლემას! მაგრამ სოფიკო მათი სიყვარულით, და კიდევ სხვების სიყვარულით, და კიდევ საქმის, პროფესიის სიყვარულით ცხოვრობს და ბედნიერია. დადის და იღებს ინტერვიუებს, ცდილობს გაუგოს ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს, გარკვევს მათ დამოკიდებულებაში ოჯახთან, მამაკაცთან. პროფესიასთან და უამრავ პრობლემასთან, რომელთაც ცხოვრება წამოჭრის.

მაგრამ ქმრის დროდადრო განაწყენება ჯერ მთლიან განწყობილებად ყალიბდება, მერე კი — გადანყვიტობად, და ფილმის შუა ნაწილში ცოლ-ქმარს შორის ასეთი კონფლიქტიც წარმოიშობა:

არჩილი — აღარ შემძლია შენი გაუთავებული ხეტიალი, ეს უაზრო ფუფუსი, სხვის ცხოვრებაში ქექვა.

სოფიკო — ამდენი ხანი ერთად ვართ და შენ იმასაც ვერ მიხვდი, რომ მე მიყვარს ჩემი საქმე.

ასე უჩნდება პირველი ბზარი სოფიკოს ოჯახს და მას მაშინვე თვალწინ უდგება მოხუც ბიბლიოთეკართან შეხვედრა:

ბიბლიოთეკარი — თქვენ ქმარი გყავთ? სოფიკო (კადრსგარეთ) — დიახ.

ბიბლიოთეკარი — ალბათ შეიღებოც.

სოფიკო — დიახ, ქალ-ვაჟი.

ბიბლიოთეკარი — გიყვართ თქვენი საქმე?

სოფიკო — ძალიან.

ბიბლიოთეკარი (კადრსგარეთ) — ბედნიერი ყოფილხართ.

ამის შემდეგ ყველაფერი თავისით, თითქოს ინერციით ვითარდება და ლოგიკურ დასასრულამდე მიდის. მაგრამ სოფიკო კვლავ ბედნიერია, არაფერზე ნანობს, მას შეუძლია თავიდან დაიწყოს ყველაფერი, რადგან ძველებურად უყვარს ქმარი, ახლა უკვე ქმარყოფილი, უყვარს შვილები, მაიმედები, მოხუცი თუ ახალგაზრდა ქალები, ვისაც კი შეხვედრია და ვისგანაც ინტერვიუები აუღია. ბედნიერია სოფიკო, რადგან მისი გული სასვეა სხვათადმი თანაგრძნობით, რადგან მისი ცხოვრების აზრი სხვათათვის დახარჯებაში მდგომარეობს. ეს ყველაფერი ნათელია, თუმცა ასე პირდაპირ კი არ არის გაცხადებული ფილმში, არამედ მხატვრულად შეფარულად არის ნათქვამი. ეს კი უკვე ჩვენს მიერ გამოტანილი დასკვნებია ცხოვრების იმ ნაკადიდან, რომელიც თითქოს ხელუხებლად, შეურჩევლად არის გადატანილი ეკრანზე.

ჩვენ ცოტა ზემოთ ვთქვით, განვითარება ლოგიკურ დასასრულამდე მიდისო. რატომ? მას სხვა, როგორც იტყვიან, ბედნიერი დასასრულიც შეიძლება და ჰქონოდა: ქმარი მიხვდებოდა საკუთარ უსამართლობას, ცოლიც მეტ ანგარიშს გაუწევდა მის განწყობილებას და ყველაფერი კეთილად მოგვარდებოდა. რა? განა ასეთი ფინალი ნაკლებ მოსალოდნელი, მით უფრო გამოირიცხული იყო ცხოვრებისეული ლოგიკითა და სიმართლით? სულაც არა. მაგრამ ფილმის ავტორებმა აქ უკვე კარგად ნაცადი „შემაკობა“ იხმარეს. როცა გვიჩიო საკუთარი დიდი კეთილშობილებისათვის თუნდაც პატარა მსხვერპლს იღებს, ეს ემოციურად მეტ ეფექტს იძლევა და იგი მკითხველის თუ მაყურებლის თვალში ბევრად იზრდება.

ამას გარდა, ბოლომდე მოუწესრიგებელი ფინალი ალბათ უფრო შეესაბამებოდა მხატვრულ ფილმს, სადაც მათთვის მტკივნეულ პრობლემებს ასე გვიმოხვდებენ ქალები სოფიკოსათვის მიცემულ ინტერვიუებში. ყოველ ინტერვიუში სრულიად განსხვავებული ბედის, ფსიქიკის, შეხედულების ქალი წარმოგვიდგება თვალწინ, მაგრამ მათ თითქმის ყველას ერთი რამ აერთიანებთ — მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრება. რატომ? ბუნებრივად იბადება ეს კითხვა. ფილმის ავტორები გულწრფელად ცდილობენ ამ რთულ კითხვაზე პასუხის გაცემას. დაბეჭდილები გვაპასუხობენ ისინი სოფიკოსთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვაზე, რაც მრავალთათვის შეიძლება იყოს საგულისხმო,



მაგრამ ზოგის ბედი და ზოგი პრობლემა აუხსნელი რჩება. ყოვლის მიცვის პრეტენზია არც ჰქონდათ და არც შეიძლება ჰქონოდათ ფილმის ავტორებს. მათ მთელი რიგი პრობლემებისა და მხოლოდ ნაიჭრეს და ჩვენ დავგიტოვეს საფიქრალად, თუ თავსატეხად და ამით გრძელდება ჩვენი კონტაქტი იმ მხატვრულ სამყაროსთან, რომელიც ფილმის შემოქმედებითა კოლექტივმა შექმნა.

საერთოდ, უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ ქალების როლების შემსრულებლები თითქოს ერთიმეორეზე უკეთესები, ყველა ერთად კი მშვენიერები არიან განურჩევლად იმისა, ეპიზოდურ როლებს ასრულებენ თუ უფრო მნიშვნელოვანს, პროფესიონალი მსახიობები არიან, თუ მოყვარულნი. და მაინც განსაკუთრებით უნდა ითქვას სოფიკოს დედაზე, ვისაც საოცარი ძალით ანსაზიერებს ქეთევან ორახელაშვილი. ამ ეპიზოდურ როლში არაპროფესიონალია, კინოსათვის ბედნიერი შემთხვევის წყალობით მიგნებულმა ადამიანმა იშვიათი სახე შექმნა ქართული ინტელიგენტი ქალისა და დედისა, რომელიც თავისი ზემოქმედების ძალით კლასიკური ხელოვნების დონემდე მალდებდა.

თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმი ქალების ტრიუმფად იქცა, სამართლიანობა მოითხოვს ორიოდ სიტყვით მაინც მოვიხსენიოთ მათი მამაკაცი პარტნიორები, პირველ რიგში კი არჩილის და ირაკლის როლებს შემსრულებლები გაა ბადრიძე და ჟანი ლოლაშვილი, რომელთა ოსტატობა თვალსაჩინოცა და მნიშვნელოვანიც ფილმის მთლიანი წარმატებისათვის.


დაიხს, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ მნიშვნელოვანი ფილმი გამოვიდა თავისი დიდი პრობლემატიკითაც, რთული და მონუმენტური გმირითაც, ღრმად საგულისხმო პერსონაჟებითაც, ჭეშმარიტი მხატვრული ღირსებებითაც. ამ გამარჯვებისაქენ დიდხანს და აჯუტად ისწრაფოდა ლანა ლოლობერიძე. არც მის აღწერნადღე იღმებს აკლდა პატივი და აღიარება. მაგრამ ეს მაინც სწავა. ჩვენ მარტო იმის თქმა კი არ გვინდა, რომ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ მათი სალუკეთესი ფილმია, არამედ იმაზეც გვსურს მიგაცქვივნოთ ყურადღება, რომ ლანა ლოლობერიძის მთელი შემოქმედება თითქოს ამ დიდი გამარჯვების შემზადება იყო. რეჟისორის ყურადღების ცენტრში მუდამ თანამედროვე ცხოვრება იდგა, უფრო კონკრეტულად — ქალაქური ყოფა და

ინტელიგენციის სამყარო, ხოლო ყველაფერი ეს აინტერესებდა არა იმდენად სოციალური, ფილოსოფიური თუ სხვა ასპექტით, რამდენადაც ზნეობრივი თვალსაზრისით. ეს იყო მისი მუდმივი დაკვირვების და ძიების სფერო. ასე გაიჩინა მან ამავე ინტერესებით სავსე თანამშრომლები, რაც შემდეგ ხანგრძლივ და ნაყოფიერ შემოქმედებით მეგობრობაში გადაიზარდა. ასე შეიქმნა თანამაზრე სცენარისტა ჯგუფი ლანა ლოლობერიძის, ზაიარ არსენიშვილის და ერლომ ახვლედიანის შემადგენლობით, რომლის დღეისათვის ბოლო და მშვენიერი ნაყოფი სწორედ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ გახლავთ. ჩვენ აქამდე თითქოს არ გვისხენებია სცენარის ავტორები, მაგრამ როცა ზემოთ ფილმის პრობლემატიკაზე ვმსჯელობდით და ფილმის ავტორებს ვახსენებდით, რეჟისორთან ერთად სწორედ მათ ვვულისხმობდით. ასე რომ, სცენარის ირგვლივ აღარ გავფარვლებთ სიტყვას, რადგან ეს საიმედო საფუძველი რომ არ ყოფილიყო, ვერც ეს დიდმა საგულისხმო და შთამბეჭდავი ფილმი აშენდებოდა მასზე.

ფილმის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დამდგმულ ოპერატორს ნუგზარ ერქომანიშვილს, ვისი კამერაც არა მარტო მომხიბლავ კადრებს გვთავაზობს, არამედ, რაც მთავარია, ზუსტად აფიქსირებს გმირების სულის მოძრაობას, მათ განცდებსა და განწყობილებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს დიდი ნაწილი ამ ფილმისა, სადაც ფსიქოლოგიურ წედობასთან გვაქვს საქმე, ფარული კამერით იყოს გადაღებული. ამდენად, ოპერატორის ნამუშევარი მაქსიმალურად უწყობს ხელს ფილმის სათქმელის მთელი სისრულით გამოხატვას. რეჟისორმა და ოპერატორმა გმირის და პერსონაჟების ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტებიც შექმნეს და ქალაქური ცხოვრების ცოცხალი, მომხიბლავი პანორამაც მოგვცეს. ჩვენ იშვიათად გვინახავს ასეთი მხატვრული სახე თბილისისა. რაც მთავარია, გარემოს იერი ყოველთვის ზუსტად შეესაბამება და ამძაფრებს გმირების სულიერ განწყობილებას. აქტიურ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს.

ასევე ორგანულ მხატვრულ კომპონენტად ერწყმის მთელ ფილმს ღრმა და მშვენიერი მუსიკა კომპოზიტორ გაია ვანტორისა, ვისი დიდი დევანურ ქართული თეატრალური და კინო ხელოვნების მიმართ საერთოდაც ცნობილია და ამ ფილმშიც კიდევ ერთხელ მთელი სისრულით გამოჩნდა.

რეჟისორ ლანა ლოლობერიძის მაღალი



ნიჭიერება და პროფესიული ოსტატობა ფილმშიც მრავალმხრივ, მის მთლიან სახეშიც და ყოველ დეტალშიც აშკარად იგრძნობა. ჩვენ კვლავ გვინდა დაგებრუნდეთ ამ საკითხს და რეჟისორის ოსტატობის რამდენიმე თვალსაჩინო მხარეზე მივაქცივინოთ ყურადღება. პირდაპირ განსაკვივრებელია, თუ როგორ არის დამონტაჟებული ეს ურთულესი აღნაგობის ფილმი. ყოველი კადრი თუ ეპიზოდი მოქმედების განვითარებას გამოხატავს იგი, თუ ჩართულ რეტროსპექციას ან ინტერვიუებს. ზუსტად თავის ადგილზე და ზუსტად თავისი ზომით არის დამონტაჟებული და ფილმის ერთ მთლიან, ორგანულ, დინამიკურ სიუჟეტს ქმნის. ინტერვიუები ერთი მხრივ ფილმის გმირის ცხოვრების რთულ პერიოპტიკუსა და განცდებში გვარკვევენ და, გარდა ამისა, გახანგრძობენ მრავალი პერსონაჟის თითქოს სრულიად ავტონომიურ მიკროსამყაროში, რომელთაც თავისთავადი მნიშვნელობაც აქვთ და საერთოდ ქალის ბედზე განსხვავებული ასპექტით გვიქმნიან წარმოდგენას. იშვიათი ოსტატობით არის გამოყენებული ფილმში კადრსგარეშე ხმაიც. აქ დიალოგების დროს ხშირად უფრო საინტერესოა არა წარმოშობის, არამედ მომსმენის რეაქცია ფრაზაზე, მისი სულიერი თრთოლის შემჩნევა და ამიტომ კადრშიც სწორედ მას ვხედავთ, ვინც ამ შემთხვევაში შემოქმედის ყურადღების ცენტრშია, ხმა კი კადრსგარეთ ისმის. ახრის, განწყობილებას ამგვარი აქცენტირება ფილმში აქტიურ მხატვრულ ფუნქციამდე აყვანილი და მისი ზემოქმედება მაყურებელზე ერთბაშად შეუმჩნეველი, თუმცა დიდი და შთამბეჭდავია.

„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ — ფილმის ამგვარი სათაური მხოლოდ მაინტრიგებელია და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ცხოვრების უმნიშვნელო, თუნდაც ნაკლებმნიშვნელოვან მოვლენათა ვიწრო, კამერულ ხედვას. პირიქით, აქ გმირის თუ პერსონაჟების ინტიმურ, კერძო ცხოვრებასთან დაკავშირებით თანამედროვეობის არაერთი მღელვარე, მასშტაბური პრობლემა წამოჭრლილ და ამიტომაც, ფილმის მოქალაქეობრივი ფედრადობა დიდი და მნიშვნელოვანი.

კადრები ფილმიდან



მონა

სიკეთისა...

გიორგი დოლიძე

„ყმაღაფერი ამით დაიწყო: ეს პატარა ცარიელი ოთახი იყო. რაც წიგნები ვკვნიდა, სულ აქ ვადმოვიხიდე. მამაჩემმა თავისი ხელით მოაწყო თაროები, მერე მე მომიყვანა და ჩამაბარა ეს ბიბლიოთეკა. იმ წელს დავამთავრე ვიმნაზია, სამოცი წლის წინათ იყო ეს. აი, ასე შეუმჩნეველად ვიარა ცხოვრებამ“. ამ გულწრფელი აღსარებით იწყება ლანს დოლობერძის ახალი ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. ეს აღ-

სარება ეკუთვნის ხნიერ, მაგრამ ერთობ სიმპათიურ და კეთილშობილ ბიბლიოთეკარ ქალს, რომელიც მთელ თავის ცხოვრებას საყვარელ საქმეს წირავს.

ინტერვიუს სახით მოწოდებული ასეთი აღსარებანი ფილმში მრავლად გვხვდება და ყოველი მათგანი გვხიბლავს გულწრფელობით, მაგრამ ხანდახმული ბიბლიოთეკარი ქალის აღსარებებზე იმიტომ შეეჩივრეთ, უპირველეს ყოვლისა, მკითხველის ყურადღება, რომ მასში გარკვეულწილად მინიშნებულია ფილმის ავტორთა მოქალაქეობრივი პოზიცია, მხატვრული კრედიო. კომპოზიციურად, ალბათ, სწორედ ამ მიზნით შეეცადა მას ადგილი და, ლიტერატურული თუ სარეჟისორო სტენარისაგან განსხვავებით, ფილმის საბოლოო ვარიანტში ექსპოზიციურ ნაწილში აღმოჩნდა. თბრობის დინჯი, ქალური კდემამოსილებით სავსე მანერა (მსახიობი ნ. რონდელი), დარბაისლური ტონი, რომელიც წუთისოფლის ამოებებზე ჩვეულებრივ ადამიანურ წუწუნს კეთილშობილების უანგარო სამსახურით გამოწვეულ სიამაყეს უპირისპირებს, ყოველივე ის, რითაც ასე გამოირჩევა აღნიშნული სულ რაღაც ერთწუთიანა ფრაგმენტი, მეტად საკირო და მძლავრი იმპულსია ფილმისეულ სამყაროში შესაღწევად. შემდეგში კი, როცა ყველაფერი გარკვევა და ჩაგვაფიქრებს ფილმის გმირთა ბედი თუ უბედობა, ბიბლიოთეკარი ქალის ზემორე ციტირებული სიტყვები გაისმის როგორც შეგონება, როგორც სასოწარკვეთილების ქაშის შემოკრული იმედის ზარი — მხოლოდ მამულირვილურ შემართებასა და გარჯაში გარბის წლები შეუმჩნეველად, ეს კი მაშინ ხდება, როცა ნამდვილად გიყვარს შენი საქმე და იმას მაინც აკეთებ, რაც შეგიძლია.

„გიყვართ თქვენი პროფესია?“ — აქეთ ეკითხება ბიბლიოთეკარი მასთან ინტერვიუზე მისულ ვიღაც ყურნალისტ ქალს, „ვიღაც“ იმიტომ ვთქვით, რომ მაცურებელი ჯერ ვერ ხედავს მას.

„ძალიან“ — ისმის პასუხად, მაგრამ ყურნალისტი ქალი კი ისევ კადრს მიღმა. მერე წამით ისევ ხანდახმულ ბიბლიოთეკარს შეკველებით თვალს და სანამ ჯერ კიდევ არ განელბებულა იმ ერთი სიტყვის („ძალიან“) ინტონაციით გამოხატული შთაბეჭდილება თავისი პროფესიის მოტრფიალე ადამიანის, ეკრანზე ერთბაშად გადაიშლება ამ განწყო-

ბილებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, პლასტიკური განსახიერება — შემოდგომით და მწვენებულ რუსთაველის პრისიპეტზე ლაღდ მისკირზე ხბილისისულებს შორის სულაც არ გვიკრის ამ ეურნალისტი ქალისა (სოფიკო შიუარელი) და მისი კოლეგა ფოტორეპორტიორის (ე. ლოლავილი) გამორჩევა. აშკარაა, ისინი მორგ დაველებზე გუგუზავენათ რედაქციიდან, მაგრამ თუ ისე ეჩქარებათ, რომ სსადილოდაც ვერ მოუცლიათ და ამ დღისით და მზისით ქუჩაში ილუკებინან, მაშინ რაღა ერუსთაველებოდათო, გაიფიქრებთ, თუმცა უმაღ ინანებთ, რადგან ზედვე ეცუვათ — ეს თბილისელი ეურნალისტების ერთგვარი პროფესიული უპირატესობაა, დიხს, დიხს, უპირატესობა, რადგან სოფიკოსა და ირაკლისათვის ყოველი ახალი დავალება სწორედ რუსთაველის პრისიპეტის გავლით იწყება — „რუსთაველებზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა“ — ზოეტის ამ ცნობილ სიტყვებს ჩვენი გმირები არ ამბობენ, მაგრამ ეს არცაა საჭირო, მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისით კინონანზე იმენად ტოლფასიენად არის ვადმოცემული ამ ლიტერატურული ფრახის პოეტური მომხიბველებოდა და ეროვნული საწყისები. რამდენი რამ იკითხება სოფიკოს ამ ენერგიულობათა და გრაციით სავსე სელაში: სიციცხლის ტრფიალი, შრომის ხალისი, თბილისის სიყვარული...

ასე იწყება ამ ფოლმწიკ თბილისის მხატვრული სახის ის დაინებული ძიება, რომლითაც საერთოდ გამოირჩევა ლ. დოლობერიძის ფილმები; მთელი მკერულობით ელერს გაი ყანჩილის შესანიშნავი მუსიკა, რომელშიც ჭერ კიდევ არ შემოჭრილა ლიტტემის დრამატული მოციკები; მხატვარი (ქ. ლებანიძე) და ოპერატორი ნ. ერქომაიშვილი) გეთავაზობენ ჩვენი დედაქალაქის უაღრესად კოლორიტულსა და შთამბეჭდავ ჩანახატებს.

სოფიკო თბილისის ერთ-ერთი გაზეთის წერილების განყოფილებაში მუშაობს და რამდენადაც იმთავითვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, ერთობ საქმიანი ეურნალისტიკა, გულთან ახლოს მიავს სხვისი სატკივარი და კალამიც უჭრის. სწორედ ამ პიროვნულ-პროფესიული ღირსებების გამო სოფიკოს უაღრესად მჭიდრო და სასურველი კონტაქტი აქვს მეკითხველებთან, რომლებიც მას დახმარებისა და კონსულტაციისათვის მიმართავენ. ეს, ცხადია, დიდ მსხვერპლს მოითხოვენ

სოფიკოსაცან თუნდაც დროის მხრივ — აქეთ ოჯახი, სიმპათიური ქმარი, ჭალარა დედა, მოუსვენარი ბავშვები, აღმზრდელი მამიდენი, ხბილისიანი მეგობრები. ყველა მითვანს სჭირდება სოფიკოს ყურადღება და ადამიანური სითბო და ისიც კარგად ართმევს თას ამ საქმეს, უფრო სწორად, მას ასე ჰგონია, მაგრამ აი, მაინც დღედა ის დღე, ჩამოჭარა იმ საბედისწერო ზარმა და სოფიკოც დარწმუნდა — როცა თავისი ოჯახის ბედნიერებაზე ბჭობდა. მაშინ ღმერთი თურმე იცინოდა — არჩილმა სხვა ქალი, გაცილებით ახალგაზრდა, და, ალბათ, თავისუფალიც, შეიყვარა...

მაგრამ ნუთუ მხოლოდ ეს წყვეტს სოფიკოს ბედნიერება-უბედურების საკითხს, ნუთუ ჩვენი საზოგადოების ისეთი აქტიური წევრი ქალი, როგორიც სოფიკოა, დღეიდან უბედურად უნდა იწოდებოდეს იმის გამო, რომ მისმა მამარმა სხვა შეიყვარა?

ჩვენს პრაქტიკაში იშვიათია ასეთი სიტყვა-ძუნწი ფილმი. მეტი კონკრეტულობისათვის — ეგულისხმობთ არა ცალკეულ პასაჟებს, როცა სიტყვა ერთადერთი აუცილებელი საინფორმაციო წყაროა (მაგალითად, ახალ-ახალი ინტერვიუების დროს). არამედ თვით დრამატულ კოლოზის, რომლის განვითარება თითქმის მოკლებულია სიტყვას და უაღრესად კინემატოგრაფიულად მიმდინარეობს. ალბათ ამიტომ არის ფილმის ენა ისეთივე რთული, ღრმა აზრობრივი ქვეტექსტებით დამუხტული და ემოციურად დამბებული, როგორც თვით ცხოვრება სოფიკოსი, რომელიც ბავშვობისას მოწყვეტს მშობლებს და თუმცა მამიდებმა მიავსეს და წამოიყვანეს საბავშვო სახლიდან, მაინც ობლობაში გაიზარდა. მას შემდეგ ღამით ყოველი მოულოდნელი დაკაუნება თუ ნაივის ხმა სოფიკოსში მამიდწუნებულ ასოციაციებს იწვევს — გავისენთო, რა სასოწარკვეთით მივარდება იგი შვილს, როცა მამის მეგობრების სიმფერის ხმაზე მძინარე გოგონა ჰერანგის ავარა გამოაბრტყეს სასტუმრო ოთახში. ცხადია, ეს შემფოთება იმ ბედკრული ბავშვობის გამოძახილია, რომელიც სამუდამოდ დააჩნდა მის სულსა და გონებას.

ბუნებრივია, რომ აქ სწორედ რეტროსპექციის მეთოდი უნდა გამოეყენებინათ, რაც ნოვატორული არაა, მაგრამ ამ ფილმში დახვეწილი კინემატოგრაფიული ფორმისა თუ თვით ავტორისული მხატვრულ-თემატური ჩანაფიქრის გამო, როგორაც მაინც ასლებურად ელერს. ტიპურ რეტროსპექ-

ციასთან ერთად ავტორები მიმართავენ ასო-
ციაციებსა და ანალოგიურ პარალელებს
უშუალოდ სოფიოს ეურნალისტური პრაქ-
ტიკიდან და, ამდენად, თვალნათლივ გეიხა-
ტავენ რა ცეცხლ ტრიალებს ამ ქალის სულ-
ში. ეგებ ვინმეს გადაჭრებულად მოეჩვენოს
ერთი და იმავე ხერხისა და მის ნაირსახეო-
ბათა ამდენი გამოყენება ფილმში, მაგრამ
რას იზამ, როცა წამით არ ისვენებს გმირის
გონება და შებღღულად ღირსება, როცა მას
გულწრფელად არ ასვენებს იმ ადამიანთა
ბედი, რომელთაც იგი ეურნალისტური მოღ-
ვაწეობისას შეხვედრია და რომელთათვისაც
უყოყმანოდ გაიღო თავისი ცხოვრების ნაწი-
ლი.

ცნობილია გამოჩენილი საბჭოთა კინორე-
ჟისორისა და თეორიტიკოსის ლ. კულეშო-
ვის გამოთქმა — ფილმი სამონტაჟო მავი-
დასთან იქმნებაო. ცხადია, აქ, უპირველეს
ყოვლისა, მონტაჟის პრიმიტივა ხაზგასმული,
ის დიდი შესაძლებლობა, ზოგჯერ ის გადა-
წყვეტი როლიც კი, რაც შეიძლება მონტაჟ-
მა შესარულოს უკვე გადაღებული ფილმის
საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში. თეორიულ-
ად ეს ასეა და პრაქტიკულად ამის დემონსტრაცია
„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“,
რომელმაც სწორედ დამონტაჟების პროცეს-
ში მიიღო ასეთი საინტერესო და ღრმა სახე-
ეგებ მაყურებლისათვის ეს პროცესი ნაკლებ
საინტერესო იყოს, რაკი მისთვის მთავარია
შედეგი, ანუ ის, რასაც ეკრანზე ნახავს, მაგ-
რამ მაინც უნდა აღინიშნოს და განსაკუთრე-
ბითაც უნდა გავსვას ხაზი იმ ნამდვილად შე-
მოქმედებით მიდგომას, რაც ფილმის ავტო-
რებმა გამოიჩინეს დამონტაჟებისას და ლი-
ტერატურულ თუ სარეჟისორო სცენართან
შედარებით სარკინობლად გააღრმავებს და
გააძლიერებს იდეურ-მხატვრული აქცენტები და
აძაბავს ფილმის ელემენტარულ სფეროებს და ამით
მას მწვევე, პრობლემატური ელემენტობა მი-
ანიჭებს. ინტერვიუები, რომლებიც კომპოზი-
ციურად ფილმის დამოუკიდებელ ნაწილად
იყო გათვალისწინებული, როგორც ერთგვარი
შტრიხები სოფიოს ეურნალისტური მოღ-
ვაწეობის დასახასიათებლად, დამონტაჟების-
სას ისე ორგანულად ჩაეწნა მთავარი გმირის
ხასიათის განვითარებას, რომ ამით მხოლოდ
მოიგო ნაწარმოებმა, კიდევ უფრო მეტი სი-
ცხადითა და სისავსით წარმოიჩინა ამ უღრე-
სად ღრამატული ხასიათის დიდი შინაგანი
ძალა, სულიერი სიმდიდრე და ადამიანური
მომხიბველობა.

ჩვეს პერიოდულ პრესაში (ს. გველსიანი)

გამოითქვა აზრი, თითქოს სოფიოს სახის
მთლიანობა ფილმში ერთხელ ირღვევა —
მხედველობაში ჩოგბურთის კორტების სცე-
ნა, როცა, პატივცემული რეჟისორის სი-
ტყუებით რომ ვთქვათ, „ფილმის ავტორებმა
აიძულებენ გმირს ულატორს თავის ხასიათს,
არსს“ და ამ დროს, თურმე, ს. ჭიაურელი
გმირი წარმოგვიდგება როგორც „ურტყლოდ
მოლაყებ ქალი — ეს, ჩემი აზრით, სოფიო არ
არის“ — ასევეს პატივცემული ს. გველსიანი.

ჩვენი აზრით, ეს არის ფილმის ერთ-ერთი
საუკეთესო სცენა როგორც ღრამატურული-
ლად, ისე პროფესიული შესრულების თვალ-
საზრისით. სოფიო ის ქალი არაა, წუწუტს
რომ დაიწყებს ან სკანდალს აუტყვავს არჩილს,
მაგრამ ბუნებრივია, სოფიო, უპირველეს
ყოვლისა, ქალია და არც „უბრძოლველია“
დათმობს ქმარს. სწორედ ამ „ბრძოლის“
შესანიშნავ სცენას გვთავაზობენ ავტორები
ჩოგბურთის კორტებზე, თუმცა ეს უფრო
გაბრძოლებია, უკანასკნელი გაბრძოლება
გულატრებული მეუღლის დასაბრუნებლად.
რამდენადაც უმწველია სოფიოს ეს ამო გა-
რჯა, იმდენად მომხიბველია იგი ადამიანურ-
რად და ქალურად, მაგრამ ეს უნდა გავიყე-
თებინა სოფიოს, ერთხელ მაინც უნდა გავი-
კეთებინა. ამ მიზნით იგი არც ქალურ კოპია-
ობაზე იტყვის უარს, ჩოგბურთის კორტებ-
ზეც წაყვება მეუღლეს, ახლა იმაზეც თანა-
ხმაა ნასესხები ფულით შეიძინოს „ჟიგულო“,
მაგრამ ეს მისი ქალური ბუნების, მეუღლის
ერთგულებისა და ოჯახის შენარჩუნების კი-
დეგ ერთი ცდაა და მეტი არაფერი. ცხოვრე-
ბა თავისი გზით მიდის, არც არჩილი და, რა-
საკვირველია, არც სოფიო დათმობს თავის
გზას. თავის საქმეს, თავის მოწოდებას ვერ
ულატებს, ვერ გააქრებს იმ ადამიანთა
იმედებს, რომლებიც მისი სჭერთა, როგორც
ეურნალისტისა და მოქალაქისა. ამიტომაც
არ შეუძლია სოფიოს უშეთოდვე ცხოვ-
რება, არ შეუძლია ეს, სანამ ხედავს, რომ
ვიდაკას უჭირს და მისი ჩარევით, თუნდაც
მხოლოდ ადამიანური სოლიდარობისა და
თანაგრძობის გამოსახატვად, აუცილებლ-
დია. სოფიომ ძალიან კარგად იცის, რომ
ქვეყანას ვერ გაასწორებს, მაგრამ იმას მაინც
არ დაიშურებს, რისი გაკეთებაც შეუძლია.
ხოლო რაც მას შეუძლია, ყველაფერ ამას
აკეთებს დაუმადლებლად, უნაგაროდ, ნამდ-
ვილი მოქალაქეობრივი შემართებით, ერთგ-
ვარი ცხოვრებისეული ყინთაც კი და ესაა
მისთვის მთავარი.

სოფიკო ძლიერი პიროვნებაა, ამავე დროს, უაღრესად ჭალურია, რაც კიდევ უფრო მეტ დაძაბვებულბასა და მომხიბვლელობას ანიჭებს მას. ძლიერია იგი თავისი ბუნებით, ოჯახისა და საქმის სიყვარულით. სოფიკო ალბათ, იმ იშვიათად აღმნიშვნებს მიეკუთვნება, რომელთაც სახლიდან სამსახურში წასვლა ეხალისებოდა, სამსახურიდან კი — შინ დაბრუნება. ეს რწმენა ოჯახისა და საქმის, პროფესიის განუყოფლობისა ქმნის იმ ჰარმონიას, რომელიც სოფიკოს სულის მშვენიერებას გამოჰკვეთს.

ლ. ლოლობერიძის ახალი ფილმი სოციალურად ისე მწვეავ საკითხს აყენებს, რომ ჩვენი სოციალოგები მას გვერდს ვერ აუქლიან, თუმცა მათი მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგად კანონებს შეისწავლის და უფრო დოკუმენტური ხასიათის მასალებს ეყრდნობა. მაგრამ ლ. ლოლობერიძის ფილმში ეს პრობლემა ისე ღრმადაა განცდილი და გაანალიზებული, რომ იგი თავისთავად იწვევს ცხოველ ინტერესს, როგორც ფენომენი, რომელშიც ეპოქის შესაფერისი დამაჯერებლობით არსაა დროის ტიკიოლები, ის დამაფიქრებელი არაა, რაც ასასიათებს ქალის როლს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რაც, როგორც ჩანს, კიდევ არ განთავისუფლებულა ტრადიციის ინერციისაგან. არჩილი თავად მუყაითი, მშრომელი კაცია, მაგრამ სოფიკოს საქმიანობას „სხვის ცხოვრებაში“ ქექვად“ შიიხნევს. ეტყობა, ჩვენს გონებაში ისევ ისეა გამჯდარი ქალის მიმართ ტრადიციული დამოკიდებულება, ჩვენ ისევ ის გვინდა, რომ ქალი მუდამ „გვერდით გეყავდეს“ და ევლარ შეუფუხვებიათ მათ ჭეშმარიტად ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ხშირად, სხვა თუ არაფერი, ქედმაღლური ლიმილით ვაფასებთ მათ ამგვარ აქტიურობას, თითქოს უფრო სერიოზულ დამოკიდებულება-შეფასება ისინი არც იმსახურებენ. იქნებ სწორედ იქითკენ გვიბიძგებს ფილმი, რომ დროა მოხდეს ფსევდობათა გადაფასება და მართლაც ერთნაირი სიმაღლიდან შევხედოთ ჩვენი ახლობელი ქალების, კერძოდ კი, **მეუღლეების** საზოგადოებრივ როლს.

ამგეარად, თანამედროვე მხატვართა მიერ შექმნილი მარანი თავის პროტოტიპის მექანიკურ განმეორებას როდი წარმოადგენს. მან ახალი თვისებები და ხასიათი შეიძინა. ამ თვისებათაგან უმნიშვნელოვანესია ეროვნულობა და მხატვრულ-დემოკრატიული პრინციპების წინა პლანზე წამოწევა. განსხვავებით ეთნოგრაფიული მარნისაგან, რომელიც, მიუხედავად მდიდარი მხატვრული იერისა, წარმოადგენს უტილიტარული დანიშნულების ნივთს, თანამედროვე მარანი, ინარჩუნებს რა კონსტრუქციას, სცილდება უტილიტარობას და იქცევა დეკორატიულ მხატვრულ ნაყოთობად.

უნდა აღინიშნოს, რომ თემის განვითარებისას თანდათან იზინა თავი ახალმა თვისებებმა. ძირითადად ჩამოყალიბდა ორი ეტაპი — 1958 წლიდან 1966 წლამდე, და 1966 წლიდან — დღემდე.

1958-60 წლებში, როდესაც ქართული კერამიკა აღმავლობრბადაკენ დგამდა ნაბიჯებს, გ. ქართველიშვილი და მ. ბერიაშვილი მაპირ-

ველად შეასრულეს მარნები, რომლებმაც გარკვეულად დაუსკვიდრეს ამ თემის ადგილი ჩვენს კერამიკაში. ეს იყო მხატვრული მემკვიდრეობის ათვისების პირველი პერიოდი და გასაკვირი არ არის, რომ ამ დროს შესრულებული ნამუშევრები და მათ შორის ეს ორი მარანი ეთნოგრაფიულ ნიმუშებს ემსგავსება. მათი მხატვრული გადაწყვეტა უახლოვდება ტრადიციული მარნების გადაწყვეტის პრინციპს. ამასთან, მათ აერთიანებთ კიდევ ერთი ძირითადი ნიშან-თვისება: ისინი უტილიტარული დანიშნულების არიან. დღეს ეს ორი მარანი ძვირფასია იმიტომ, რომ მოწმობს ტრადიციების განახლებას. მხატვრები მიუბრუნდნენ ძველ ხალხურ კერამიკას, შეიგრძნეს მისი სილამაზე და შემოქმედებითად დაამკვიდრეს თანამედროვე პროფესიულ კერამიკაში, კერძოდ, მარნის თემამ შემდგომი განვითარება პიოვა 60-70-იან წლებში.

იწყება ძიებანი. მარნის გარეგნული იერი სცილდება ეთნოგრაფიულს, ნაწილობრივ ირღვევა ტრადიციული კონსტრუქცია, ჩნდება სხვადასხვა ვარიაციები. მარანი ხორციელდება ახლად აღორძინებულ შვეკრიალა ტექნიკაში, იგი იქცევა ერთ-ერთ წამყვან თემად კერამიკოსთა შემოქმედებაში. თითოეული მხატვარი ცდილობს თავისებურად გაიზროს

მარნის ავტორი და შესრულების წელი: შ. ნარბანაშვილი (1967); ე. ფოჩხიძე (1971); ნ. კინაძე (1963), რ. იაშვილი (1959); გ. ქართველიშვილი (1962); გ. მეტრეველი-შელოძე (1972).



იგი, ახლებურად გადაამუშავოს ტრადიციული ეთნოგრაფიული მასალა.

60-იან წლებში ქართულმა კერამიკამ უკვე ფართოდ გაითქვა სახელი. ეს წარმატება განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ამ დარგის მხატვრული სახის სიასლით. ფორმათა უჩვეულობით, ეროვნულობითა.

რ. იაშვილმა 1959 წელს მარანი შეკრიბა ტექნიკით შეასრულა. ტრადიციულ ფორმაში მხატვარმა სიახლე შეიტანა — გაამართვა კომპოზიცია — მოხსნა საყრდენი ფეხი. ხოლო საყრდენზე მომდგარი რამდენიმე (ძირითადად ხუთი-ექვსი) კინკილიდან დატოვა მხოლოდ სამი. სამკუთხედად ერომანეთთან მიდგმული, მოხდენილი, მალაყელიანი კინკილები შეერთებული არიან ზიარქურქლის ჰრინკიანით. სასმელად განკუთვნილია ერსაერთი კინკილის თავი — ზედ მიძრწოლი ტუჩაწეული, რქებჩაწვეული ხარის თავის გამოსახულებით. ამგვარად, ჩვეული კონსტრუქციის მარანში სასმელი პირი ცხოველის გამოსახულებით შეერწყვა ერთ კინკილას.


რ. იაშვილს სურთოდ არ ახსიათებს ნაკეთობის დეკორით გადატვირთვა. ფორმაც სადა და ლაკონური. მხატვარი ითვალისწინებს მასალის ხასიათს, აავსებებურებას და ქმნის ნაკეთობას განზოგადებულად, ყო-

ველგვარი დეტალების, გაგრძელებით, ახლებურად, არ ვარდებია აბსტრაქციონიზმის მიმართ. იგი არ უყარავს მის ციფსალ, პრაქტიკულ დანიშნულებას, ხალხური თემატის ტრადიციებს რაციონალურად იყენებს ამასთან, შეეფერს მის ნამუშევრებში დეკორატიული მნიშვნელობა ენიჭებს. მხატვრის მიერ კომპოზიციის ამგვარი გადაამუშავებამ, თვით იდეამ შექმნა სრულად ახალი, ამავე დროს თავისი ხასიათით — ეროვნული ფორმა, რომელმაც ბევრი კერამიკოსს უფრადღება მიიპყრო. შემდგომში მარანს თემურ ქრეული საინტერესო ნიმუში შეექმნა, მაკ. შორას ს. სულხანიშვილის, ი. ვაჩიჩილაძის, ნ. კუჩუაძის, ე. ფოჩხიძის, ა. კაკაბაძის და სხვათა მიერ.

1960 წელს ს. სოლოხანიშვილმა მერ შესრულებული მარანი, ერთი შეხედვით, თითქოს ტრადიციულ მარანს იმეორებს, მაგრამ, ამავე დროს, მხატვარს მარანს შეაქვს ახალი და თვალსაჩინო მხატვრული ნიუანსები. გაჭრა ლარხაქის თუ ქოთნის ფორმის საყრდენი ფეხი, დარჩა მსხვილი გულღერ მილი და ზედ შემომდგარი, ერომანეთსაგან ინტერესუბით დაცილებული ქვევრები. გულღერ მილი შედგმულია ოთხ დაბალ და ეფრო საყრდენზე.

კერამიკოსმა თემა გაიაზრა როგორც მცო-

მარანს ავტორი და შესრულების წელი: ი. ვაჩიჩილაძე (1964); ს. სულხანიშვილი (1976); მ. ბერიაშვილი (1958); გ. კოჭიაშვილი (1976); ზ. ჩიხლაძე (1968); ა. კაკაბაძე (1963)



რე ანიმალისტური პლასტიკა. მარნის ფორმა აირჩია, რათა გამოეხსა ირემი მთელი თვისი ხასიათით. ირმის მეკრად და თავი ისეა მიძერწილი გულღრმე მალზე, რომ ეს უკანასკნელი აღიქმება ირმის სხეულად, ხოლო საყრდენი ფეხებად. ქვევრები დამატებით მხატვრულ-დეკორატიულ აქცენტებს ქმნიან და ნაკეთობაში მშველი რიტმიკა შეაქვთ. მიჰყვა რა ხალხური ხელოვნების ტრადიციებს, მხატვარმა ესთეტიკურად გამოამსახველი ფორმა შეერწყა მარნის უტილიტარულ დანიშნულებას.

კონსტრუქციულად ახალია ნ. კენჭისძის მიერ ამავე წლებში შესრულებული მარანცხ. სამ, ირმის თავებით დამთავრებულ ჰინკილას შორის ჩადგმულია გაშლილი პირიანი ქვევრი. მის ზევით რქების სტილიზაციის საშუალებით შექმნილია ბადისებური ორნამენტი. მხატვარი მარანს ამკობს ნაძერწი ორნამენტებით. თავისი მხატვრული გადაწყვეტით იგი სადა და ლოკონიურია.

ჰინკილა-მარანი მარნის თემის სრულიად ახალი გადაწყვეტა იყო. შეცვლილმა კონსტრუქციამ მას შესძინა ახალი მხატვრული გამოამსახველობა.

ყველა მომდგენო ვარიაცია ძირითადად ისევ კონსტრუქციულ ცვლილებებს გეთავაზობს. ამგვარია ი. განეჩილაძის თოხი მარანი, სადაც მხატვარმა საყრდენი ფეხის კონსტრუქცია — ჭოთანს ან ლარნაკი უფუფის ფორმით შეცვალა, ქვევრების რაოდენობა შეამცირა სამამდე და დაუმატა კიდევ ერთი საინტერესო დეკორატიული აქცენტი — ქვევრების ყელზე შემოჭედული ირმის რქები. მხატვარმა საინტერესოდ ჩაიფიქრა მარნის მხატვრული სახე: საყრდენად გამოყენებული თევზი და მის ნაპირზე მიძერწილი ირმის გამოსახულება ერთთან ორგანიზმად, ირმის სხეულად აქცია.

მარნის თემა ა. კაკაბაძის შემოქმედებაში სრულიად განსხვავებული სახით გამოიყენათა. 1963 წელს მის მიერ შესრულებულ მარანში თავი იჩინა სწრაფვად სკულპტურულობისაკენ — მარნის გვირგვინის საყრდენად გამოიყენა ჯიხვის სხეული; კომპოზიციის მასიურია, მძიმე, შემსუბუქებული აუზრული ტექნიკით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტით. ამ ნამუშევარში იგრძნობა მხატვრის მიდრეკილება მონუმენტური ფორმებისადმი, რაც ამ პერიოდისათვის სრულიად ახალ სიტყვას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ 60-იანი წლების დასაწყისში მხატვარი-კერამიკოსი, ნიეთის დეკორატიულობასთან ერთად, თივალისწინებდა მის უტილიტარობას. შემდგომში შემოიჩნევა სწრაფვა მეტი დეკორატიულობისაკენ, სიმბოლური გამოამსახველობისაკენ,

თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ნიეთი არ კარგავს პრაქტიკულ დანიშნულებას. ეს გამოვლინდა მარნის თემშიც, რომელშიც ახალი ელემენტი — ადამიანის გამოსახულება გაჩნდა.

ამ მხრივ საეტაპო ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს გ. ქართველიშვილის „ქინტობი“, ი. განეჩილაძის „ხორუმი“ და მ. ჩიხაძის „ნინო“. სწორედ ამ ნამუშევრებში ჰპოვა მარნის თემამ სრულიად ახლებური, ამასთან მეტად ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტა. აქ ერთმანეთს შეერწყა სკულპტურულობა, დეკორატიულობა, სიმბოლურობა და უტილიტარობა. ნაკეთობანი ყურადღებას იქცევენ მეტად საინტერესო სტილიზაციით და ავტორთა მივიღარი ფანტაზიით. უნდა ითქვას, რომ შემდგომ წლებში კერამიკოსები ხშირად იყენებენ მხატვრული გადაწყვეტის ამ პრინციპს. ამ პერიოდში მხატვრები ორნამენტულ დეკორს ან სრულიად არ ხმარობენ, ან იყენებენ მას მხოლოდ აქცენტების სახით, რომლის მიზანია გამოიყოს ძირითადი ელემენტი. დეკორსა და ფორმას შორის სრული პარაფონია და ლიგიაა. შემკულობის სიმცირე გამოიყვეული იყო თვით ახალ ფორმათა ძიებებით. ლაკონიური ფორმა ზედმეტს ხლიდა დამატებით დეკორატიულ ელემენტებს. ამასთან, დეკორის სიმცირის მიზეზი ახალი შავკილა ტექნიკა იყო, რომელიც თავისთავად ანიჭებდა ნიეთს დეკორატიულობას, მკვეთრად აღსაქმელ სილუეტს უქმნის მას. შავკილა კერამიკის ეს თვისებები ნიშანდობლივია მოქმედი კერამიკოსისათვის. ამ წლებში ისიც ძუნწად არის დეკორირებული.

ამგვარია ქართული კერამიკის და, მასთან ერთად, მარნის თემის განვითარების პირველი ეტაპი. გარკვეული ცვლილებები, რომელიც მან განიცადა, ცხადია, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მხოლოდ ჩვენთან. ძვრებით და ცვლილებებით ხასიათდება 60-იანი წლების პირველი ნახევრის საბჭოთა კერამიკა.

მეორე ეტაპი ასევე განპირობდა იმ მოთხოვნებმა, ამოცანებმა, რომლებიც საერთოდ იდგა საბჭოთა კერამიკის წინაშე.

ქართულმა კერამიკამ, უპირველეს ყოვლისა, არ დასთმო ის თემა, მხატვრული ფორმები, რომელიც მან აირჩია 60-იანი წლების ბოლოს — განვითარების პირველსავე წლებში. მან მხოლოდ ახლებურად მოგაწონდა ისინი. ქართველი კერამიკოსების შემოქმედებაში კვლავ რჩება დოქტები, ლარნაკები, ჯამები, სერვიზები, თევზები და მარანი.

მაგრამ ხუ 60-იანი წლების შუახანებამდე დეკორატიულ ფორმათა ძიებებთან ერთად უტილიტარობაც პირველ პლანზე იდგა. ახლა პირიქით, პრაქტიკული დანიშნულება

ადგის უთმობს დეკორატიულობას. ამ პერიოდის მარნები წმინდა დეკორატიული ხასიათისაა, გამოხულია გამოფენის ექსპოზიციისათვის, ინტერიერის დეკორატივისათვის. ჩნდება ტენდენცია „მონუმენტალიზაციისკენ“, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ამ ხანის საბჭოთა კერამიკისათვის.

ქართულ კერამიკაში მონუმენტალიზაცია თავისებური გზით წარმოიბა, ფორმათა გაზრდის ხარჯზე. განსა ჭურჭელი, რომელსაც, ძირითადად, სიღრმის გამო ეყრდნობა პრაქტიკული დანიშნულება. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ნ. კიკნაძის და მ. ჩხლაძის მიერ 1966 წელს შექმნილი მარნი მარანი. მხატვრებმა თითქმის უარყვეს წინა წლების კერამიკოსთა ძიებანი და დატბუნდნენ ტრადიციული ქართული მარნის ფორმას. მართალია, მარანმა მოცულობის გაზრდის ხარჯზე შეიძინა დეკორატიულობა, მაგრამ ბოლომდე სრულყოფილი, დასრულებული მხატვრული სახე ვერ მიიღო. მიუხედავად ამისა, მათ მაინც საეტაპო მნიშვნელობა აქვთ ახალი ხერხების გამოყენების თვალსაზრისით.

აღსანიშნავი 1967 წელს ა. კაკაბაძის მიერ შესრულებული მარანი. მხატვარმა იგი ორიგინალურად გადაწყვიტა. ქოთნისებური ფორმის საყრდენებზე მოათავსა ორსართულიანი გვირგვინი. პირველ იარუსზე გულღრუ მილის გარშემო განალაგა წაკვეთილ-ყელიანი ჭინჭილები, მათ თავზე მოატარა კვლავ გულღრუ მილი და ზედ შეადგა ჭინჭილების მეორე რიგი. მარნის ამ საკმაოდ მასიურ ფორმას შეუხამა გულღრუ მილზე ამოკაწრული, ქართული ფარდაღისათვის დამახასიათებელი სწორხაზოვანი ორნამენტის ელემენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ა. კაკაბაძემ პირველმა გამოიყენა და ახლაც ხშირად მიმართავს ქსოვილისათვის დამახასიათებელ ორნამენტს და ამოკაწრის ან ჭიჭურის დაღების ხერხით გადმოისახსნა ფაქტურას. ეს მისი სახასიათო ხელწერაა.

ს. სულხანიშვილის მიერ 70-იანი წლების შუახანებში შესრულებული ორი მარანი საინტერესოა მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტით. ორივე ნამუშევარს ერთი პრინციპი უდევს საფუძვლად. ერთ შემთხვევაში დიქის ოთხივე მხარეს, ხოლო მეორეზე — სამ მხარეს ამოყვანილია სასმელი მილი, რომელიც ერთად ბოლოვდება სასმელი ტურით. მეორე შემთხვევაში ირმის თავების გამოსახულებით. ირმის რქები ერთ-ერთ მხატვრულ-დეკორატიულ აქცენტს წარმოადგენს და, ამავე დროს, მარნის სახელურის როლსაც ასრულებს. მხატვრულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით ეს უაღრესად საინტერესო ნამუშევრებია. მიკვანიშნებენ, რომ

მხატვარი ახლებურად, ორიგინალურად წყვეტს ფორმას, ამასთან, მარანს თავის ტრადიციულ ხალხურ იერს უნარჩუნებს.

თანამედროვე კერამიკა მონუმენტალიზაციის ტენდენციამ მიიყვანა „ერთობოცულობის“, ნათლად აღსაქმელ სილუეტებთან, კომპაქტურობასა და კონსტრუქციულობასთან. ქართულ კერამიკაში კი, კერძოდ, მარნის თემაში თანდათან განსა დადებითობა, ფორმათა სრულყოფილი, დეკორის უხედავ გამოყენებისაკენ სწრაფვა. ამიტომაც, რაც შემთხვევაში ფორმა კარავს თავის პირველად მნიშვნელობას, ქრება სისადავე, ზომიერება.

თუ ადრე დამახასიათებელი იყო მარნის ნაწილებს შორის პროპორციული თანაფარდობა, შემდგომში ხდება რომელიმე ნაწილის აქცენტირება, რითაც მხატვარს სურს გამოკვეთოს მარნის ეს თუ ის ელემენტი. ხშირად ვხვდებით უკვე მოძებნილი ფორმების ვარიაციებსაც.

დღესდღეობით დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში უმთავრესი როლი ენიჭება მასალას. ნაკეთობის მხატვრულ სახეს ხშირად განაპირობებს ის, თუ რა მასალაში ხდება მხატვრის ჩანაფიქრის ხორცშესხმა. დღეს ყველაზე პოპულარული მასალაა შამოტი, რომელიც ხასიათდება უხეში, ხაოიანი ფაქტურით. მხატვარი ცდილობს გამოიყენოს ამ მასალის ყველა თვისება. ვახსენა მისი დეკორატიული შესაძლებლობანი და მიალერის სასურველ მხატვრულ ეფექტს.

მასალის თვისებიდან გამომდინარე, პირველ პლანზე გამოდის ფორმა, მცირდება დეკორი, იზრდება ინტერესი პლასტიკისადმი, მხატვრები ისწრაფვიან ფორმის დინამიკურობისაკენ, მთლიანობისაკენ, სისადავისაკენ.

ა. კაკაბაძის მიერ შამოტის მასალაში შესრულებული დიდი ზომის მარანი აღჩინდელ კონსტრუქციის ინარჩუნებს, დეკორატიული მონუმენტალიზაციისაკენ მიიღებს. მასალამაც გაამართლა მხატვრის ჩანაფიქრი. შამოტის თავისებურებამ ფორმას კიდევ უფრო მონუმენტური იერი მიანიჭა.

მარნის თემას შეემატა სხვა საინტერესო ნიმუშები, ასეთია მ. აბაშიძის და ე. ფოჩინძის მარნები, რომლებიც მკაფიო დეკორატიულობით ხასიათდებიან.

ჩვენს მიერ გამოქვეყნული მასალა მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ნამუშევრებისა, რომლებსაც ქმნიდნენ და ქმნიან ქართველი კერამიკოსები მარნის თემაზე. კერამიკული მარანი თვალნათლივ გვიჩვენებს არა მარტო ამ ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი და პოპულარული თემის ევოლუციას, არამედ, გარკვეული ზრით, ქართული კერამიკის განვითარების გზასაც.

საუბესრულებლო ინტონაციის ცნების განსაზღვრისათვის

ლონდა სამსონიძე

თანამედროვე მუსიკათმცოდნეობით ლიტერატურაში და მუსიკალურ პრაქტიკაში ტერმინი „ინტონაცია“ მყარად არის დამკვიდრებული. როგორც ცნობილია, მუსიკაში ეს ტერმინი მეტყველებიდან შემოვიდა, სადაც იგი ფართოდ გამოიყენება როგორც მეტყველებითი აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ინტონაცია მეტყველებაში გულისხმობს ბგერათა სიმალის, ინტენსივობის და ტემპრის ვარიაციას — ცვლას, ეგრეთ წოდებულ ხმის „აწვე-დაწვევას“ და ამ გზით ანიჭებს სიტყვას ემოციურ შეფერილობას. ძირითადად მისი საშუალებით ხდება ზეპირ მეტყველებაში ემოციური შინაარსის გადმოცემა. ვარდა ამისა, მეტყველებაში ინტონაციას გარკვეულ შემთხვევებში საზარის მატარებელი ფუნქცია გააჩნია. ასე მაგალითად, კოხეით წინადადებაში, სადაც არ არის კითხვითი სიტყვა, მხოლოდ ინტონაციური ხაზგასმით ხდება შესაძლებელი საზარისის წვდომა.

მეტყველებისაგან განსხვავებით, მუსიკაში ეს ტერმინი გამოიყენება რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოვლენის აღსანიშნავად. უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში იგი ხშირად იმარტება, როგორც მოკლე მუსიკალური კომპოზიციის დასახელება, რომელიც ტონს აძლევს შემდგომ საორგანო პიესებს ან საგუნდო ლიტურგიულ სიმღერებს, ხოლო საბჭოთა მუსიკათმცოდნეობაში ინტონაციას უფრო სხვაგვარი და არაერთი მნიშვნელობა მიეწერება.

მას შემდეგ, რაც ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში აკადემიკოსმა ბ. ასაფიევმა წამოაყენა თეორია მუსიკალური ინტონაციის შესახებ ნაშრომში „მუსიკალური ფორმა, როგორც პროცესი“, თანამედროვე მუსიკათმცოდნეობის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავეთა დაღვა საკითხი ინტონაციის ცნების შინაარსის დაზუსტებისა და მისი გამოყენების მკაფიო საზღვრების დადგენის შესახებ.

ასაფიევის ინტონაციის თეორიამ გაიარა ჩამოყალიბების რთული და ხანგრძლივი პროცესი. 1919 წელს გამოცემულ მუსიკალურ ლექსიკონში ასაფიევი ინტონაციას განიხილავდა მხოლოდ ვიწრო აკუსტიკური გაგებით, მისი მაშინდელი აზრით, ინტონაცია არის სიხუსტე, ნამდერი ან ინსტრუმენტზე შესრულებული ბგერის სიწმინდე (чистота), ხოლო 40-იანი წლების შრომებში („მუსიკალური ფორმა, როგორც პროცესის“ II წიგნში) იგი ინტონაციას განიხილავს როგორც საზარისის (смысловое содержание) მატარებელ მოვლენას მუსიკაში, იგი წერს: ინტონაციაში მნიშვნელოვანია სწორედ ბგერათა მიმართების დაზუსტება (выравнивание) ინსტრუმენტზე, ესე იგი, სუფთა წყობის მიღწევა, ვინაიდან ყალბი წყობა არღვევს საზარისს, მუსიკის, როგორც ინტონაციის, თვისობრივ ტონუსს („მუსიკალური ფორმა, როგორც პროცესი“, გვ. 213).

გამოყოფილ ზოგიერთ ძირითად პუნქტს ასაფიევის „მუსიკალური ინტონაციის საფუძვლებიდან“, რომელიც გამოქვეყნდა 1930 წელს, როგორც მეორე დამატება ასაფიევის ნაშრომის „მუსიკალური ფორმა, როგორც პროცესის“ პირველი წიგნისა.

ა. მუსიკა ინტონაციური ხელოვნებაა, ინტონაციის გარეშე მუსიკა არ არსებობს;

ბ. მუსიკაში არ არსებობს არაფერი სმენითი გამოცდილების გარეშე. ამიტომ ყოველი მუსიკალური განსაზღვრება უნდა იმყარებოდეს არა „მუნჯ“ აბსტრაქციებს, არამედ მხოლოდ იმის კონკრეტულ აღქმას, რაც ვღერს;

გ. ინტონაცია არის აქტუალური საწყისი, ელერადობის რეალოზაცია შინაგანი სმენის, ხმის ან ინსტრუმენტის საშუალებით;

დ. ინტონაცია არის საზარისის მიცემა ხმოვნებისათვის და არა უბრალოდ ნორმიდან გადახარის კონსტრუქციება (სუფთა, ყალბი, ზუსტი, არაზუსტი);



ე. ყოველი მარტივი ინტონაცია გულისხმობს ორ მიმართებას: ბევრით მოვლენისა და მის მიმართებას მეორესთან (მეორე ბევრით მოვლენასთან). ყოველი ბევრით მოვლენა, იმისათვის, რომ იქცეს ინტონაციად, არ შეიძლება დარჩეს განერქობებული. იგი ან შედგევიან წინა ბევრით მოვლენისა, ან იწვევს შემდგომ (მიმდევრო) ბევრით მოვლენას, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება განხედეს მუსიკალური მოძრაობა;

3. ინტონაციის, როგორც ბევრითი მიმართულებისათვის საზრისის მიცემის გაკება გულისხმობს მის საზოგადოებრივ გამოჩენებულობას და სოციალურ ბუნებას.

ეს დებულებები შემდგომ განვითარებასა და დახვეწას პირობებზე აქუსიკალური ფორმა, როგორც პროცესისა მეორე წიგნში — „ინტონაცია“, რომელიც გამოიცა 1947 წელს. მიუხედავად ამ ნაშრომის ფუნდამენტური მნიშვნელობისა თანამედროვე მუსიკათმცოდნეობისათვის, აქ ვერ შევხვდებით ინტონაციის ცნების უსტატე თვითმნიშვნელოვან განსაზღვრებას. ასაფიციე ამ ტერმინით აღნიშნავს რამდენიმე ვანსაზღვრებულ მუსიკალურ ფენომენს. მათი დაწერილებით განხილვა სცილდება ჩვენი წერილის ფარგლებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ განსაზღვრებებს შორის მინც შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი განსაზღვრება: ინტონაცია უფრო სპეციალური მნიშვნელობით და ინტონაცია ფართო გაგებით. თუ რა იგულისხმება მათში, ამაზე ქვემოთ შევჩერდებით.

ნაშრომის მეორე წიგნში ასაფიციე აღნიშნავს, რომ სიტყვიერი „ტონ-ხელოვნების“ (ТОНОВОЕ ИСКУССТВО) გათვითის გამოცეკვეება მუსიკალურად გაფორმებული ბგერის „ტონ-ხელოვნებისა“ გამოჩენებულა ახალი გამოჩენებულობით მოვლენის აღმოცენებით, მოვლენისა, რომელსაც სიტყვიერი ხელოვნება არ სჭირდება. ეს მოვლენა არის ინტერვალთა, ინტონაციის ემოციური აზრობის თვისობრიობის უსტატე განსაზღვრება. ასაფიციე ინტერვალს განიხილავს როგორც ცენტრს, ლერძს, რომლის გარშემო თავს იყრან სხვადასხვაგვარი ინტონაციური კავშირები. ამრიგად, ერთ ობიექტურ დასაყრდენზე—ინტერვალზე, შესასაღებელი მრავალი თვისობრივი, განცდიესულად განსაზღვრებული ინტონაციური მოთაობების აღმოცენება.

აეტორი გადაჭრით მიუთითებს, რომ ინტონაციური თვალსაზრისით ყოველი ინტერვალთა შეიცნობა მხოლოდ სმენის საშუალებით და მელოდიაც არსებითად ინტერვალის გამოვლენის წარმოადგენს. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ასაფიციის თეორიაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მუსიკის, როგორც ექსტრალური საწყისის, როგორც ულტრაბოლის რეალიზაციის გაკება.

როგორ გაევივით ქლერადობის რეალიზაცია?

აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ვარაუდობა, რომ ხელოვნების სხვა დარგთან განსხვავებით, შესრულებას მუსიკაში — მისი სპეციფიკური ბუნების გამო, სრულად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შემსრულებელი არის აღეცილებელი რგოლი შემოქმედისა და მსმენელს შორის, რომლის გარეშე მუსიკა, როგორც ხელოვნების დარგი, ვერ იარსებებდა. მუსიკალური ნაწარმოები დარჩებოდა სანოტო სისტემის პირობითობის სიბრტყეში

მოცემულ ნიშნათა ერთობლიობად, თუმცა, არსებობს შემსრულებლის სხვადასხვა პიროვნება უყურებს პარტიტურას და მას შეიძლება ემისი და მუსიკა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ნაწარმოები ნაცნობი, რამდენაგრემ მოსმენილი უნდა იყოს, ესე იგი, მესხიერების ფუნქციას—შენახული შინაარსის აღდგენას უნდა ჰქონდეს ადგილი. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პიროვნება სრულიად უცნობი მუსიკას აღიქვამს მხედველობით და მინც შეუძლია შინაგანად მოიხსინოს იგი. მაგრამ ასეთ დროს საქმე ეხება პიროვნებას, რომელიც, ვერ ერთი, სრულქმნილია უნდა იყოს დაუფლებული მუსიკალური ნაწარმოების განხორციელების მექანიზმს და, ამასთან ერთად, იგი უღლებს მალაინიციური უნდა იყოს ამ დარგში. მოუხედავად ამისა, ეს მინც არ შეიძლება ჩათვალოს მუსიკის რეალურ განხორციელებად. ეს იქნება მხოლოდ მუსიკის წარმოსახვა ან პიროვნების მიერ და ისიც საკმაოდ პრობლემატურია, თუ რა სახით ხორციელდება ეს პროცესი.

ამრიგად, გამოდის, რომ შესრულების გარეშე არცერთი მუსიკალური ნაწარმოები არ შეიძლება იქნეს რეალიზებული — მუსიკის შემსრულებელმა უნდა გააცოცლოს იგი. სწორედ ამიტომ, მუსიკალურ ხელოვნებაში დაკვირვების საგნად საუბრისხმობა არა ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს ინტონაციის ობიექტურ მხარის, ესე იგი, ინტერვალს, თუ სიმოლამბრიო-რიტმული მიმართების ვადატანას სხვა მოვლენაში, თვალსაჩინო ნიშნების — ნოტების სახით, არამედ თვით მუსიკალური ნაწარმოები, დროში განვითარებადი მუსიკალური ორგანიზმი, განხორციელებული მხოლოდ მისი შესრულების პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულება ასახავს პირობებს ასაფიციის ნაშრომის სათაურშივე: „მუსიკალური ფორმა, როგორც პროცესი“ (ხაზი ჩვენია).

აქვრ კიდევ ნაშრომის პირველ წიგნში ასაფიციე წერს, „ვიდრე ნაწარმოები არ ქლერს, არ ინტონირდება, იგი არ არსებობს“ (გვ. 54). აეტორი არაერთხელ უბრუნდება შესრულების პრობლემას მუსიკალურ ხელოვნებაში, „მუსიკალური ნაწარმოების სოცოცში მის შესრულებაში, ესე იგი, ინტონირების საშუალებით მსმენელისათვის ამ მუსიკის საზრისის გახსნაში. შემდეგ კი მსმენელის მიერ ამ მუსიკის „თავისთავის“ გასმეორებით განხორციელებაში“ (გვ. 264). ერთ-ერთ სკოლითი ასაფიციე მუსიკას შესაბარლის ხელოვნებად მიიჩნევს. ვინაიდან, ვერაწერული ტოლო ცოცხლობს მუხუფში; ულქსი — თუ დაბეჭდილია, უწყვი ცოცხლობს, ხოლო დაბეჭდილი მუსიკალური ნაწარმოები — ნოტები ვერ არ არის მუსიკა, საჭიროა მისი განხორციელება, ინტონირება, საჭიროა ინტერპრეტები, შემსრულებლები“ (265).

საშემსრულებლო ინტონაციის მნიშვნელობას აეტორი შემდეგნაირად აყალიბებს: „ინტონაციურ ხელოვნებაში, როგორც არის მუსიკა, შემსრულებლობა არის კომპოზიტორის დაწავაშირებელი მსმენელსა წრესთან. იგი ინტონირების ხელოვნებაა. თუ იგი (შემსრულებლობა—ს.) თვით არის მკვდარი, იგი ქლავს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ინტონაციური სიმდიდრის დაგრა-



ვების პროცესსაც“. ავტორს მიაჩნია, რომ მუსიკაში ტონის დაკვრა (ნაშვ в тоне) ნიშნავს ჯღერადობის გარკვეული ხარისხის შენარჩუნებას — სწორ ინტონირებას. ამის გარეშე შესრულებას აზრი არა აქვს. ეს გარემოება ასაფიქსირებელი ინტონაციის, როგორც აზრისა და განზომილის გამოვლენების კანონად მიაჩნია, „ეს თვისება შემთხვევით არ არის — მიუთითებს იგი, — ეს თვისება მუსიკის ადამიანთა ურთიერთობის ხელშეწყობად აქცევს“, და რაც უფრო შინაარსიანი და ინტელექტუალურია მუსიკა, მით უფრო ზუსტი უნდა იყოს მისი ინტონირება.

აქ უნდა გამოიჩინოს სწორედ ერთმანეთისაგან ასაფიქსირებელი ინტონაცია სპეციალური გაგებით და ინტონაცია ფართო გაგებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ინტონაცია სპეციალური გაგებით არის ბგერათა ინტერვალურ-რიტმული მიმართებების რეალური განხორციელების თვისობრივი განვლილი მხარე, ეს ინტონაციის ის ასპექტია, რომელსაც შემდგომ ბ. იარუსტოვსკიმ ცოცხალი „პაწია ურედი“ და „მუსიკალური ხატის საშენი მასალა“ უწოდებდა, ხოლო ინტონაცია ფართო გაგებით ეს არის საშემსრულებლო ინტონაციაში წარმომადგომელი ინტონაცია, რომელიც საბოლოოდ სახეს აძლევს ნაწარმოებს და მრავალრიცხოვანი საშემსრულებლო ხერხის საშუალებით ქმნის ნაწარმოების განვსაზღვრელი „გვარებისა“ შესაძლებლობას. საშემსრულებლო ინტონაცია ავტოტონობით გულისხმობს თავის თავში ინტონაციის სპეციალური გაგებით, სხვათადაც, კომპოზიტორის მიერ ინტონაციის — ბგერათა ინტერვალურ-რიტმული მიმართებების რეალური განხორციელების თვისობრივი-განვლილი მხარე, რომელიც არცერთ შესრულებაში არ უნდა შეიცვალოს. იცვლება მხოლოდ ინტონაცია ფართო გაგებით, რომელიც შეიცავს შემსრულებლის მიერ ნაწარმოების ინტერპრეტაციის მომენტს.

ამასთან დაკავშირებით შეეხებით ჩები მუსიკათმცოდნის პროფესორ ი. ირანეის თვალსაზრისს, წარმოდგენილ სტატიაში „მარქსისტული მუსიკათმცოდნეობის ზოგიერთი ძირითადი პრობლემა ასაფიქსირებელი ინტონაციის თეორიის შექმნა“, სადაც ავტორი იძლევა ასაფიქსირებელი თეორიის მეცნიერული შეფასებას და თავისებურად აყალიბებს ინტონაციის ცნებას. მისი თვალსაზრისის დაწვრილებით დალაგება სცილდება ჩვენი წერილის ფარგლებს, მიუთითებთ მხოლოდ, რომ მუსიკის კვლევის ძირითადი მიმართულება ავტორი მიიჩნევს ნაწარმოებს — ავტოტონობის ცოცხალი მხატვრული ფორმის სახით. ცოცხალი, სმენის საშუალებით აღქმულ პროცესს და არავითარ შემთხვევაში მკვდარ სანოტო მასალას ან ცალკეული, სტატუტურად განლაგებული ელემენტების სქემას. ირანეი დაასკვნის, რომ მხოლოდ ინტონაცია — როგორც შემოქმედითანი პროცესის, რეპროდუქცირებისა და აღქმის ერთიანობა წარმოადგენს ასაფიქსირებელი თანმიმდევრულად გაზრდილი კონცეფციის თანახმად მარქსისტული მუსიკათმცოდნეობის კვლევის სპეციფიკურ სფეროს.

შესრულების ფაქტს მუსიკალურ ხელშეწყობაში ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ამის ილუსტრაციაა მისივე სიტყვები: „მოტივი—მკვდარი სქემა, იგი ცოცხლდება მხოლოდ შესრულებაში და ყოველ შესრულებაში მისი შინაარსი ფსიქოლოგიური ხასიათის მხრივ სხვადასხვაგვარად ინტონირდება“. ი. ირანეი იხსენებს

ჩები მუსიკათმცოდნის ი. სიხრას მიერ ხალხური მუსიკაზე მოყვანილი მაგალითი: ერთი სიმღერა სხვადასხვა ავტორული-დანიშნული ინტერპრეტაციით განიცდება როგორც სხვადასხვა სიმღერა.

ავტორი აღნიშნავს, რომ არ არის შემთხვევითი ხელშეწყობის-შემსრულებლების უარყოფითი დამოკიდებულება ტერმინის მიმართ — „воспроизведение“, ვინაიდან, ნაწარმოების ყოველი შესრულება მართლაც წარმოადგენს მისი ხელახალი ინტონირებას (перинтонирование) თავისებურ აქტს, რომელიც გარკვეულად შემოქმედებითა და არ არის მოკლებული ნოვატორობის ნიშნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტონაციის ეს ასპექტი, ესე იგი, ასპექტი საშემსრულებლო ინტონირებისა არ არის საკამარისად შესწავლილი სპეციალისტთა მიერ, თუმცა თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მუსიკალური ინტონაციის უფრო მიახლოებითი დეფინიციის ცდებიც. ასე მაგალითად, თავისი ნაზარევი ინტონაციის შესახებ ე. ნაზაიკისის დალაგებული აქვს ცალკე ნარკვევის სახით მონოგრაფიაში „მუსიკალური აღქმის ფსიქოლოგიის შესახებ“. ავტორის აზრით, მუსიკათმცოდნეობაში არსებული განსაზღვრებები ინტონაციისა შეიძლება დაყენილი იქნას მის ფართოდ ვიწრო გაგებაზე. ავტორს მიაჩნია, რომ მუსიკალური ინტონაცია ფართო გაგებით — არის მუსიკალური ნაწარმოების რეალური ბგერითი განხორციელება, რომელიც ხასიათდება ბგერათმცოდნეობის ხერხებისა და მათ შორის ვალგვარ ურთიერთმიმართებათა ერთობლიობით სინტაქსური მასშტაბური დონის ჩარჩოებში. ხოლო მუსიკალური ინტონაცია ვიწრო გაგებით, ავტორი მიიჩნევს მხოლოდ ან მუსიკალური ქსოვილის რომელიმე ხმის ბგერით-სიმალობრივ მარჯულს.

ნახაიკისი თვლის, რომ სანოტო ჩანაწერში ფიქსირებული ნაწარმოები ვაკვალეს წარმოდგენას მუსიკალური ინტონაციაზე როგორც ფართო, ასევე ვიწრო მნიშვნელობით. მკაცრად რომ ვთქვათ — ამბობს ავტორი, სანოტო ჩანაწერი ვეცხატავს ინტონაციის მხოლოდ სქემას. იგი ასახავს ინტონაციის მრავალ არსებით ნიშანს, რასაც პირობითად შეიძლება კომპოზიტორისგული ინტონაცია ეწოდოს. ხოლო ის, რაც შეაქვს ამ სქემატურ სურათში შემსრულებელს, შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საშემსრულებლო ინტონაცია.

ამრიგად, ნახაიკისი გამოყოფს მუსიკალური ინტონაციის ოთხგვარ გაგებას: ფართოსა და ვიწროს, კომპოზიტორისგული და საშემსრულებლოს.

ინტონაცია ვიწრო გაგებით არის მელიოდის ბგერით-სიმალობრივი მარჯული:

ინტონაცია ფართო გაგებით არის მუსიკალური ნაწარმოების რეალური ბგერითი განხორციელება;

კომპოზიტორისგული ინტონაცია არის სანოტო ჩანაწერში ფიქსირებული ინტონაციური სქემა;

ხოლო საშემსრულებლო ინტონაცია არის ის მხარე ინტონაციისა, რაც ბგერათა წარმოქმნის მრავალფერო-

1 ი. ნახაიკისი მუსიკალურ ნაწარმოებს განიხილავს სამ დონეზე: დონეტარული დონე, სინტაქსური დონე, მსხვილი მუსიკალური ნაგებობის აღქმის დონე.



ვანი ხერხებით და საშუალებებით შეაქვს შემსრულებელს ან სქემის განხორციელებასში.

ვიფიქრობ, ნახაივისკისული გავება მუსიკალური ინტონაციისა, ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო იმდენად, რამდენადვე ავტორს ინტონაციის განსაზღვრებაში მკაფიოდ აქვს გამოყოფილი სამშემსრულებლო ასპექტი. თუმცა, საწესდებო, ხსენებულ ნარკვევში სამშემსრულებლო ინტონაციის ბუნებისა და თავისებურებათა შემდგომ შესწავლას ადგილი არა აქვს დათმობილი.

და ბოლოს, შევებებით რ. კრემლოვის თვალსაზრისის სამშემსრულებლო ინტონაციის შესახებ წარმოდგენილს სტატიაში „ინტონაცია და ხატი მუსიკაში“ („Интонация и образ в музыке“). კრემლოვის თვალსაზრისი მუსიკალური ინტონაციის შესახებ არაერთგულ გამხდარა საბჭოთა მუსიკისმკოდნეთა დისკუსიის სახნად. ამაზე მიუთითებს ბ. იარუსტოვსკიც კრემლოვის „ინტონაცია და მუსიკალური ხატი“ შესავალში, მაგრამ, მიუხედავად წინააღმდეგობრიობისა, კრემლოვის ნაზრავი ინტონაციის შესახებ, ვიფიქრობთ, მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს საზოგადოდ მუსიკალური ინტონაციის გავებით-სათვის, ვინაიდან ავტორი გვაძლევს სამშემსრულებლო ინტონაციის საინტერესო განსაზღვრებას, კრემლოვი წერს: „ნუ დ ვაერწყვდება, რომ მუსიკაში, როგორც ორნამენტურად ხელოვნებაში (ხელოვნებაში, რომელიც ითხოვს შესრულებას), ინტონაციას აქვს ორი ფაზა: კომპოზიტორისეული ფაზა და სამშემსრულებლო ფაზა. ეს ორი ფაზა ხშირად არ არის ურთიერთშეთანხმებული. შედარებით ბუნებურ შემთხვევაში შემსრულებელი სწორად და ღრმად წვდება კომპოზიტორისეულ ინტონაციას, განმტკიცებს და განავითარებს კიდევ მას სამშემსრულებლო ინტონაციის საშუალებებით. მაგრამ ხშირად სხვაგვარადაც ხდება. შემსრულებელმა შეიძლება ცუდად გაიგოს კომპოზიტორის ინტონაცია და ამით მოხდეს წინააღმდეგობაში მის მთავარ ტენდენციებთან. შემსრულებელს შეუძლია, ნებით თუ უნებლიედ, ებრძოდეს კიდევ მას (კომპოზიტორისეულ ინტონაციას—ლ. ს.), ამის შედეგად იღუპება ნაწარმოების საუკეთესო მხარეები დაპირისპირებულ ძალთა ნეიტრალიზაციის გამო“.

მაგრამ ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ არ უნდა ვაფარკობთ კომპოზიტორისა და შემსრულებლის ურთიერთდამოკიდებულება ამ პლანში. დიდი ქმნილებები დიდხანს კოცხლობენ, დრონი კი იცვლებიან. ახალ თაობებს ახალი შტრახები შეაქვთ ძველ მუსიკის ინტერპრეტაციაში და, უპირველესად ყოვლისა, შეაქვთ ახალი ინტონაციური იმპულსები (ძირითადად ტემპორალიტ-მული, დინამიკური, ტემბრული).

აქ კრემლოვი აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ სად არის ზღვარი სამშემსრულებლო ინტონაციის თავისუფლებისა, სად მთავარად კანონიერი, დასაშვები. სამშემსრულებლო ინტონაციის სრულფასოვნების თვალსაზრისით, ავტორს მიაჩნია, რომ ამ ზღვარს ავლენს ზომიერების გრანობა შემსრულებლისა და კიდევ ის გარემოება, თუ რამდენად ღრმასა და კაცობრიობის ახალი გამოცდილებით გამდიდრებულს ხდის ცკლილების ეს ტენდენცია ნაწარმოების იდგას, თუ პირიქით, აღარბებს, ვულგარულ ხდის და ამახინჯებს მას.

ღებულებში ამ პუნქტში კრემლოვს ვერ დავუფიქრებ. ვიფიქრობთ, სამშემსრულებლო ინტონაციის სრულფასოვნების დადგენა მხოლოდ ზომიერების გრანობაზე დაყრდნობით შეუძლებელია. სამშემსრულებლო ინტონაციის ბუნება სპეციალური, ღრმა და მრავალმხრივ ცვლვას მოითხოვს, ვინაიდან, როგორც კრემლოვი აღნიშნავს, იგი იკვევ როგორც კომპოზიტორისეული ინტონაცია, მუსიკალური ხატის საფუძველია საფუძველია.

ჩვენ ექსპერიმენტულად ვიკვლით სამშემსრულებლო ინტონაციის ზომიერით ასპექტში. კერძოდ, ვაინტერესება საკითხი, შეუძლია თუ არა არაკვალიფიციურ მსმენელს შეაფასოს მუსიკალური ფრაზის სწორი განმსრულებლობა ინტონირება. ცდების ერთ ნაწილში ფრაზის მთლიანობას ვარღვევდით გაუმართლებელ ადგილებს სუნთქვის აღებით, ხოლო სხვა ცდებში ვარღვევდით ნაწარმოების სტრუქტურის ნაწილების ინტენსიფიკაციის წესრიგს, — ძლიერად დაწყებულ ფრაზებს ვამთავრებდით გაუმართლებელი შესუსტებით, და, პირიქით, ფრაზების ბოლოები, რომლებიც შესუსტებას მოითხოვდა, უხეშად იყო გამოყოფილი. ამრავად, ირღვევდა ნაწარმოების ინდივიდუალური ხასიათი, მისი ემოციური შინაარსის ლოგიკა. ამ ცდების აღწერა და შედეგების დილაგება არ შეადგენს ჩვენი წერილის ამოცანას, მიუთითებთ მხოლოდ, რომ, როგორც ცდებმა უჩვენა, არაკვალიფიციური მსმენელი, 7-8 წლის ბავშვიც კი, გრანობას მუსიკალური ფრაზის ლოგიკური ინტონირების დარღვევას და ვანციდის ამას, როგორც უპაყოფით ფაქტს.

ეს ვარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კომპოზიტორისეული ინტონაციის სწორი სამშემსრულებლო ინტერპრეტაციას. ყოველი შემსრულებლის უპირველესი მოვალეობაა მიხეყვს კომპოზიტორისეული ინტონაციური სქემის ემოციური ლოგიკას, არ დაუშვას მისი დამახინჯება რიტმის, ტემპის, დინამიკის, არტიკულაციის მხრივ. მხოლოდ ამ მოთხოვნების ვათვალისწინების შემდეგ იშლება სამშემსრულებლო ინტონაციის თავისუფლების სფერო, რომლის საზღვრები მთლიანად დამოკიდებულია შემსრულებლის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ნიჭიერებაზე. სწორედ ეს შეიძლება იქცეს მომავალში სპეციალისტთა შემდგომი კვლევის საგნად.

ამრავად, სამშემსრულებლო ინტონაცია შემდეგი სახით შეიძლება იქნეს განსაზღვრული: სამშემსრულებლო ინტონაცია არის მუსიკალური ინტონაციის ერთ-ერთი ასპექტი (ინტონაცია ფართო გაგებით), რომლის საშუალებით შემსრულებელი, მიჰყვება რა კომპოზიტორისეული ინტონაციის სქემას, მოცემულს სანოტო ჩანაწერში, მრავალრიცხოვანი სამშემსრულებლო ხერხების გამოყენებით, თავისი ინდივიდუალური შემოქმედებით შესაძლებლობების ფარგლებში, ქმნის ნაწარმოების ვანუსაზღვრულ „ვარიანტებს“ შესაძლებლობას მის ყოველ კონკრეტულ რეალურ ვანსორციულებლობაში.

ზნარ უკვე წრავალი საყუარეა, დედაშიწაზე მიმ-
დინარობს შეუქცევადი პროცესი: მცირდება ტყი-
მდარული ფართობები, მინსტრდება გაუაღლი ტივე-
რები. თავმესაფარს მოკლებულა გარეული ცხოვე-
ლები აქეთ-იქით დამარჩან, შეხადერის ადგაღს ვერ
პოულობენ, ბევრი მათგანი უფსქვეშ ნიადაგ გამოც-
ლილი იღუპება...

ბუნებრივი გარემო მხოლოდ გარეულ მცენარეთა
და ცხოველთა არსებობისათვის როდია საჭირო. იგი
საჭიროა ადამიანისთვისაც, მისი ფსიქოლოგიური
წინასწარობისა და ჩანმრთელობის შესანარჩუნებ-
ლად.

ადამიანი აზროვნების, გონიერების წყალობით გა-
მოეყო ცხოველთა დანარჩენ სამყაროს. მისივე წყა-
ლობით, გეოლოგიური ქრონოლოგიით დედაშიწის
სრულიად ახალგაზრდა ბინადარმა — ადამიანმა ძი-
რწულად შეცვალა თავისი ადგილსამყოფელი და იგი
თითქმის მთლიანად მოწყდა არსებობის პირვანდელ
პირობებს — დედაბუნებას.

კაცობრიობის უმეტეს ნაწილსა და გარემო ბუნე-
ბას შორის კარგახანია აღმართა კედელი. ურბანიზა-
ციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, ეს კედელი
სულ უფრო სქელი, მაღალი და გადაუღმაზე ხდება.

დღეს შეუძლებელია შეგნებულ ადამიანს არ დაე-
ბალოს ექვანარევი კითხვები: რანდენად ნორმალურია
მისთვის დედაშიწის შეცვლილი ბუნებრივი პირობე-
ბი, როგორც გეოლოგიური ნიშა (გარემო)? უსრუნ-
ველყოფს კი იგი კაცობრიობის მოღვმის კეთილდღე-
ობით განვითარებას? აირჩია კი კაცობრიობამ — ბი-
ოლოგიურმა სახეობამ — თავისი მოღვმის შენარჩუ-
ნებისა და განვითარებისათვის ოპტიმალური გარემო?

ადამიანს ვაჩინია განსაცვიფრებელი უნარი სრუ-
ლიად განსხვავებულ ან შეცვლილ გარემო პირობებ-
თან შეგუებისა. იგი ამა თუ იმ სარისხით ეჩვევა გა-
ქუქუანებულ გარემოს, ძლიერი ვამღრმანებლები
მოქმედებას, რთულ სოციალურ ურთიერთობებს,
ცხოვრების ნორმალური ბიოლოგიური ცვალები-
დან გადახვევებს და მსოფლიოში ამჟამად მიმდინა-
რე ტექნიკისა და ურბანიზაციის სხვა უარყოფით
შედეგებს. მაგრამ ყველათა სურწლას, ფრინველთა
გალობის, ბუნების მომხიბლავი ხედებისა და ადა-
მიანის გეოლოგიის თანადგევა სხვა ბიოლოგიური
სტრუქტურის გარეშე ადამიანის სულიერა სამყარო
დარბი და ერთფეროვანი ხდება. უფრო მეტიც, ირ-
ადგევა მთლია რივე ფსიქოლოგიური და ფსიქიკური
პროცესებისა. ბუნებისაგან სულ უფრო მწარევი მო-
წყვეტის ახლანდელ პირობებში ადამიანები სულ
უფრო გრამობენ ადაჯარგულ სმოთხებთან ურთი-
ერთობის მოთხოვნილებას.

ამ ბოლო დროს ბევრი ჩვენგანი სიამოვნებით ატა-
რებს: დღეს ბუნების წიაღმა, მოკლე საუკუნის 70-
იანე წლებს მამობრივი ტურისობის შედეგადაც უფრო
მწი, ადამიანები სწირად უარს ამბობენ კომფორტზე,
იღონადე მოსწყენენ ქლაქების ყუთელდღორ მო-
ნაშენებრედ ცხოვრებას.

ემეს გარეშე, ბუნებასთან ურთიერთობა დახვე-
ნების სასყეტესო ფორმაა. იგი გვეხმარება დეკარ-
გულა ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ძალების აღ-
დგენაში. მაგრამ, ვარდა დახვეწებისა, სანტერესობა,
რას წარმოადგენს ადამიანის ეს ღატრევა ბუნებას წია-
დასენე? იქნებ, ეს ელემენტარული მოთხოვნილებაა გა-
რკვეული შობებულების მიღების, გარკვეული თავგა-

ადამიანი და გარემო

ანროლდ გეგეკტორი

დასავლის განცდისა? ანდა, იქნებ პირვანდელი გა-
რემოსადმი ამ სწრაფვაში უფრო ღრმა საფუძვლებია,
ცვილიზებულ სამყაროში თვითშენარჩუნების და-
კარგული ინტენქტების გადავიტება. ანდა, იქნებ,
ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა წყურვილი
შეგენიერებისა, თანდაყოლილი მოთხოვნილება ისეთი-
ტაქურნი განცდებისა?

და ეს არც არის საფუძვლემოკლებული. განა შეი-
ძლება ჩამოთვლა ყველა იმ უშეიკვლო და უნატი-
ფები ფორმისა, რასაც ქმნის უღადესი ბიოლოგი-ბუ-
ნება?

უსსოვარი დროიდან, დამწერლობის შექმნამდე გა-
ცილებითი ადრე, ადამიანი უკვე ქმნიდა ბელოვების
ნიმუშებსა და მათი საშუალებით შექმნილ გაფშოცე-
ცნობები თავის ეპოქაზე. ასე ამგვარად, კაცობრიო-

ბის განვითარების ჭარ კიდევ განთავადის ხელოვნებაში შეიქმნა და დღემდე შემოვარჩა კოლოსალური მემკვიდრეობა. ამასთან, ურჯავანე შემთხვევაში, სწორედ ბუნების ქმნილებები წარმოადგენენ სწორპოვარ ნიმუშებს ადამიანთა შემოქმედებისათვის. გაეხსენათ საზრტო საქართველოში ნაოვნი დღევანდელი სტრატეგიაზე არქაული ადამიანის დროინდელი ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით: ხელოვნების მსგავსი ნიმუშები, ვინ მოსვლის, მსოფლიოს რამდენ კუთხეთაშია ნაოვნი, მოვიგონოთ საფრანგეთისა და ესპანეთის მღვიმეების კედლებზე კომპონირებული შესრულებული, ამაჟამად გადაშენებული ცხოველთა გამოსახულებები, აქვე ნაოვნი ცხოველთა „სესულატურები“. ისინი კაცობრიობის ისტორიაში შექმნილი ხელოვნების უძველესი ქმნილებებია. ზოგიერთი მათგანი პროვინციული ანტიკობის მხატვრების შედეგებს რადი ჩამოყარდება. ამ ნახატებს ძალიან დიდი მცენარეული მნიშვნელობა აქვს განათავსებული გამყინვარებად მცხოვრები მამონტები, მღვიმის დათვები, დომბები, ბუნჯიანი მარტორქები, მხალხილა ვეფხვები და სხვა აწვადუნებული ცხოველები იმდენად ზუსტადაა დახატული, რომ შეიძლება ამ ცხოველთა სახეობების დადგენა. ეს კი მცენარეობა წარმოადგენს აძლევს გარდასულ ეპოქათა ორგანული სამყაროს შემადგენლობაზე, პირველყოფილი ადამიანის არსებობის პირობებზე.

და მართლაც, ვინ არის შემოქმედ ამ ზღვა სიღამაშია — აღმართოვანებელი პეიზაჟების, ტყეების, ველებების, მთა-კუთხების, ამ ბუნებრივი, განსაკუთრებული მუზეუმებისა ვინი ყაღმბოთა მოხატული, ვინი საქრისთაა გამოქობილი აქ არსებული ყველა ფრმა, ფერი, კომპოზიციონი ვინაა ატორი? იქნებ, უცვლარის მშვენი დრო? ანდა, იქნებ სტიქია-ციცხელი და წყალი, მზე და უნდა, ქარი და წვიმა? რა ძალები ემართლებიან ბუნების შემოქმედებით ძალეში, რა მართავს მათ? ნული მხოლოდ შემხებეუობა? რი კითხვები ყოველთვის არაღებება და მომავალშიც დაინტერესებს კაცობრიობას.

ბუნება ადამიანის შემოქმედების უშრეტო წყაროა მისი მოტევი შეიძლება ვნახოთ ხელოვნების ნებისმიერ დარგში. ყველგან, იქნება ის არქაული, პრიმიტიული მოტევი, რენესანსი თუ თანამედროვე ახსტრუქციონიზმი... ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა ადამიანის მხატვრული აზროვნებისა, ბუნებაა.

ირგვლივ, თვალსაწიერზე, სადაც მთები და ტყეებია, მინდვრები და ცისფერი ტბებია, ლეგებისა და ტინარების სასაირიგებია, თუნდაც ადამიანის ხელოვნება შექმნილი ბაღები და პარკებია, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი ბუნებისათვის ოდნავ მაინც მიგავთა თავისუფლება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაქვდებით იმეთი სიმშვენიერებ.

ეს შეიძლება იყოს ტუის ტუის განმარტობით მშვენი ხე, ქარებთან და ქარიშხლებთან ბანგრობითი მშვენილი ჭაღოსურად რომ დაგრიტო ტოტები, ეს შეიძლება იყოს სატყუნოვანი ნაძვები და სოკები, სიბერესაგან ქერქი რომ უნდაურად დაეზარავით. ეს ამ ქერქზე მუდღერი ბინადრდებული, ფრთაა განუშვარებელი ვაჭრი დამშვენიებული ხავსი შეიძლება იყოს, ანდა, ეს ის უნაწეხი და უნატიფესი პირველყველია, უტოფრად რომ ამრუყვია თავი თოვლის ჭარ კიდევ მუარის საფარდან, ზოგჯერ ეს, უბრალოდ.

ზეცის სილურტეში ჩაყარული ტოროლას გაღობა... ბუნების ნებისმიერი გამოვლენა, როგორც წესი, ორიგინალური და თავისებურად ერთადერთია. იგი გაცილებით მდიდარია და სრულყოფილია, ვიდრე ტრივიალური ცნებანი: ხე, ყვავილი, ფრინველის გაღობა.

ვინ იცის, ხელოვნების რამდენი შედეგია შეუქმნია ადამიანის ფუნქსია და სტრუქტურა. შოკინდებულს ბუნების ამ სიღამაშით, რასაც ქარბუქი, უნდა, შვის მწველი სხივები, წვიმა და წყალი ქმნიდა? განა წიფლის თითქოსდა ატანელი ტიპოლოგისაგან დაგრებილი ტოტები, უღმობელი ადამიანის წიფლისაგან დასხებილი და ცისკენ ვერტებით აწვდილი ფუნისა და რბილისა გადაჩინებლი ტოტები, ივარქმნილი ქალა თუ პირიკით, გადღებულთი ტუის ნორჩნარი, გოლიათურად დაყოფილ-დატოცილი მუხა, ყველა ესენი სიმბოლოვრად არ გამოხატვენ მუხარებასა და სისარულს?

ხის ტოტებს ზარის გამბეული ობობას ჩვეულებრივი ქსელი გაოს მხედნიერი მოტივი ან არის, რაცე ღირსია ნებისმიერი მხატვრის ელმისა? განა გვირგვინს ანდა ატრის სიმტრეულივად განწველი გვირგვინის ფურცლები არ იწვევენ არქიტეტურის უდიდესი შედეგის ასოციაციას? ასეთი მავალითის მოყვანა ასობით შეიძლება, მათ ძებნა არ სჭირდებათ; ისინი ჩვენს ირგვლივ, ყველაგანა.

პალსტოვსკი ამბობს: „პოუთა ყველგანა, თუნდაც ბალახში. საქორა მხოლოდ დიხარო და დაკვირდეთ“. სიღამაზე ყველგან და ყველაფერში პატარაობის მოყვანა განსახარებლს მას ჩვენთვის ყვავილი და პეკელა. მაგრამ ვითთ კი, რა სასიცოცხლო კავშირი არსებობს ამ ორ განსხვავებულ სიციფლს შორის. ყვავილები ხომ დიდამაწაზე უმთავრესად პეკელისა და სხვა მწერების წყალობით არსებობენ? ყვავილითა განსახარებულად მწერებმა მათი მტვერი ერთი მცენარეიდან მეორეზე უნდა გადაიტანონ. რა ფერებია და სურნელს არ ხარჯავს ამისათვის მცენარისა ხამუყარო?

ბუნების ყველა ფენომენი: სიღამაზე, საოცრებანი და რა თქმა უნდა, თვით „სიბრტყე“ სზირად ერთი არსებითი მამოძრავებელი ძალითი განისაზღვრება. ეს არის ორგანული სიცოცხლის მარადიული ღტობა გარკვეული მიზნის მისაღწევად. ეს მიზანია: სიცოცხლის შენარჩუნება, გარკვევბა, უფრო მეტი სრულყოფის მიღწევა. სიცოცხლის ეს მიზანდასახულობა, რომელმაც გამოიწვია ევოლუცია ამნივედ თვით ადამიანამდე, კუმპირტად უდიდესი საოცრებაა.

ბუნების ამ მამოძრავებელი ძალეებით ატორცინოლა გიგანტური წიფლები ცაში, გოლიათურად დატოტებულა მუხა, ქანდაკებასავით გამოძერწილი ირემი და ქურციკი, ამავე სიციფლის წაღობა: დახვეწილი ნახტომი, შვანარის კაპარა... და ამ შემოქმედლებით ძაღობის „ბელქონილობა“ გვირგვინი — ადამიანი.

ადამიანი ბუნების შვილია, იტყვიან სოლმე, და ის უახლოესი და უმართუესი კავშირი, რასაც ცნება გულისხმობს, მართლაც შესანიშნავად გამოხატავს ადამიანისა და ბუნების სასურველ ურთიერთობას. მაგარა, საწუხაროდ, ეს ურთიერთობა ორგანო ხანთაის ატორცინო. ერთი, უღარესად მუხარევი და რსოტაციის დონეზე აყვანილი, დღემდე შემორჩა აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით იპონიაში. აქ წლის სეზონები სზირად დაყოფილია ბუნებრივი,



მთავარს და არა ნეოლოგურ, ასტრონომიული წლის მიხედვით. ხოლო სეზონის დადგომის მაჩვენებელია რომელიმე ლაზნად აუვაგებელი მდინარე. მაგალითად, ადრე გაზაფხულის მაცნება — ქლიავის უვავილობა, შუა გაზაფხულის — ალუბალი, შემოდგომისა — ქრონახინება. აქ მთავარია არა ბოტანიკური მინიშნება, არამედ თვით სიტყვათა სემანტიკა. თუ ჩვენში „ქლიავი“, „ალუბალი“, უპირველეს ყოვლისა, ნაკოთად, ადრე გაზაფხულის ასოცირდება ხოლმე, ამომავალი მზის ქვეყანაში ისინი ესთეტიკურ ფენომენს წარმოადგენენ. ამიტომ საკურთხა — იპონურის ალუბლის უვავილებს უნაწეს გრძნობათა სინონიმად მიიჩნევენ და სამიწნურო ლირიკაში განუყოფელ პოეტურ სახედ იყენებენ, იპონიელებს დღეს მსოფლიოში არაერთი მიმდევარი ჰყავს.

ცნობილია ბუნებისამდე ადამიანის მეორე დამოკიდებულებაც — უღმობობე, ეგოისტური. საწუხაროდ, ამის ფაქტორ არაერთია ჩვენშიც, საქართველოში. მტრობის ნიადაგზე აწეხილი ვაჭები მესხეთში. ფიქვები — ყაზბეგის რაიონში, ძირს დატყეული სახალწლო ნაძვები და ვინ მოსთვლის, კიდევ რა. იგივე ოქშის გარტული ცხოველების მიმართაც. ბუნებისადმი უღმობობის მსგავს ფენომენოლოგიას ჭრე კიდევ ღრმად აქვს გაღმეული ფეხი ადამიანთა შეგნებაში. ბუნების დაცვის ჩვენში დაუცხებელი პროპაგანდის გავლენით, იმედია, იგი, როგორც წარსულის გადმონათობი, თანდათანობით დაეკარგავს ძალას.

ფრიალ დიდა და ხშირად გამოუსწორებელი ურბანიზაციის გავლენა დედამიწის მიერ რიგ ლანდშაფტებზე. მაგრამ დღეს აქაც ტემპარატება და გონიერება იმარჩვევს, ბიოსფეროს უფროსი მომავლისათვის ბრძოლის ავანგარდში ჩვენი დიადი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი დგას.

მაგრამ რა სდებია გარემო ბუნებაში, ნაწამ ქვეშაობებსა საბოლოოდ ვაგზარკვია სინარბებზე, ძალმობრეობასა და უბედურობაზე. წიგნიერებას — უფილოსოფიო შეცვლილ გარემოსთან ბრძოლის მაგური ძალით შეიარაღებული დედამბუნება ჩრე კიდევ განაგრძობს არსებობას მთელი თავისი მრავალფეროვნებით. გასაზნულზე ისევ ისე უტიფრად გააბრდავს თოვლი სქელ საფარს ზურჩინა და თოვრეკვიალი, ახალდის მკობრის ნარიჩა ბაზანი, შიამბალოს ქარბუსობას და თოვლიან ბრძოლაში მარც მტკიცედ დგას უსაშველოდ დაზარტული წიგლის მონაწილე, ადამიანის დარტყმული წაღლის ადგილზე მთილოგიური ბიძრას მსგავსად, ცხრა ყლორტს — ზვალმდელო დღის იმედს. მოიყრის რტხილი და იფინა, დღესაც ვაგასულად უფარებდა კალთას უსუსურ ნერვს ხმელი წიფელი, ბოლოქაჩი ზღვებსა თუ თოვლით დაფარულ მთავრეხილთა თავზე ასულ კალიმბეტრს დაფარავს სამშობლოსკენ პირკეტული პაწაწინა ჩიტო, ლტყვს გარტდის უველგან დენვითი ჭე გველი...

ერთადერთი სიცოცხლით დაქაღდეებული ადამიანისათვის დედამიწა თავის ტვით, მდელოებით, მებეთბა და მდინარებებოა სიმდიდრეცა და შთაგონების უზრეტი წყაროც. ამიტომ უუვარს მას ასე თავისი პლანეტა — დედამიწა — კვებარობის მთლი მოდგმის შიშობლი დედა. მაგრამ, აღბაო იბიგომ, რომ დედამიწა ესოდენ თავალწუდენვითა, თითოეულ ადამიანს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მასზე. კოთხე, რომელსაც აგი სიუჯარული უწოდებს „ჩემი სამშობლო“, ანდა, უფრო ზაზეიმოდ და ამაღლებულად — „ჩემი მამული“. მისი ხატი ჩვენი შეგრძნების ზუთივე ორგანოთი ასახულია ჩვენივე შეგნების უველა კუნულები, უფრო მებტი, ზოგჯერ ხე ხატი როლი ექვემდებარება ჩვენს მხედველობას, სწინას, უნოსვას, გეგოფრებას, შეხებას, მამულს ჩვენ ვარძნობთ რომელიღაც „რეტეკს“ გრძნობით. მისი წყალობით სამშობლოს საოცრად ძალუმად აქვს გაღმეული ფეხები ჩვენი სხეულის თითოეულ უჭრედში, ნერვში, სისხლში...

სამშობლოს მებტი, მდინარეები, ტყე-ველი თუ ნალირ-ფრინველი სწორედ მაშინ იმენს ვანსაკურთხებულ მნიშვნელობას, როდესაც ისინი ჩვენს ხულსა და გულში იჭრებიან სწორედ იმ აღუქმელი „მეექვსე გრძნობის“ არტებით.

აი, ამგვარად აღქმული და შედგენილი კაცობრიობის ერთადერთი სამშობლო — დედამიწა უველავზე ბუნებური ატლასი იქნება უველა სხვა ატლასს შორის. დედამიწაზე გვგვებდა ისეთი ადგილები, სადაც, ცილიქსლად ადამიანთა ვანსაციერტებლად კონცენტირებულთა მზითი სილაზნებზე ერთ-ერთი მებთავის საქართველოა, პოეტის მიერ „სუ-ფირუზ — ხმელეთ-ზურმუხტად“, მხატვრის მიერ „ხელთაქმენელ სურათების გაღვრეად“ წოდებულთ.

სად ნახავთ ერთ ციქვან მიწაზე პლანეტის უღდეუსი ნაწილისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ პირობებს, კანონზომიერებებს? აქ, გარდა ვეკატრულობას და ტროპიკულსა, მინიატურულადაა წარმოდგენილი დედამიწის უველა ზონა. თითოეულ მებთავში ახლად ბუნების რამდენი საოცრებათა გაფართული თითოეულ კუთხესთან ქართული ხალხის შემოქმედებითი გენიის — ისტორიულ-არქიტექტურული, ეთნოგრაფიული და სხვა რამდენი მებელი და თავისებურება შეისხილირტებულ!

სასლადის (საქმლის) ხე



ურბრის შილარი და ქანა ღარკის ისტორია

მერაბ კალანდაძე

პროვინციულ ისტორიკოსებს შორის თავს იჩენს ხოლმე ისტორიულ სიუჟეტზე შექმნილი ნაწარმოებებისადმი სესიზისტური დამოკიდებულება. მსგავსი საქციელი, ნებით თუ უნებლიედ, ამცირებს ამ ენარის ნაწარმოებების მნიშვნელობას. მსგავსი შეხედულების ისტორიკოსებს ურიგო არ იქნებოდა თუ შევხებხენდითი ონორე ბალაქის ცნობილ სიტყვებს: „კარგად დაწერილი ისტორიული რომანები, ისტორიის საუკეთესო კურსებს ესგავსებოდა“.

ისტორიული ენარის ნაწარმოებები, იქნება ეს ისტორიული რომანი, პოემა თუ დრამა, სრულიადაც არ იმსახურებს გულგრილი დამოკიდებულებას და ისტორიკოსისათვისაც მრავალ საურადადებო დეტალს შეიცავს.

რასაკვირველია, ასევე შეიძლება იქნება გავაზავადი ისტორიული ენარის ნაწარმოებების მნიშვნელობა და მათში ისტორიის მეცნიერული ასახვის ნიშნული დაინახოთ. მწერალს, პოეტს, პროფესიული ისტორიკოსისაგან განსხვავებით, უფლება აქვს თავისუფლად მოეკიდოს ფაქტებს.

ისტორიული პროვინციების მთელი პლადა ადამიანთა მრავალი თაობების მუხსიერებაში სწორად იმ ნახით აღბეჭდება, როგორი სახითაც ეს პროვინცია მათ რომელიმე გამორჩეულ მწერლის შემოქმედებაში გაიცნოს. ასე, მაგალითად, როდესაც ხაუბარი რომანად III ჩამოვარდება, სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ადამიანთა თვალწინ უფლავს მისი შესწავრული პორტრეტი აღიშნათება, ხოლო თუ სიტყვამ უოზეფ ფუშე ან მარია სტიუარტი მოიტანა, მაშინ წინა პლანზე მათი ცვაკარისტული დასახითება წამოიწებს. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების ფართო წრეები, მსჯელობენ რა ამა თუ იმ ცნობილი ისტორიული მოღვაწის შესახებ, მათ რომელიმე გამორჩეულ მწერლის პოზიციებიდან ავსებენ და ეკვივ კი არ ეპარებთ ამ მწერლის და შესებაშისად, თავიანთი პოზიციის მარტებულობაში.

ასე და ამგვარად იქმნებოდა ამა თუ იმ პროვინციაზე ან საკითხზე საზოგადოებრივი აზრი. დიას, მასებს სწორად სწეროდა „უიქრთა მკერობლების“ და სოგერ ილუზიების ტყეობის ქვეშ ექცეოდნენ. ისტორიული რიჩარდ III ამის კარგი მაგალითია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლა ისტორიული კუთხით საინტერესო და, რაც მთავარია, სჭირო უნდა იყოს.

დასავლეთ ევროპის სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ენა ღარკის ისტორიული რომლის შეუახებისა ირმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთნი ღაფში სვრიდნენ და აუბად ისხენებდნენ ენა ღარკის სახელს, ხოლო მეორენი მის იდელოზიკიას ეწეოდნენ. უილიამ შექსპირმა თავის ქრონიკაში „მენრი VI“ (1562-1594) ენა კუდიანის სახით გამოიყენა. როგორც მოხალოდნელი იყო, შექსპირის შემოქმედებაში წინა პლანზე აღმოჩნდა ენა ღარკზე ტრადიციული ინელინური შეხედულება. — მასში მოხლოდ ქადიქარს, კუდიანსა და გარკუნალ ქალს ზედადნენ ვოლტერი თავის ცნობილ პოემაში „ორღანელი ქალწული“, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ფარისევლობის, გაიძვრობისა და თაფლიობის წინააღმდეგაა მიმართული და მიზნად ისახავს დასცილის რელიგიურ ფანატიზმს, ასეკეობასა და წინდინობის ყულტს. ენა ღარკს შეუბრალდელი დაციწვის ითებქტად ზღის, მეორეს მხრავ, ცნობილმა ფრანგმა დრამატურგმა შალენმა ნაწარმოებში „ქალწული ანუ განთავისუფლებული საურანსეგეი“ ენა წარმოადგინა ღვითთ შთავიგებულ არსებად, რომლის ნებასაც ზეციური ძაღები განაგებდა. ენა ღარკის იდელოზიკია იგრძობა საშენიერო-ისტორიულ ლიტერატურაშიც (ა. ლამარტინი, ფ. მიშლე, ა. სორელი, ვ. ვინოგრადივი და სხვები).

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ენა ღარკის ისტორიის შესახებ, არსებითად, ცალმხრივად იყო ინფორმირებული, რაც მნიშვნელოვანწილად კოლტერის პოემის „ორღანელი ქალწული“ გავლენით

იყო გამორჩეული. ვაიმარის პერსონაჟი კარლ ავგუსტო ოტარისთვის შიღერის პიესის დადგმის უფლებას მიეცაშე თავს იკავებდა. „მეცნიერმა“ პერსონაჟი ამას იმით ხსნიდა, თითქოს უნინოდა, ვითუ, ირონულად შეხედენო შიღერის მიერ რეპლიცირებულ ენა დაქარს ვაიმარის კარი და არისტოკრატიულ წრეებში, რომელთაც ზეპირად იცან ვოლტერის „ორღენანელი ქალწული“. ეს ფაქტი უცხოელად ვოლტერის ობსკურების დიდ კოპულარობაზე მეტყველებს. იმას უნდა მივუბნდეს, რომ გერმანიის საზოგადოებრივი აზრი, არსებითად, მდებარე იყო ინფორმირებულად და ამ ისტორიულ მოვლენას, ძირითადად, ვოლტერის თვალით უფურცლად. ასეთ პირობებში, ცხადია, ადვილად გასაკვირა, თუ რაადენ მარშენლოვანი როლი ენიჭებოდა ენა დაქარს პიროვნების და მისი მოღვაწეობის მართულად წარმოჩენას. ეს საქმე იტვირთა ფრიდრიხ შიღერმა და მწვენივრადაც გაართვა თავი ამ როლად ამოცანას.

შიღერის „ორღენანელი ქალწული“ ენა დაქარს პიროვნების გაგებისა და მისი როლის შეფასებისას პრინციპულად უპირისპირდება როგორც შექაპისა და ვოლტერისებულ გაგებას და შეფასებას, ისე შავლდენისებულ გაგება-შეფასებას. ამიტომ, აღბათ, არ შეუძლებლობს, თუ ვიტყვი, რომ ენა დაქარსი შეფასების დროის ფრ. შიღერი ვოლტერსა და შავლდენს შუა იდგა. შიღერისათვის ენა დაქარსი, უპირველეს ყოვლისა, მიწიერი არსებაა, ჩვეულებრივი ადამიანია, ეს ფაქტი აველაზე ნათლად იჩენს თავს ენასა და ლიონელის შეხედვრის სტენაში. მართალია, ეს სტენა შიღერის პოეტური ფანჯარის ნაყოფია, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდებოდა ყველაზე მკაფიოდ ენას ადამიანური თვისებები, მისი ქალური ბუნება. ენა ადამიანადმი შიღერის სიმათია აშკარად ჩანს, როგორც დრამაში „ორღენანელი ქალწული“, ისე ამავე სახელწოდების ლექსში, რომელიც სულ რამდენიმე თვით უსწრებდა წინ „ორღენანელი ქალწულის“ პრემიერას. აი, რას წერდა შიღერი ლექსში „ორღენანელი ქალწული“:

„ქვეყანას უუყარს ბრწყინვალეების გაშვებდა და მტერი შიღერს გასწავა ამაღლებულისა, მაგრამ მაინც ნუ გეზოწინაო, კიდევ არის მწვენიერი გულგებნი, რომელნიც ნილალოსა და დიდებულისათვის აღინთებან“.

შიღერი კარგად ხედავდა, რომ ენა დაქარსი ისტორიული მისია სათანადოდ არ იყო შეფასებული, მაგრამ მას დრამა წყაზდა, რომ მომავალი თაობები აუცილებლად გამამოტრებენ ენას და სათანადოდ დაფასებენ მის დეაქლს საშობლოს წინაშე. „დადგება ვნა და ის ენა მე გამამოტრებენ, ისინი, ახლა რომ მწვენივრად და მამეგებენ, თავის შეცდომას მაღლ მიხედვებიან და მწარე ცრემლს დაარქვევენ ჩემს ბედვარულ ბედზე“, — წერდა შიღერი. შიღერის ამ შეხედვლების მართებულობის ნათელი დოკუმენტაცია ის საყოველთაო სიყვარული, რომელიც დღეს სარგებლობს ენა დაქარსის სახელი. ერთი სახეობით, შიღერის სიმათიები ენა დაქარსისადმი ყოველგვარ ექსპრესიულად, ეს არც არის გასაკვირი, რადგან შიღერის პიზანს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ ქება იტღენა ვოლტერის მიერ დამცირებელი გმირისათვის. შიღერს ენა დაქარსი ისტორიული პიროვნება აგრეთვე პატრიოტული მხარე სიუჟეტისა. სახელდობრ, უბრალო ხალხის წინაშე გამოსული გლეხის ქალწულის ბრძოლა უცხოელად დამპყრობლების წინააღმდეგ. „ორღენანელი ქალწული“ იყო მოწოდება ნაპოლეონის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა. ამიტომ შიღერისთვის არ იყო, რომ ეს დრამა ყველაზე დიდი კოპულარობით სარგებლობდა 1813-1814 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს.

„ორღენანელი ქალწულის“ პრემიერა შედგა 1801 წლის 18 სექტემბერს ლაფიცივის საქალქო თეატრის სცენაზე.

შეფასებებმა, მთელი რიგი იბიექტური მიხედვების გამო, ძნელია ზუსტად მიავანო ის წყაროებს, რომლებსაც დიდი გერმანული დრამატურგი „ორღენანელი ქალწული“ შემოხაზს დროის იყენებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაწარმოები არაერთი მითითებას არ შეიცავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაბეჭდილის შეძლება ითქვას, რომ შიღერი მწვენივრად იცნობდა, სავთოდ, XV საუკუნის საგრაგენოსის ისტორიის და, კერძოდ, ენა დაქარსის მოღვაწეობის შესახებ არსებულ წყაროებს და ლიტერატურას. ამ მხრივ ნიშანდობლივია იოხან ვოლტერის გოთენსადმი ფრიდრიხ შიღერის წერილი (1800 წლის 2 აგვისტოს), რომელშიც დიდი გერმანული დრამატურგის ხასხასით აღნიშნავდა: „გაუცვანი მთელს ლიტერატურას ენა დაქარსის ეპოქის შესახებ“. საქმარია უბრალოდ თვალა გადავალთ „ორღენანელი ქალწული“, ჩათა დარწმუნდით შიღერის ამ სიტყვების ქეშმარიტებაში.

